

F 412
1957

დროშა
№ 9 სექტემბერი 1957



ყაზახეთის მეურნეობაში



დების მოწმობაში სწერია: „... მამა არჩილი, დედა ვეფერი ზატიაშვილი, დაბადების ადგილი — ყაზახეთის აქტიუბინსკის ოლქის მაგაჯანოვის საბჭოთა მეურნეობა (სურ. 3).

ეს ეკზოტიკა როდია. ყაზახეთში ჯერ კიდევ გასავალი აქვთ „ყველგანმსვლელ“ აქლემებს. მანქანებისათვის მიუდგომელ ადგილებში აქლემები შეუცვლელნი არიან. (სურ. 4).

ვისაც წილად ხვდა ბედნიერება უკანასკნელი სამი წლის მანძილზე დაეყო დასავლეთ ყაზახეთის ოლქებში, იმ ადგილებში, რომლებიც ჯერ კიდევ ახლახან გეოგრაფიულ რუკებზე დაფარული იყო უკაცრიელი ტრამალების აღმნიშვნელი მიხაკისფერი და ყვითელი ფერებით, — მან თვალნათლივ დაინახა, თუ, უმოკლეს ხანში, როგორ აღნახულად და გასაოცრად იცვალეს ფერი ამ ტრამალებმა, როგორ შორს შეიჭრა მათში არა მარტო უახლესი ტექნიკა, არამედ ახალი უბნები, კარმიდამოები და სოფლები.

აქ მტკიცედ მოიდგეს ფეხი კომკავშირის საგზურით ჩამოსულებმა, საქართველოს პირველმა წარგზავნილებმაც.


აი ის, ახალი თაობა, ისინი, ვინც მიიღებენ ესთაფეტას მა-



მებისაგან და განაგრძობენ მედგარ ბრძოლას, რათა კიდევ უფრო მდიდარი და დოვლათიანი გახდეს ყამიროვანი მხარე. ფურმანოვსკის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობის ბავშვები გასეირნებისას საზაფხულო არდადეგების დროს (სურ. 1).


უდიდესი მეგობრობა აკავშირებთ საქართველოს წარგზავნილებს ადგილობრივ მოსახლეობასთან. მაგაჯანოვის საბჭოთა მეურნეობაში ყოველ ახალ ამბავს პირველად გაიგებს რადისტი ბაზერბაი ურუსბაევი (სურ. 2). სამი წლის წინათ იგი მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში საქართველოში, სადაც დაეუფლა რადისტის სპეციალობას. აქ იგი დაუახლოვდა მრავალ ქართველს, გაიცნო ჩვენი ზნე-ჩვეულება და ყოფაცხოვრება, შეითვისა ქართული ენა. 1955 წელს საბჭოთა მეურნეობაში ჩასულ ოთარ გოგლაძის მექანიზატორთა პირველ ბრიგადას იგი გულთბილად მიესალმა სუფთა ქაროულ ენაზე.

ბიძინა ზატიაშვილის დაბა-



ჯიშინი მსხვილფეხა საქონლის გამოსაზამთრებლად საჭიროა საკვების დიდი რაოდენობა. ტრაქტორისტები შიოდოლიძე და არჩილ გედევანიშვილი თივის ადების დროს. მათ მიაქვთ მოთიბული ბალახი აქტიუბინსკის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში (სურ. 5).

ტიქტი და ფოტო
ელუარდ ლისინსკინა.



10.000

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОДИНЯЙТЕСЬ!

ЗАРЯ ВОСТОКА

ГОД ИЗДАНИЯ 36-й

ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО И ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 196 (10000) Вторник, 20 августа 1957 г. Цена 20 коп.

Редакции газеты „Заря Востока“

Центральный Комитет Коммунистической партии Грузии горячо приветствует свой боевой орган газеты „Заря Востока“ с выходом десятилетия номер и 35-летием со дня ее основания.

Путь, пройденный газетой „Заря Востока“ за эти годы, неотделим от героического пути рабочего класса, колхозного крестьянства и интеллигенции Советской Грузии в борьбе за победу генеральной линии партии, за строительство коммунизма. Все эти годы „Заря Востока“ была верным помощником Центрального Комитета Компартии Грузии.

Организуя широкие массы трудящихся на борьбу за превращение в жизнь ленинского плана социалистической индустриализации и коллективизации сельского хозяйства, за культурную революцию, „Заря Востока“ неустанно пропагандировала великие идеи ленинской национальной политики в Грузии и Закавказье, идеи укрепления нерушимой братской дружбы народов СССР. В послевоенный период „Заря Востока“ умело мобилизовала трудящихся республики на восстановление и дальнейший подъем экономики и культуры. Газета оказывала и оказывает большую помощь партийным организациям в выполнении исторических решений XI съезда КПСС и последующих решений партии и правительства, укреплении нерушимого монолитного единства рядов нашей партии.

ЦК КП Грузии выражает уверенность в том, что „Заря Востока“ и впредь будет высоко нести непобедимое знамя марксизма-ленинизма. Большие и почетные задачи, стоящие перед советской печатью, требуют, чтобы газета еще выше подняла свою роль коллективного организатора масс в борьбе за дальнейший мощный подъем народного хозяйства и культуры, рост благосостояния народа, осуществление величественных задач шестой пятилетки. „Заря Востока“ должна широко пропагандировать идеи дружбы народов и пролетарского интернационализма, всемерно популяризировать опыт передовиков промышленности и сельского хозяйства, развивать рабоче-крестьянское движение в республике, укреплять связи с читателями, смело развешивать критику и самокритику недостатков.

Иные, когда наша страна в обстановке большого политического и трудового подъема готовится достойно встретить всепартийный праздник — сорокалетие Великой Октябрьской социалистической революции, почетный долг „Заря Востока“, как и всей печати нашей республики, ярче освещать великую организующую роль партии, всемерно-историческое значение достижений СССР и страны народной демократии в борьбе за социализм и мир во всем мире.

В день выхода десятилетия номера и 35-летия, ЦК КП Грузии поздравляет коллективы редакции и типографии со знаменательной датой и желает им с честью справиться с поставленными перед советской печатью задачами, верно служить делу строительства коммунизма.



Владимир Ильич Ленин за чтением «Правды» (1920 г.)

(Фотохроника ТАСС)

К ВЫХОДУ 10.000-го НОМЕРА ГАЗЕТЫ

ИЗВЕСТИЯ

Редакционный коллектив „Известий“ горячо приветствует и поздравляет читателей, журналистов, рабочих и сельских корреспондентов „Заря Востока“ с выходом десятилетия номера газеты. Железным коллективом редакции газеты „Заря Востока“ и впредь нести в широкие массы слово нашей партии, воспитывать трудящихся Грузии в духе беспредельной преданности социалистической Родине и нерушимой дружбы братских народов Советского Союза, в духе античной борьбы за претво-

УКАЗ ПРЕЗИДИУМА ВЕРХОВОГО СОВЕТА СССР

О НАГРАЖДЕНИИ РЕСПУБЛИКАНСКОЙ ГАЗЕТЫ „ЗАРЯ ВОСТОКА“ ОРДЕНОМ ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ

В связи с выходом десятилетия номера республиканской газеты „Заря Востока“ и отмечая ее плодотворную деятельность по мобилизации трудящихся Грузинской ССР на успешное выполнение задач коммунистического строительства, наградить газету „Заря Востока“ орденом „Трудового Красного Знамени“.

Председатель Президиума Верховного Совета СССР К. ВОРОШИЛОВ
Секретарь Президиума Верховного Совета СССР М. ГЕОРГАДИЕ

Москва, Кремль.
19 августа 1957 г.

ბ რ ძ ე ნ ე ბ უ რ ე ბ ე უ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

რესპუბლიკური გაზეთის „ზარია ვოსტოკას“

ურომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების უსახელო

რესპუბლიკური გაზეთის „ზარია ვოსტოკას“ მეათათასე ნომრის გამოცემასთან დაკავშირებით და კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის საქართველოს სსრ მშრომელთა მობილიზაციის საქმეში მისი ნაყოფიერი საქმიანობის აღსანიშნავად დაჯილდოვდეს გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
კ. ვოროვილოვი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი
1957 წლის 19 აგვისტო.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა ზეიმით აღნიშნეს საქართველოს კომუნისტების მეგრძოლი ორგანოს „ზარია ვოსტოკას“ მეათათასე ნომრის გამოსვლა და მისი დაარსების 35-ე წლისთავი.

„ზარია ვოსტოკას“ სახელოვანი ისტორია აქვს. მან განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა ამიერკავკასიაში ლენინური ეროვნული პოლიტიკის იდეების პროპაგანდისა და საბჭოთა ხალხებს შორის ძმური მეგობრობის განმტკიცების საქმეში.

დღეს „ზარია ვოსტოკა“ კვლავინდებურად წარმატებით რაზმავს მშრომელებს ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განუხრელი აღმავლობისათვის, პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული კომუნისმის მშენებლობის დიადი პროგრამის განხორციელებისათვის.

იმ გულწრფელმა სიყვარულმა, რომელიც ჩვენმა ხალხმა გამოხატა „ზარია ვოსტოკასადმი“, მკაფიოდ გვიჩვენა, თუ როგორ ღრმად აქვს საბჭოთა ხალხში ფესვები გადგმული კომუნისტურ ბეჭდვით სიტყვას.

ინფორმაცია

საბჭოთა და ინდოეთის მთავრობებს შორის დადებული ხელშეკრულებების თანახმად, ინდოეთში შენდება დიდი მეტალურგიული ქარხანა, რომლის ტექნიკური პროექტის ავტორები საბჭოთა სპეციალისტები არიან. მშენებლობა მიმდინარეობს საბჭოთა ინჟინრების კონსულტაციითა და უშუალო მონაწილეობით, მათ შორის არიან საქართველოდან წარგზავნილებიც.

ვებედავთ ბნლიას მეტალურგიული ქარხნის საგონივრე საამქროს მშენებლობის ხელმძღვანელის იასონ გუმბერძინის წერილს, რომელიც გამოგზავნილია ჟურნალ „დროშაში“ გამოსაქვეყნებლად.

იასონ გუმბერძინი

აღ შეჩერებულია. ასეთ წვიმებს ინდოეთში „მანსუნის“ წვიმებს ეძახიან. ამ ხნის განმავლობაში ინდოეთის შავი მიწები „ძღვება“ წვიმის წყლებით, ივსება წყალსაცავები, რომლებიდანაც შემდეგ ასარღობენ ბრინჯის ნათესებს.

ბრინჯის თესვაც მხოლოდ მაშინ იწყება და, ამრიგად, ბრინჯის ნათესები მუდამ წყალშია. ბრინჯის მკა ოქტომბერ-ნოემბერში მიმდინარეობს. მკა და გლეხები წარმოებს იმავე წესით, როგორც ჩვენში რევოლუციამდე იყო, ხარეებით ან კამჩებით მრავალ კალოებზე. (ხენა ხარ-კამჩით მიმდინარეობს, ხის კავით, უსახნისოდ). ბრინჯისათვის საწარვე მინდვრები ცალკეა და სამოსავლო ცალკე. ნერგი დაახლოებით ერთი მტკაველის სიმაღლე რომ შეიქნება, გადარგვენ მისთვის შემზადებულ სრუ-

ივლილი ითვლება; ამ დროისათვის ყოველ ოჯახს აქვს დამზადებული თინის ქოთნებში ნერგი. არასოდეს დიდ ხეს არ გადარგავენ ინდოეთში, რადგან, როგორც ამბობენ, აქ დიდი ხნის ნარგავი არ იხარება. საერთოდ, კანონად არის შემოდებული ინდოეთში, რომ ყოველმა ბირმა თითო ხე მაინც უნდა დარგოს. აქ გზები მუდამ ჩრდილშია გახვეული. ბოსტნეულის მრავალფეროვნება ისეთივეა, როგორც საქართველოში. აქ ჩვენ ბლომად გვხვდება ქინძს, ოხრახუშს, წვიროლ ხახვს, ზაფრანას, პიპილს, პამიდორს, ბადრიჯანს, კიტრს, ნესეს, საზამთროს და სხვა. ისე რომ წლის მთელ მანძილზე უზრუნველყოფილია მოსახლეობა ამ ბოსტნეულით.

ასეთია ბუნება და მცენარეულობის ზოგიერთი სახეობა ინდოეთის სამხრეთ მხარეში განსაკუთრებით, და კერძოდ



ინდოეთი მეტად მდიდარი ქვეყანაა, მის წიაღში მოიპოვება რკინის მადნეული, მარგანცი, ფერადი ლითონები, რადიოაქტიური ნივთიერებანი და სხვა. ინდოეთის მზის ქვეშ ყველაფერი იბადება და იზრდება, ინდოეთი ამარგავს მთელ მსოფლიოს „ჯუჭვით“, ჩაით, თუთუნით, ბრინჯით, ზეთით.

ინგლისის მიერ ამ მდიდარი ქვეყნის ძარცვა-გლეჯამ 300 წლის მანძილზე, თავისთავად ხელი შეუწყო, ერთის მხრივ, კაპიტალიზმის განვითარებას ინგლისში და, მეორეს მხრივ, საწარმოო ძალების განადგურებას ინდოეთში, ამ უკანასკნელმა გარემოებამ ძალზე შეაძინა ამ ქვეყნის ეკონომიური და კულტურული განვითარება.

ინდოეთს ქვანახშირის საბადოების მხრივ უკავია მე-2 ადგილი აზიაში. ინდოეთი ითვლება შავი ლითონების მადნეულობათა ქვეყნად. მიუხედავად ამისა, 10 მილიარდი ტონა რკინის მადნის მარაგიდან ინდოეთი ამჟამად მხოლოდ ომნიშენილო რაოდენობას — 0,04%, რის გამოც ინდოეთს უკავია მხოლოდ მე-13 ადგილი ფოლადის გამოღობის დარგში.

ბუნებაც მეტად საინტერესოა ინდოეთში. დღე-ღამის სიდიდე მთელი წლის მანძილზე თითქმის თანაბარია, ვაზფხული 5 თებერვლიდან იწყება, ეს დღე ვაზფხულის დასაწყისად არის ცნობილი და ამავე დროს მოსავლიანობის დღესასწაულად ითვლება. ამ დღეს მთელ ინდოეთში იმართება საღამომომოდღეები, სპორტული თამაშები, კონცერტები და სხვა, რომლებშიც მონაწილეობას უმთავრესად ბავშვები და ახალგაზრდები იღებენ. ამ დროიდან დღის ტემპერატურა სწრაფად იცვლება და 30°-მდე ადის (თებერვლის 10-15-მდე) მაშინ, როდესაც ზამთრობით (ნოემბერი-იანვარი) ტემპერატურა 10-15°-ით განისაზღვრება. თებერვლის მზის ასეთი სითბო ძალზე სასიამოვნოა, ამ დროს ხალხი უბატლოდ, კოსტუმებით დადის. მარტის ბოლო რიცხვებში ტემპერატურა 40-47°-მდე აღწევს და თითქმის 15 ივნისამდე გრძელდება სიცხეები. ამ პერიოდში დიდი სიციხის შედეგად შესაძლებელია სიკვდილის შემთხვევები თვით ინდოელთა შორისაც კი.

ივნისის შუა რიცხვებიდან იწყება წვიმები და გრძელდება სექტემბრის ბოლომდე; ამ პერიოდის ორი მესამედი განუწყვეტელ წვიმებს უკავია და ამიტომ სამშუამო დრო თვეში 10 დღით განისაზღვრება, გარესამშუამოების წარმოება მშენებლობაზე თითქმის სრული-



ი. გუმბერძინი (მარცხნიდან მესამე) რუს და ინდოელ ინჟინრებს შორის ბნლიაში.

ლიად მოლესილ ტალახიან მოედანზე. ამრიგად, ნოემბერი, დეკემბერი და იანვარი კი ბრინჯის მარცვლის დამზადების თვეებია! ჩვენ ამ თვეებში ვხვდებით ცისქვეშ ბრინჯის უზარმაზარ ხეებს. დიდი ბარაქიანი მოსავალი ცოდნა ბრინჯს და ეს მოსავალი ყოველწლიურად თითქმის ერთბაშად.

ინდოეთში, განსაკუთრებით სამხრეთ მხარეში, იშვიათად თუ შეხვდებით ფოთლებგაცეხილ ხეებს, მაგრამ ისინი წიწვიანი კი არა, ფოთლოვანია. მათ შორის ხეხილიც გვხვდება. საუკეთესო ხილის ხეა მანგო, იგი გვეხერხება იანი ფოთლები, როგორი სიცხეც არ უნდა იყოს, მის ჩრდილში შესანიშნავი სიგრილე. საუბედუროდ, ჩვენ მოგვიხდა ერთი ულამაზესი სოფლის დანგრევა, რომელსაც სახელად ამ ხეხილის—მანგოს სახელი ურქვა. ამ სოფელში მხოლოდ მანგოს ხეები იყო გაშენებული, სოფლის შუაში გვეხერხებოდა წყალსაცავი იყო ამ სოფლისა და ხეხილისათვის. ეს წყალი რომ დაეაშრებ, უამრავი თევზი დაიჭირა მოსახლეობამ, უმთავრესად, გველთევზის მსგავსი, ერთ მეტრზე მეტი სიგრძისა იყვნენ თევზები. ამჟამად, ამ ადგილზე შენდება 10 ხაზონი რკინიგზის სატვირთო სადგური ქარხანაში მადნეულის მისაღებად.

გამწვანების სეზონად თებერვალი და

„მადნაბარადვის შტატში“, რომელიც განთქმულია რკინის მადნეულის, მარგანცის და ქვანახშირის საბადოებით და სადაც, საბჭოთა მთავრობას და ინდოეთის მთავრობებს შორის 1955 წლის 2 ნოემბერს დადებული ხელშეკრულების თანახმად, საბჭოთა კავშირის სპეციალისტების დახმარებით, შენდება რუსეთის მსგავსი მეტალურგიული ქარხანა. საბჭოთა კავშირის სხვა ხალხების წარმოგზავნილებთან ერთად მშენებლობაში მონაწილეობას იღებენ საქართველოდან ჩამოსული, რუსეთის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობაზე გამოწვითილი რუსი და ქართველი სპეციალისტები.

ქარხნის მთლიანი დაგეგმარება მიმდინარეობს ჩვენი ქვეყნის საუკეთესო საპროექტო ინსტიტუტების: „გაბრომების“, „გაბროკოქსის“, „პრომსტრობპროექტის“ და სხვათა მიერ. საუკეთესო შეფასება მისცა საბჭოთა კავშირის მიერ წარმოდგენილ ტექნიკურ პროექტს, ინდოეთის თუჯისა და ფოლადის სამინისტრომ. პროექტის განხილვა სამი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. მუშაობაში ამერიკის და ინგლისის რჩეული სპეციალისტებიც იღებდნენ მონაწილეობას. განსაკუთრებული მუშაობის ჩატარება მოუხდათ საბჭოთა კავშირის სპეციალისტებს იმის გამო, რომ მეტად რთული საკითხები შეიქნა გადასაწყვეტი ქარხნის მშენებლობის სპეციფიკური პირობებისა და შემდგომი ექსპლუატა-

ციის გამო—კერძოდ, მაღალი ტემპერატურისა, დიდი სინოტივისა და სხვა ფაქტორებთან დაკავშირებით. სწორედ ამ მიმართულებებით აწარმოეს თავიანთი მუშაობა საგეგმარო სამმართველოებმა, მანქანათა მშენებლობის კონსტრუქტორებმა, რომლებსაც მოჰყვდა მკიდრი რიგი მანქანების კონსტრუქციების შექმნა.

ქარხნის მშენებლობა მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის სპეციალისტების კონსულტაციითა და პირდაპირი მონაწილეობით. საბჭოთა ინჟინრები იყენებენ კუზნეცის, მაგნიტოგორსკის, ჩენაიბინსკის, რუსთავის და სხვა კომბინატების მშენებლობის დროს დაგროვილ მდიდარ გამოცდილებებს.

ეს ქარხანა შენდება მადნაბარადვის შტატის დაახლოებით გეოგრაფულ ტენიტრში, ქ. დურგა და სადგურ ბნლიას შორის, რკინიგზის მთავარი მაგისტრალის ბომბეი-კალკუტას გასწვრივ, მის სამხრეთ-დასავლეთ მხარეში. ამ ქარხანას „ბნლიას მეტალურგიული ქარხანა“ ეწოდება. როგორც ინდოეთის ტერიტორიის უმთავრესი ნაწილი, აგრეთვე, თვით ამ ქარხნის ტერიტორიის ნადავის შედა ფენები ე. წ. „გურუმის“ ნიადაგს შეადგენს, რომელიც დაახლოებით 30% რკინის მადანს შეიცავს.

ბნლიას მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის ასათვისებლად შესრულებული უნდა იქნეს 5 მილიონი კმ. მიწის სამშუამოები, 600.000 კმ. ბეტონის სამშუამოები, გაყვანილი უნდა იქნეს 112 კმ. მიწისქვეშა მილსადენები, 12 კმ რკინიგზები და 18 კმ საავტომობილო გზები. ამჟამად მთავრდება დამზარე სამშუამოები, დროებითი რკინიგზები და საწყობები, რკინიგზის მულმივი სადგურის მშენებლობა, ლითონის კონსტრუქციების და მოწყობილობების საწყობების მშენებლობა — 15.000 კმ. მ. ფართის რაოდენობით. ამ ტერიტორიის უკვე საკმაო ნაწილია დამშენებული ჩვენი ქვეყნიდან შემოხილული ლალისფერად შეღებილი ლითონის კონსტრუქციებით. სულ აქ შემოხილული უნდა იქნეს 60.000 ტ. მეტალკონსტრუქცია, რომლის ანგარიშში უკვე მოედანზეა 15.000 ტონა.

ამჟამად დაწყებულია ქარხნის ძირითადი სამშრობის — საკოქსო სამშრობის, თბოსადგურის და საბრძმელე სამშრობის მშენებლობა, ხოლო მარტინის და საკლინავი სამშრობის მშენებლობაზე მიმდინარეობს მიწისქვეშა მილსადენების და საავტომობილო გზების სამშუამოები.

კერძოდ, ჩემს მოვალეობას შეადგენს საკლინავი სამშრობის მშენებლობის ტექნიკური ხელმძღვანელობის გაწვევა ინდოეთ ინჟინერ-ტექნიკოსებთან ერთად. საკლინავი სამშრობის მთლიანი ღირებულება მთელი ქარხნის ღირებულების 40% შეადგენს. ამჟამად მიმდინარეობს მიწისქვეშა მილსადენებისა და საავტომობილო გზების მშენებლობის სამშუამოები. აგრეთვე, ტარდება ისეთი დონისა-იებების ჩასატარებელი სამშუამოები, რომლებიც სამშენებლო მოედნიდან ავაკოვლებს დიდძალი წვიმის წყლების დაცვობას „მანსუნის“ განმავლობაში. ყველა ამ სამშუამოს შესრულება მიმდინარეობს უმთავრესად 10-15 კმ. მ. ტყვადობის სწრაფმავალი სკრაპერების საშუალებით.

ინდოეთის ქარხნისათვის დიდი გულმოდგინებით ასრულებენ დაკვეთებს ურალის მანქანათმშენებლობის სერგო ორჯონიკიძის სახელობის, ნოვოკრამა-ტორსკის და ლენინგრადის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნების მუშები, ინჟინრები და ტექნიკოსები.


მეტად ძნელი და მძიმე სამუშაოების შესრულებას საჭირო ინდოეთის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის ასათვისებლად. რთულ პირობებში უხდებათ მუშაობა საბჭოთა ინჟინრებს, მაგრამ ორი დიდი ქვეყნის მეგობრობითი ურთიერთ დამოკიდებულების გაფართოების მიზნით, ეს ადამიანები გააკეთებენ ყველაფერს, რათა შესრულონ მათზე დაკისრებული ამოცანა.

რევოლუციის ჯარისკაცი

მ. გიგინიაძე

მეამბოხე

მსოფლიო ომის მონაწილე გიორგი ღვედაშვილი, თუმცა ახალგაზრდა იყო, მაგრამ მამისტილოა გლეხებიც პატივისცემით ექცეოდნენ მშობლიურ სოფელში დაბრუნებულს — სოფელში იცოდნენ, რომ თვითმპყრობელობის დამხობის დღეებში მამამხობე გიორგიმ გენერლისა და ოფიცრების დაპატიმრებაში მიიღო მონაწილეობა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ამბავი ათჯერ ექნებოდა მოყოლილი, გლეხებს მაინც არ სწყინებოდათ თავიანთი თანასოფელის მიერ „მეფისტილო“ კაცის დაპატიმრების ამბის მოსმენა. მენშევიკების მიერ მოტყუებულმა ქართველმა გლეხობამ კარგად იცოდა, რომ უორდანია თავისი გვარდითი არაფრით ჩამოუფარდებოდა ნიკოლოზის სტრატეგიებს და წარსულში გადახდილი ბრძოლები მომავლის იმედს აძლევდა. თუ მეფეს მოვერთო, მენშევიკების მთავრობასაც შევებრძოლებითო. გიორგი ამას კარგად გრძობდა და ყოველნაირად



ნიკა ქიტაშვილი. გიორგი ღვედაშვილი.

ცდილობდა, ჯარის ამბებთან ერთად, სოფელში არსებულ სოციალურ უკუღმართობაზე ელაპარაკა. ერთ-ერთი ასეთი საღამოს შემდეგ, სახლში რომ აპირებდა გამგზავრებას, ლაგოდეხელმა ნიკა ქიტაშვილმა დაუშახა, დიდხანს ისაუბრეს. ნიკა ქიტაშვილი კომუნისტი იყო, იგი, თურმე, დიდხანს ადევნებდა თვალყურს ჯარიდან დაბრუნებულ ახალგაზრდას და როცა დარწმუნდა მის პატიოსნებაში, თავისი ვინაობაც გაუხშილა. ნიკა და გიორგი სულ უფრო და უფრო ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს. გიორგი საღამოობით წყაროს თავზე გლეხებს მოუთხრობდა რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკაზე, სადაც მიწა გლეხს, ფაბრიკა-ქარხანა კი მუშებს ეკუთვნოდა, ერთხელ პროკლამაციებიც გაავრცელა თანასოფლელებში. ნიკა ქიტაშვილმა გიორგი ლაგოდეხში არალეგალურად მომუშავე ამხანაგებს გააცნო. კომუნისტებმა იგი თავის რიგებში მიიღეს. ეს იყო 1918 წელს.

ბოლშევიზმის იდეების პიკაშორი

სისხამ დიდიდან დაღამებამდე, ნარიანციების, ლეკრიანციების, არუთინიანციებისა და მატინოვების თამბაქოს პლანტაციებში ოფლში გაწურული გლეხები არაადამიანურად შრომობდნენ. აქ, მეფის დამხობის შემდეგ, ოდნავადაც არ შემსუბუქებულა გლეხი-კაცის ბედი. „დემოკრატიული“ მთავრობა ყურადღებას არ აქცევდა მათ საჩივრებს. გლეხების ჩაგვრას ბოლო არ უჩანდა. ლაგოდეხის პარტიულმა ორგანიზაციამ გიორგი ღვედაშვილი სწორედ ამ უბანზე გაგზავნა. ორი-სამი კვირის შემდეგ პლანტაციებზე პირველი საპროტესტო გამოსვლა მოხდა. გლეხები გაიფიცნენ. ლაგოდეხის ორგანიზაციამ ყველაზე აქტიური გლეხები გიორგის რეკომენდაციით პარტიაში მიიღო. თანდათანობით თამბაქოს პლანტაციებზე მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლის მძლავრი ბაზა შეიქმნა. მაგრამ შემოდგომაზე გიორგი იძულებული იყო თამბაქოს პლანტაციებზე პოლიტიკური მუშაობა სხვისთვის გადაეხარებინა. იგი ჯარში გაიწვიეს. სამხედრო ნაწილი, სადაც გიორგი ღვედაშვილი მსახურობდა, ლაგოდეხის მახლობლად იდგა. სიღნაღის მაზრის პარტიულმა კომიტეტმა კომუნისტ ღვედაშვილს დაავალა პოლკში მოეწყო კომუნისტური იდეების პროპაგანდა, ემხილებინა მენშევიკური მთავრობის კონტრრევოლუციური ბუნება, შეექმნა პარტიული ორგანიზაცია. 3-4 თვის დამახული მუშაობის შემდეგ პოლკში მძლავრი პარტიული ორგანიზაცია შეიქმნა: ნიკოლოზ და გიორგი ყანაშვილები, ოსტებ ბეკაშვილი, ოლიფანტი შუბითიძე და სხვა ჯარისკაცები წარმოადგენდნენ ორგანიზაციის ბირთვს. იმ ხანებში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა შეიარაღებული აჯანყების მოწყობა მენშევიკების სისხლიანი დიქტატურის დასამხობად. ეს საქმე პოლკის პარტიულ ორგანიზაციას დაევალა. მალე გადადგმული იქნა პირველი ნაბიჯები. წითელწყაროში მყოფ სამხედრო ნაწილში ხმა გავრცელდა:

და: ლაგოდეხიდან კომუნისტი ჯარისკაცები ჩამოსულან კრების ჩასატარებლად. სტუმრების მიღება ფელდეხელმა იოსებ სიყმაშვილმა იკისრა. კრებას ბევრი ჯარისკაცი დაესწრო, ალუთქვეს რევოლუციონერებს: იარაღით ხელში გამოვალთ და თქვენს გვერდით ვიდგებიოთ. წითელწყაროდან გიორგიმ და ნიკოლოზ ყანაშვილმა ახლომხლო სოფლები დაიარეს, და სანდო ხალხს დაურთეს პროკლამაციები.

ღვედაშვილი სპარტაკუსად გამოვიდნენ

ვაშლივანის თავში იარაღსხული გლეხები იყრიდნენ თავს. იმ ღამეს მთელ საქართველოში უნდა მომხდარიყო გამოსვლები. სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე ნიკა ქიტაშვილი და მისი მოადგილე გიორგი ღვედაშვილი უკანასკნელ მითითებებს აძლევდნენ ცალკეულ რაზმების მეთაურებს. სრულ 12 საათზე რაზმები ლაგოდეხისაკენ დაიძრნენ. იარაღის და ტყვია-წამლის საწყობს მავთულხლართი ჰქონდა შემოვლებული, თვითმარჯვებული გუშაგი ბოლთას სცემდა საწყობის ეზოში. გიორგი ღვედაშვილის რაზმი ორად გაიყო. ერთი საყარაულოსკენ წავიდა, მეორემ კი გუშაგის მოხსნა გადაწყვიტა, 15 წუთის შემდეგ აჯანყებულ გლეხებს თოფებს ურიგებდნენ, ყარაულები კი სარდავეში ჩაკეტეს. საწყობის დაცვა გიორგიმ ნიკა ქიტაშვილს დაავალა, თვითონ კი რაზმის დიდი ნაწილით ჯარისა და გვარდიის ოფიცრების დასაპატიმრებლად გამოყოფილ სულაშვილის რაზმის დასახმარებლად გასწია. მოხერხებულად და უშაშრად იქცეოდა ვასილ ნიკოლაიშვილის ხალხი. ვასილი რამდენიმე კაცით გვარდიელების ყაზარმაში შეჭრა. სწრაფად აპყარეს იარაღი მცველებს და დაიკავეს ის ადგილი, სადაც გვარდიელების თოფები იყო აყუდებული. საცვლების ამარა გვარდიელები კი გარეთ გამოყარეს.

ერთ საათში ლიკვიდირებული იყო მტრის ყველა კერა. დააპატიმრეს „ეროვნული“ წინამძღოლები. ლაგოდეხში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა. შეთანხმების თანახმად, მთის წვერზე დიდი ცეცხლი ავარდა, აჯანყებული ლაგოდეხელები სიღნაღის მაზრის პარტიულ კომიტეტს გამარჯვების ნიშანს აძლევდნენ. მეორე დღეს, ხალხმრავალ მიტინგზე გადაწყდა, სიღნაღში აჯანყებულთა ძლიერი რაზმი გაეგზავნათ, მაგრამ სწორედ ამ დროს სამაზრო კომიტეტიდან მიიღეს დაშიგრული ტელეგრამა. სიღნაღელებს ვერ მოეხერხებინათ გამოსვლა. ლაგოდეხისაკენ ჯავშნიანი მატარებლით მოდიოდნენ გვარდიელთა დიდი ძალები.

თითი ვაჟი

აჯანყება დამარცხდა. რევოლუციონერებმა ტყეს შეაფარეს თავი. მენშევიკებმა აჯანყებულთა ნათესავებზე იყარეს ჯავრი. მათი მშობელ-ნათესავები დააწიოკეს, სახლკარი დაურბიეს. მაგრამ მენშევიკებმა მაინც ვერ შესძლეს აჯანყების მოთავთა შეპყრობა. მაშინ სხვა გზას მიმართეს. ყაჩაღად გვარდიელ ფეოკაბაშვილს, ყობაღრიკო ლეკებსა და ზოგიერთ სისხლის სამართლის დამნაშავეს დავალება მიეცა მუხანათურად მოეკლათ ნ. ქიტაშვილი, გიორგი ღვედაშვილი და სხვები. 1921 წლის 15 იანვარს აწერბაიჯანში ვერაგულად მოკლეს კომუნისტები ნიკოლოზ ქიტაშვილი და ლევან კანჭუერისვილი. გიორგისა და მის ამხანაგებს ბრძოლა არ შეუწყვიტიათ. 1920 წელს მენშევიკებმა განიზარებს საქართველოს მეზობელ აზერბაიჯანის რაიონებში მდგომ წითელი არმიის ნაწილებზე მოხდინათ თავდასხმა. მათ გაავრცელეს ხმა, ყობაღრიკო-ბელეჩანში მძარცველთა რაზმები დათარეშობენ, ჩვენც გვემუქრებიან, საჭიროა მათი განადგურებო. გიორგიმ და მისმა ამხანაგებმა კარგად იცოდნენ, თუ რისთვის ესაჭიროებოდათ მენშევიკებს ეს პროვოკაცია, ამიტომ დაუკავშირდნენ ჯარისკაცებს, ყაზახაშვილსა და ბურდულს. აუხსნეს, რომ მენშევიკებს მოტყუებით ჯარისკაცები წითელი არმიის წინააღმდეგ საბრძოლველად მიჰყავდათ. ყაზახაშვილმა და ბურდულმა დიდი მუშაობა გასწიეს ჯარისკაცებში და დანიშნულ დროს ისინი აჯანყდნენ. რევოლუციურად განწყობილ ჯარისკაცებს ალუა შემოარტყეს გვარდიელთა პოლკებმა. აჯანყება დამარცხდა. მეთაურები დახვრიტეს. რუმრისები ახალი ძალით გაჩაღდა. კომუნისტებს მუშაობა მეტად მძიმე პირობებში უხდებოდათ, მიუხედავად ამისა, გული არ გაუტეხიათ — მართალია, იარაღით აღარ იბრძოდნენ ამჯერად, პროკლამაციების გავრცელებით კმაყოფილდებოდნენ, აკიტატორებს აგზავნიდნენ ჯარის ნაწილებში, აშალებდნენ ნიადაგს ახალი გამოსვლებსათვის. და თუ 25 თებერვალს წითელი არმია ლაგოდეხში ბრძოლით არ შემოსულა, ამაში ადგილობრივი კომუნისტების დამსახურებაც დიდი იყო. საქართველოში გაიძარჯვა საბჭოების ხელისუფლებამ. ლაგოდეხის რაიონის ლელიანის თემის რევკომის თავმჯდომარე გიორგი ღვედაშვილი იყო.

მოკვებადი უღება

ღამის თორმეტი საათი იქნებოდა. ობლისის რკინიგზის სადგურის მოსაცდელი დარბაზი ხალხით იყო გაქედული. გულმულა ფართო მერხებზე ჩამომსხდარიყვნენ მგზავრები, მხოლოდ რამდენიმე კაცი იდგა გაზეთების კიოსკთან და გიტრინაზე გამოფენილ წიგნებსა და ბროშურებს ათვალთვებდა მატარებლის გასვლის მოლოდინში. მალე ამ კიოსკს ხანში შესული კაცი მიუახლოვდა, გაზეთების გამყიდველს, მოხუც კაცს მიესალმა, ახალი „ნონაგი“ გამოართვა, გაშალა და თავაუღებლად გეობათ:

- რომელ საათამდე მუშაობ, გერმანე?
- თორმეტამდე — უპასუხა მოხუცმა.
- მერე? უკვე პირველი დაიწყო.
- ფოთის მატარებელი ორის ნახევარზე გადის და ხომ იცი, მგზავრი უგაზეთოდ ცოლოა გზაში — გაიღმა მოხუცმა გამყიდველმა გერმანე მარშანამ და თვალის გაყვლა ძველ ნაცნობს.

1903 წლიდან 1914 წლამდე გერმანე მარშანია ფოთის ნავსადგურში მუშაობდა მარგანეცის მტკირთავად. იქ ჩაება პირველად არალეგალურ მუშაობაში. აგრცელებდა პროკლამაციებს, სახლის კედლებზე აკრავდა რევოლუციური ფურცლებს. ერთხელ ფოთის ცირკში აპყარა პროკლამაციები წარმოდგენის დროს. ერთი ამბავი შეიქნა, აწრიალდა პოლიცია. მაგრამ გადარჩა, ვერ იპოვეს. სამაგიეროდ ძებნა დაუწყეს, დაპატიმრებას უპირებდნენ. გამოიქცა და თბილისს შეაფარა თავი. პირველად ჟურნალ-გაზეთების გამავრცელებელ კონტრსააგენტოში მოეწყო ექსპედიტორად, აქ პასპორტი არ მოთხოვეს და ადვილად მიიღეს. მალე რკინიგზის სადგურის კიოსკში გადავიდა სამუშაოდ. არ უნდოდა სხვა გამყიდველთა მსგავსად ქუჩა-ქუჩა ეტარებინა გაზეთების დასტა. სადგური უფრო ეჭმიუტანელ ადგილად მიაჩნდა. თუმცა იატაკვეშელმა ამხანაგებმა მალე მიავნეს მის ადგილსამყოფელს და გამოიყენეს კიდევაც ეს შემთხვევა. იმ დღის შემდეგ გერმანე სხვა გაზეთებთან ერთად, არალეგალურ პრესასაც აგრცელებდა თავის კიოსკის სამუშაოებით. კარგად ახსოვს გერმანეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღეები. მაშინ პირველად ნახა თბილისის ქუჩებში წითელარმიელები. ერთმა მათგანმა უნდო თვალითაც კი შეხედა გერმანეს კიოსკს, განხრკივს და... ბოლშევიკური გაზეთების დასტა აღმოჩინეს!

მას აქეთ ამ კიოსკში მუშაობს გერმანე, ბევრჯერ დააპირა სხვა სამუშაოზე გადასვლა, მაგრამ გულმა არ დაანება, ვერ დასთმო ძველი ადგილი, უფრო შეეთვისა და შეუყვარდა, როგორც ექიმს შეუყვარდება ხოლმე მძიმე ოპერაციის შემდეგ განკურნებული ავადმყოფი. ასეთივე განკურნებულ ავადმყოფად მიაჩნა გერმანეს თავისი კიოსკი, რომელშიც ახლა ფარულად კი არა, თავისუფლად აგრცელებს კომუნისტური პარტიის ყველაზე შორსმსროლელ იარაღს — საბჭოთა პრესას.

მ. გარიაშიძე





1861 წლის სექტემბრიდან პეტერბურგში სტუდენტთა არეულობა დაიწყო, ლექციების კითხვა შეწყდა და უნივერსიტეტიც დაიხურა. ილია პეტერბურგის უნივერსიტეტის უკანასკნელი კურსის სტუდენტი იყო.

ილიამ პეტერბურგში დაბრუნება გადაიფიქრა და საბოლოოდ სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა.

ილიამ თბილისში გაიცნო ოლღა თადეოსის ასული გურამიშვილი. გაიცნო, მოეწონა და შეუყვარდა კიდევ.

თადეოს გურამიშვილის, ოლღას მამას, არაფრად მოსწონდა ღარიბი, ხელმოკლე თადეოსი, უსამსახურო, უდიდობმო სასიძო ილია ჭავჭავაძე და წინააღმდეგი იყო, ოღონდ ცოლად გაყოლოდა მას.

რამდენიმე მეგობრის დახმარებით 1863 წლის 21 აპრილს იქორწინეს ილიამ და ოლღამ. ჯვარის წერა მოხდა სამების ეკლესიაში, თბილისში, ყოველგვარი ცერემონიისა და ხმაურის გარეშე.

„თუთი მეუღლე ილიასი, — წერდა გრ. ყიფშიძე, — აღმოჩნდა ყოველად კეთილი, სათნო ხასიათის ადამიანი, ქველის — მომქმედი, ყოვლის კეთილის თანამგრძობელი, დიდად მოსიყვარულე თავისის სახელოვანის ქმრისა და მამამრთველი მისი ნიჭისა. სულ თვალსა და წარბში შესცქეროდა ოლღა ილიას და თა-

ვისი დღენი იმას ცდილობდა, მისი საწყენი და უსიამოვნო არა მოემთხვეოდნა. როცა ილია სწირდა და თავის ოთახში მუშაობდა, სახლში ჩამჩურჩინო არ ასწროდა, სასტიკი მღუმარება იყო გამეფებული ოლღას წყალობით“.

სამაგიეროდ ილიაც ღირსეულად აფასებდა თავის მეუღლეს, ცნობების ერთგულ თანამგზავრს ოლღას, რომელსაც თავისი ლექსთა კრებული და უკვდავი პოემა „განდეგილი“ მიუძღვნა.

დიდი მწერლის მრავალრიცხოვანი ბირადი წერილები მშვენიერი ლიტერატურული თაგულია, რომელშიაც ასახულია თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენები. ჩვენ თვალწინ იმდენად გარდასულ დროთა და ადამიანთა სახეები, მათი ინტიმური გრძნობათა სამყაროს ნათელი სურათები; აქ მოჩანს ადამიანთა სინარული და მწუხარება, სიყვარული და სიძულვილი, მისწრაფება და ტანჯვა.

და, ბოლოს, მთელი ეს ერთად თაქმობილი მიმოწერა გვეჩვენებდა ისეთი რთული და დიდი პიროვნების შესწავლაში, როგორც არის ილია ჭავჭავაძე.

მეუღლისადმი მიმართულს ილიას მრავალრიცხოვან ბირად წერილებიდან მხოლოდ რამდენიმეს ვაწვდით მკითხველს ჩვენზე შენიშვნებით.

შ. გოგალიშვილი

I წერილი

[1863 წლის მარტი]

ქვიანო ყოფილხარ, შვიცი, ჩემო კარგო მარტო ესკია ცუდი, რომ მაგ „მოლოჯანს“ აბრეყებ, მაგრამ რა? ბრეყვი ყოველთვის ბრეყვი უნდა იყოს, ჩემო ოლიკო! და შენც ასეთი რამა ჰყოფილხარ, თუ ვინმე შენის კბილისა ჩაივდებ, მიწასთანაც გაასწორებ. მე ძალიან მიამა, რომ მხიარულს წიგნს იწერებ, მხიანს კარგა მაღიანად გამოვიძინია, მე კი ისევ ისე უძიო ვარ, არ მახვენიებ არც დღე და არც ღამე; შენ მაინც დაიძინე ხოლმე ჩემ მაგიერად.

მასკარადში მასკით იქნებ, თუ არაო. შენგან არ მივიძინებ, რომ მაგასა მკითხავ! მე რათახანია ავიხსენი მასკა და შენ დაგეხახვე ისე, როგორცა ვარ; ეხლა მასკის დახურვის დრო აღარ არის. მე თუ წავალ ამაღამ თერმეტს საათზედ მოვიცილი, მაშინ წავალ; თუ არა და, მოვალ შინა და გუშინდელ დღის მოგონების ბურანში დავიძინებ. იქნება ჩემი შურნალი ხვალ დაიბადოს, ტკივლები აუშლენ მშობიარესა და იმედია, რომ თორმეტ საათამდე ქვეყანასა ნახავ ჩვენი „საქართველოს მოამბე“. აბა, კრიტიკებს მაშინ უყურე! მაგრამ ნუ გეშინიან: **За нами всегда будет истина святая.**

შენი უყუნიითი უყუნისამდე ილიკო ჭავჭავაძე.

P. S. ეს ეს არის მომივიდა ამავე, რომ მშობიარე ჩვენი სწორედ სამშაბადს დაწვება საქართველოს მოამბის საშობავედ. ეს ამავე მეწყინა კიდევ და მამა, მამა, იმითომ — რომ საძაგალ და მტრეული ვარ და მკვდარი, მეწარებოდა ამაღამ ჯაფა და შრომა. სულ შენი ბრალია!..

II წერილი

ნომერში, მართლაც ხელმოუწერლად დაიბეჭდა ილიას თხზულებები: ლექსები — „ჩემო კალამო, ჩემო კარგო“ და „მუშა“ ბოლოში სამი ვარსკვლავით, „გოგალის ნამბობის“ პირველი ხუთი თავი — მ. ჯიშვერდის ხელმოწერით, ხოლო ჟურნალის საპროგრამო სტატია — „საქართველოს მოამბეზედ“ ხელმოუწერლად.

III წერილი

ჩემო კარგო ოლიკო! აღდგომას აქეთ დღევანდლამდე შენი წიგნი არ მომხვლია. დღეს მომივიდა სამი წიგნი ერთად და ძალიან მიამა. დიდი სამღურავი მოვიწერია და ეგ სამღურავი მეტად მეწყინა. მე მარტო ერთი ფოშტა ამცდა და შენ კი სამივე წიგნი სამჯერ მიჯავრდები. ერთი დანაშაულობისათვის სამჯერ გადახდებინებ — რაჯულის წინააღმდეგია. მაგრამ რადგანაც მაინც და მაინც მე შენს წინაშე, ჩემო კუკლუშკი დამნაშავე ვარ, — შენი ყველაზე და სამღურავი „კისრად ვიდე და დავდუმებ“.

მე ქალაქში ჩავიდე ნ-ს აპრილს და აის აპრილს უკანვე დავბრუნდი. ამ დღეებში ამცდა ფოშტა და შენ ესეც არ მამატივე. დამაცა მანდ მოვალ და შენს ჯავრს სრულად ამოვიყრი. აღდგომა დღეს მე, ალექსანდრემ და ლიზომ ტელეგრაფმა მოგწერით, გეცე არ მივიღია. მივიგირს რატომ არ მოგვლია. შენმა გარდამ ქალაქში ასეთი მოწყენილი ვიყავ, რომ მეტი არ იქნება. არავინ არ მინახავს ირაკლის სახლობის მეტი, ისიც იმითომ — რომ მთხოვეს.

მწერ მალე მოდიო. მეც ძალიან მინდა მალე წამოხვლი, მაგრამ ასტავა¹ აქამდის არ მომხვლია. ლოდინით ვუღი და მელია. ვიდრე ასტავა არ გამამივინა და საქმეებს ჩემს მოადგილეს არ ჩავაბარებ, ვერ წამოვალ. ვერ წარმოიდგენ რა რიგად მინდა თქვენი ნახვა და ნამეტნავად შენი, ჩემო კარგო კუკლუშკი. სულითა და გულით თქვენთან ვარ, ეს ჩემი სხვილი ტიპკორა ტანი კი აქა ვეღა.

კატონ უთხარ, რომ ჩემთვის ტყუილად დაურქმევია ტიპკორობა; მე კლანსიკური სახელი მაქვს, გ. ორბელიანისაგან მოცემული: ის ლიბერალი, ბურთივით რვეალი. სხვა სახელს არა ვისრულო. კატონ უთხარ მეფეროს, თორემ ქართველების ბანკიდან ფულებს აღარ ვასესხებ² და ცარიელი დამჩრება...

ძალიანა ვწუხვარ, რომ არ მომწერე ყმაწვილებს რა მოუტანო. მე ხომ იცი გამოუხადევი საჩუქრების მოტანა არ მიყვარს. მინდა ქალებს ან კი ვიგენბი ვუყუიო, ან ზაფხულის შლიაბები. კოლიასა და გივისა სათამაშოებს მოვუტან, სენოსი³ კი არ ვიცი რა მოუტანო. ვფიქრობ და ვერ მომისაზრებია. მე მგონია, რომ ჩემდა საწყენად, მასისაც აქ გამატარებინებენ. ერთის მხრით კი კარგია: ოცს თუმანს ჯამაგირს კიდევ ავიღებ, მეორე მხრით კი, რომ შენი ნახვა მივიციანება — ფრად მწყინს და ვწუხვარ. მაგრამ არა უშავს-

რ. უფრო ტკბილი იქნება ჩვენი შეერა. ახ, ნეტავი ეხლა მე შენთან ვივადე და შენს ტიტინს მე ყურს ვუვადებდე!.. მაგასაც ღვთის მადლით, მოვესწრებით.

დimitრიუ⁹ передай, что я ему благодарен за внимание, которое оказал моей просьбе относительно грека!¹⁰; что рекомендуемый мной грек способен управлять уездною тюрьмой; что за честность и аккуратность его я ручаюсь. В этом смысле я послал Димитрию депешу.

დუშეთში პირველის მაისიდან სულ სადილებს გვიმართავენ, საზანდრებიც დაიბარეს ქალაქიდან და ვიდრე მე წამოვალ, იმ დრომდე საზანდრები აქ ეყოლებათ. მაგრამ ნუკი გგონია, რომ მე ფრად დიდს სიამოვნებაში ვიყო. რაუი შენ ჩემთან არა ხარ, ისე ვერ ვმხიარულობ. როცა შენ ჩემთან ხარ, შენი ფასი არ ვიცი ხოლმე, როცა ცოტას მოგმორდები, მაშინ შევიტყობ ხოლმე რა საუნჯეც მაკლია. კომპლიმენტად ნუ მიიღებ. ხომ იცი, რომ მე ალერსი და პირფერობა არ მიყვარს. რასაცა ვწერ, მართლსა გწერ. ახ როდის იქნება გნახო! მე დიდი იმედი მაქვს, რომ ამ ერთ თვეზედ თავს დაგიკრავთ. ჩემ მაგიერ სავანელი¹¹ დანიშნეს, სავანელის მაგიერ თულაგვი¹² და თულაგვის მაგიერ ფურცელაძე¹³. გვგონებ სავანელი მალე გამოგზავნი. თუ არ გამოგზავნიან ოცს მაისამდე მე ავადმყოფობის ქალაქს მივცემ და თავს დავანებებ. მაშინაც ვიდრე საქმეებს არ მივაბარებ, წამოსვლა არ შემიძლება.

თუ გიყვარდ, მამწერე ყმაწვილებს რა წამოვუღო; შენ რა საკაბე, გიყილო, ზაფხულისა. თუ იაფი ფასის საკაბეებს მამწერე, თუნდა ორს გიყილო.

ლიბიტრი,¹⁴ კატონ¹⁵ თავის შვილებით დამიკოცენ. აქაურები მოკითხვას გითვლიან. ყოველს სადილზედ შენს სადილგარქმელოს დიდის ყოფითა და ამბითა მინე ხოლმე.

ურასა და მრავალუამიერს ბოლო არა აქვს. ღმერთმან გაცოცხლოს, ჩემო კუკლუშკი, მრავალ უამიერ ჩემდა ნუგეშად და სასიხარულოდ.

საუკუნოდ შენი ილია ჭავჭავაძე 4 მაისი [1873 წ.].¹⁶

II წერილი შენი შვინი ბი I ალექსანდრე ლიბიტრის ძე საგი-ნაშვილი, გენერალ-ლეიტენანტი, ილიას დის — ელისაბედის (ლიზოს) მეუღლე.

2 ლიზო — ილიას და — ელისაბედის საიანშვილისა.

3 უნდა იყოს ირაკლი ალექსანდრეს ბაგრატიონი (გრუზინსკი) (1827-1882) მეფე ერეკლეს შვილი-შვილი; მისი მეუღლე თამარი დავითის ასული ჭავჭავაძე. ილიას მეგობრული განწყობილება ჰქონდა მათ ოჯახთან.

4 ილია ელოდებოდა სამსახურიდან განთავისუფლებას, რის შესახებაც თხოვნა ჰქონდა გაგზავნილი.

5 ილიას ცოლისა — ეკატერინე სტაროსელსკისა.

6 თაობათა შორის გამართულ ბრძოლის დროს ილიას „გამოცანების“ საპასუხოდ 1872 წლის იანვარში გრ. ორბელიანამ დაწერა ლექსი „პასუხი შვილთა“. ამ ლექსის ვარიანტში გრ. ორბელიანი ილიაზე ამბობს: „ის ლიბერალი, ბურთივით მრვეალი...“

7 სათავად-ანხაურთა ბანკის დაარსებისათვის მზადების ერთ-ერთი ინიციატორი ილია იყო. იგი სწორედ ამ მომავალ ბანკს გულისხმობდა, როცა ხუმრობით წერდა: ქართველებს ბანკიდან ფულებს აღარ ვასესხებთ.

8 კოლია, გივი და სენო იყვნენ ილიას ცოლისდის ეკატერინე სტაროსელსკის ბავშვები.

9 ლიბიტრი სტაროსელსკი — ილიას ქვისლი.

10 ილია სხვა წერილებშიც იხსენიებს ამ ბერძენს, რომლის სამსახურში მოეყვინა თხოვა თავის ქვისლს, ბაქოს გუბერნატორს ლიბიტრი სტაროსელსკის.

11 სავანელი ილიას განთავისუფლების შემდეგ დანიშნეს დუშეთში მომრიგებელ მოამართლოდ.

12 უნდა იყოს სმებოდეს ვახტანგ თულაგვილი, საზოგადო მოღვაწე, ქ. შ. წ. — კ. გ. საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი თავიანი.

13 უნდა იყოს ანტონ ფურცელაძე, მწერალი, საზოგადო მოღვაწე.


14 ლიბიტრი სტაროსელსკი — ილიას ქვისლი.

15 კატონ — ილიას ცოლისდა სტაროსელსკისა.

16 წერილის წელი არ უწყერია, შინაარსის მიხედვით უზუსტად დათარიღდა. დაწერილია 1873 წლის 4 მაისს.

III წერილი

ჩემო კარგო ოლიკოჯან! ამ ბოლო დროს ისე დატრიალდა ჩემი ბედი, რომ მწუხარება მწუხარებაზედ მატყდება თავზედ და ლამის ჩემი დამეპართოს. შენც ამ ათასნაირს ვაი-ვაგლახს ცეცხლს უფრო უმატებ ხოლმე და მე აღარ ვიცი სად წავიდე და ვის შევეკედლო. ვერა მითქვამს-რა შენთვის ისეთი, რომ ან იმავე დღეს, ან მეორე დღეს შენ ნამტირალევი არა გნახო. არ ვიცი ღმერთმან იცის რა ღვთის რისხვა მეწყვია. აბა მანდ ამოვიდე წარსულს შაბათს, ვნახე, რომ ციციანოვი¹ გულმოდგინედ აღარ ეკიდებდა საქმეს და თავის გასაკეთებელს მევე მახვევს კისერზედ, მაწყვია ეს ყველაფერი, გავჯავრდი და დღესაც ამაზედ ვარ გაჯავრებული და შენ ამ გაჯავრების პასუხსა მთხოვ. რა ვქნა, რა ცეცხლში ჩავვარდ, არ ვიცი. ოცდაოთხი წელიწადია ერთად ვცხოვრობთ და ნუ თუ ჩემი საძაგელი ხასიათი ვერ იცინა ვერაუც. განა არ იცი, რომ თუ მეწყინა რამე, გულში ჩავიხვევ ხოლმე და შუბლს აღარ ვავისნი არავის წინ ვინემ გულიდან ჯავრს არ ვადავიყრი. ორმოცდაათის წლის კაცი ვარ და ხელახლად ხომ აღარ დავიბადები? განა მე კი არ ვიცი, რომ ამ ჩემის ხასია-



ილია ქავჭავაძე



ოლღა ქავჭავაძე

თით გაწუხებ, მაგრამ შენ იცი, რომ ეგ ხასიათია და უნდა შემიწოდო ხოლმე. ტყუილად დაგებულებია გულში რაღაც ეჭვები, მე შენი ისეთივე გულით პატივისმცემელი ვარ და მოყვარული, როგორც ოდესმე ვყოფილვარ. მეუბნები ისე აღარ მიაღერებდი, არაფერს არ მელაპარაკებო. ნუ თუ არა ჰხედავ, რა ვა ვაგლახში გავაბი ჩემი, ეხლა კი გეტყვი, უბედური თავი! განა არ ჰხედავ, რომ ერთი წუთი დღე და ღამ მოსვენება არა მაქვს და შენს, ჩემის გულითადის და საყვარელის მეგობარის სამდურავს როგორღა გავუძლო! განა საქმით არ არის, რომ აქედ იქით მტრობას, ცილისწამებას, ათასნაირს მწუხარებას, ჭირსა და ვაგლახსა ძლივს ავდივარ, ძარღვები სულ მომეშალა, ღონიდან დავიცალე, ჩემის საკუთარის ბედნიერებისათვის აღარ ვცოცხალვარ — ნუ თუ ეს ყოველი საქმით არ

არის, რომ შენი სამდურავებიც ზედ არ დაერთოს. შენ უნდა ამისთანა შემთხვევაში ხელი მომაწოდო შეველისა, შენ უნდა გამიტკბილო მწარე ცხოვრება, შენ უნდა გადამაყრევინო ჯავრი და მწუხარება და მის მაგიერ შენ ჩემს ავ-კაცობას დასტირი ხოლმე და ჩემთვის გულსაკლავ სამდურავს მითვლი. ვიცი ბევრს გაწუხებ ჩემის უგემურობით, მაგრამ შენც უნდა ცოტა შებრალებდე იქონიო.

ჩემო კუკლუშკი! შენ უნდა იცოდე, რომ განგებ და განწარბ მე შენს წყენას, შენს შეწუხებას თავს მოვიკლავ და არ მოვიწოდებ კი, იმიტომ, რომ ერთად-ერთი საგანი ჩემის ცხოვრებისა შენა ხარ. არ მიყვარს ამისთანაების თქმა, მაგრამ რა ვქნა, რომ მათქმევი ნებ ხოლმე. ღმერთს ჩემთვის აღერისს ნიჭი და უნარი არ მოუცია და როცა მეტი გზა არ არის, რომ აღერისანი

სიტყვა უნდა ვუთხრა ვისმეს, მე თვითონ ვწითლდები. გაწითლებას კიდევ გავუძლებდი, სწორედ სულიერად ვიტანჯები ხოლმე. ასე მგონია ხოლმე, რომ გული გავიუპატოურე, როცა წმინდად გულში შენახული გრძნობა პირით გამოითქმის. იგი გრძნობაა მართალი, რომელიც კატახვით დღე მუდამ არა სჩხავს და მზეთ უნახავად დაბინავებულია გულში.

ამ სახით, ჩემო კარგო ოლიკოჯან, ერთხელ და ერთხელ მერწმუნე, რომ თუ მოღრბულულსა მხედავ, ეგ ჩემს უგემურს ხასიათს მიაწერე და არა იმას, რომ შენს ბედნიერებას მე გულგრილად ვეჭყევოდე. ბევრჯერ მეტი სიტყვა მომივა ხოლმე, ბევრჯერ გუნება ისე მომეშლება, რომ ლაპარაკის თავი არა მაქვს, ბევრჯერ დაეჭირებული და ხმაგაქმნილი დავეთრევი, — უფრო ხშირად არც მოცლა მაქვს და არც ხა-

ლისი ხმის ამოდებისა და გართობისა და შენ კი ყოველს ამას სამდურავს მიზუნად ჰხედი და შენდობის მაგიერ გულს მიკლავ ხოლმე. ესეც იცოდე, ჩემო საყვარელო კუკლუშკი, რომ როცა მაგისთანები შესმის შენგან, ან როცა სახის-მეტყველება შენი ამატებს მანისწენებს, ის დღე ჩემთვის სიკვდილია. ამას არ გეუბნები ხოლმე და ვმალავ; და აბა სწორედ ეს არ-თქმა და მალვაა ის დიდი ჭირი, რომელიც კაცს ბოლოს უღებს და ნელინელა სიცოცხლესა სწოვს. რაც შენ ეგ ხასიათი დაიჩემე, მას აქედ მომწყდა წელი და ვგრძნობ რომ დღე და ღამე უკან მივდივარ სულითაც და ხორცილთაც. თუ ჩემი სიცოცხლე გინდა, ძველებურადვე მოიბრუნე ჩემკენ გული და ყურს ნუ ათხოვებ ხოლმე, როცა მე წარბეჭერული ვარ და რაზედმე გულ-ნაწყენი. შენ აქ არასფერს შუაში ხარ ხოლმე და თუ პატარას გაგებუტები ხოლმე, ეგ უნდა მაპატიო და შემიწოდო, იმიტომ — რომ შენი კარგად და მხიარულად ყოფნა ჩემი კარგად და მხიარულად ყოფნაა.

ერთის სიტყვით, შავათამდე დამაცალე და შავათს მოვალ და ყურებს აუწეე ჩემს უმადურს, მაგრამ ყოველთვის ერთგულს და საყვარელს კუკლუშკასა, რომ მეორედ ამისთანაები აღარ გაბედოს. აბა, ერთი იფიქრე შენ, ჩემო კარგო და გულითადო მეგობარო, ისეთი რა უნდა მაწყენო, რომ გულში ჩასარჩენი იყოს და იმავ წამსვე წყალს მისაცემი არ გახდეს ჩემგან! შენ ჩემს სახეს ნუ უყურებ ხოლმე და მარტო ჩემს გულში ჩამოიხედე და იქ ნახავ რამოდენა საყვარული მაქვს ჩემის კარგის ოლიკოსო.

შენი ერთგული ილია ქავჭავაძე.
უთარილო [1887 წელი].²

III წერილის შენიშვნები

¹ უნდა იყოს ციციშვილი, იმ დროს (1887 წ.) ილიას მოუარავი საგურამოს მამულში.

² წერილი უთარილოა, დაწერილია 1887 წელს. ილია წერილში თავის მეუღლეს სწერდა: ოცდაათი წელიწადია ერთად ვცხოვრობთ და ნუთუ ჩემი საძაგელი ხასიათი ვერ იცანი ჯერაც... ორმოცდაათი წლის კაცი ვარ და ხელახლად რომ აღარ დავიბადებო. ილიას დაბადებიდან (1837 წ.) 50 წლის ხნოვანება 1887 წელს მოდის; ილიას ქორწინებიდან (1863 წ.) 24 წლის შემდეგაც 1887 წელია.

ქარლო ქალაქი ქართული სიმღერა

ლხინშია თუ ჭირში, მუდამ, ოჯალეშის შავ-შავ თვალებს შეეკითხეთ შეყვარებულ გულს რა ატკობს, რა აწვალებს!

რტოაჩინბო ბაღში ვნახეთ: თავდახრილი იდგა ვაზი — ვაჟი იყო ლამაზთვალა, ლაზი იყო, ალბათ, ლაზი!..

ეს ამბავიც იმ წელს მოხდა, როცა ჯავრი იყარა და ურჯულოთა მსგავსად ისევ ალიფაშამ გვიღალატა.

ალიფაშამ გვიღალატა, ტყვედ შეიპყრო თამარ-ქალი, ცინე-დარბაზს შემოავლო გალავანი მხარმაღალი!

მაგრამ შეცდა მოძალადე, დგას გაკიცხულ-გარისხული, — ოჯალეშის შავ-შავ თვალებს მოუხიბლავს ქალის გული!

მოძალადეს ჯავრი აღრჩობს და სიმშვიდის არა სჯერა, — ხშირ ფოთლებში ელანდება მიმალული თვალთა მწერა.

ფიქრობს: ქართველ კაცის გულმა არ იქნება არ ილხინოს, — მისთვის აღწევს ვაზის ფესვი აჭარიდან საინგილოს!..

ცხრაკლიტულში გადამალა ალიფაშამ თამარ-ქალი, ისე ყრუდ და ისე მაღლა, ხარკმელს ვერც კი წვდება თვალთ.

სად იყო, და სად არ იყო: ვაზი იყო, ალბათ, ვაჟი — სატრფო ღამით რომ ენახა, ხის ბნელ ტოტებს აჰყვა ცაში!

აჰყვა უმალ გახელებაც ხელებივით აწვდილ კიბეს! — თვალთ არსად შერჩენია, ვაზი ისე გადაჭკრიფეს!

და ძირვიწრო გიდელებში თუმცა ჰყრიდნენ შავ-შავ მტევნებს, — ნეტარების შუქი მაინც შერჩათ, როგორც ღამისმთევლებს!

არა, მაინც, ნეტარება ალიფაშას არ ეღერსა, და ერთბაშად საწნახელში სურდა ქუსლით დაეხრისა!

იძახოდა: — სისხლი თქვენი ათრთოლებულ პეშვით მისვამს, დღეს კი სიტკბო უფრო მათრობს ამ თვალების ცრემლებსა!..

აიღო და თვალთა ეშხი რაც-კი ცრემლად წარეცხილა ჩაფით ქვევრში გადაუშვა რომ მზის შუქი არ ეხილა!

დაახურა სიბი ქვა და სველი თიხით გადალესა... მტრად გაუხდა სიყვარულის და სიმღერის სამარესა!

ასჭრა ვაზი! — კილით-კიდე მისწვდა მისი გაავება, სიყვარულის და სიმღერის ნაცვლად მტრობა გაამეფა.

მაგრამ ქართველ კაცის გულმა არ იქნება არ ილხინ-ახ, — მაინც აღწევს ვაზის ფესვი აჭარიდან საინგილოს!

სამამულე რქას აჩნია სისხლის წვეთი მაშინდელი, — შემოხედეთ ქართულ ვენახს — თუ არაა რქა-წითელი!


ხიდან გვიცქერს ოჯალეში, ჭროლა თვალებს ახლს ციცქა... დრომ კი ღრუბლის ნაფლეთივით ალიფაშა მიივიწყა!

იმ წელს მოხდა ეს ამბავი, როცა გული მეცა მქონდა, მაგრამ, დახეთ, სიჭაბუკე სიბერეშიც მომაგონდა!

და სარქველი მიწამიყრილ ქვევრს ავხადე ალაღბედად! — მწამდა ძველი სიყვარული ძველი ამბით გაამებდათ...

აბა ჯამი, ვისაც უკვდავ თვალთა მწერის არა სჯერა!.. დავლიე და ახლაც იმავ სიყვარულზე ამამღერა.

არა, ქართველ კაცის გულმა არ იქნება არ ილხინოს, — დღესაც აღწევს ვაზის ფესვი აჭარიდან საინგილოს!



ელიზაბელ ბავარიონი

(რაც საჭიროა კასრების ვასარეცხად და სხვა საჭიროებისათვის) მთიანეთში წესით იღებდნენ. ასევე აქ ფაქტობრივად ორთქლის მისაღები სპეციალური დანადგარი. მარანში სამუშაოები მილიანად მექანიზებული და ელექტროფიცირებულია. ყველა სამუშაოს ზუსტ ვადებში ასრულებენ მოცემული გეგმის გადაჭარბებით, აქ ზრუნვის საგანია არა მარტო სამარკო ღვინოების დამზადების გეგმის შესრულება, არამედ ჭაჭისგან ნედლი სპირტის გამოსვლაც.

ახლა შალვა ხოსროვილი ამ მარანში მეთორმეტე სეზონს ხვდება. კახეთში წელს ყურძნის მოსავალს კარგი პირი უჩანს. მარანში ვაცხოვრებული მზადება სეზონისათვის. მარანის კოლექტივის ადგილობრივებს საქართველოს კომუნისტური პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილება — 1960 წლისათვის რესპუბლიკაში 7-8 მილიონი დეკალიტრი ყურძნის ღვინოსა და 7 მილიონამდე ბოთლი შამპანური ღვინოს მიღების შესახებ. მეტი და მაღალხარისხის ღვინო

ყარელში, დიდი ილიას სახლ-მუზეუმში, მრავალ ექსპონატთა შორის მხანველთა ყურადღებას იპყრობს ოქროს მედალი ფრანგული წარწერით „Medaille d'or“, რომელიც ხავერდის ბალიშზე დევს.

ამ ოქროს მედალით დაჯილდოებული ყოფილა ზაქარია ჯორჯაძე 1888 წელს საერთაშორისო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ბრიუსელში.

ზაქარია ჯორჯაძემ პირველმა გაიტანა საზღვარგარეთ ქართული ღვინო და სახელი გაუთქვა ქართული ვაზის ძვირფას ნაყოფს.

ამ მედალის ზევით, კედელზე ჰქვია მისი მომპოვებლის პორტრეტი. დროთა სვლაში ოდნავ ფერწასული ძველებური სურათიდან გიმზერთ ლამაზი ქართველი ვაჭარის კეთილშობილი სახე.

ზაქარია ჯორჯაძე ილიას მეზობელი და მეგობარი იყო. მაგრამ მარტო მეზობლობით და მეგობრობით არ მოხვდებოდა ეს საინტერესო ექსპონატები ამ მუზეუმში. საქმე ის არის, რომ ილია იყო უპირველესი ქომაგი საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებისა. ილია და მისი „ივერია“ არა ერთხელ გამოსულან ამ საკითხზე სტატიებით, ნარკვევებით, კონსულტაციებით. მევენახეობა ილიას მიაჩნდა ერის ეკონომიკისა და კეთილდღეობის ამაღლების ერთ-ერთ მთავარ პირობად.


საქართველო ხომ ვაზის უძველესი სამშობლოა. ვაზი ქართველი კაცის ყოფა-ცხოვრებაში დამკვიდრებული კულტურაა.

„ჩვენი ხალხი ძველის დროიდანვე ვენახის კეთებას მისდევს. ჩვენი ქვეყნის ბუნება და ნიადაგი სრულიად ხელს უწყობს ვაზის გაშენებას“, — წერდა ილია თავის „ივერიაში“ 1886 წელს, და ამ თემისადმი მიძღვნილი ნარკვევების მთელ სერიაში მოუწოდებდა ხალხს, რაც შეიძლება განვეითარებინა ვაზის კულტურა და ღვინის დაყენების საქმე. ილია ხშირად ფართო ადგილს უთმობდა ამ საქმის დიდი მცოდნის გამომჩინილი ქართველი მეღვინის ზაქარია ჯორჯაძის მოღვაწეობის გაშუქებას. ზ. ჯორჯაძის მოხსენებამ 1887 წლის თებერვალში კავკასიის სამეურნეო საზოგადოების კრებაზე დიდი ყურადღება დაიმსახურა. ეს მოხსენება კავკასიაში მეღვინეობის შემდგომი განვითარების შესახებ, იმდროინდელ პრესაში, კერძოდ, „ივერიაში“ დაიბეჭდა.

ზაქარია ჯორჯაძის სამოღვაწეო ასპარეზი ძირითადად ჩვენი სამშობლოს ის ულამაზესი და უმდიდრესი კუთხე — კახეთი იყო, სადაც დაიბადა, გაიზარდა და პირველად ფრთები გაშალა დიდმა ილიამ.

ყვარლიდან ათიოდე კილომეტრზე მდებარეობს იმ კუთხის ერთ-ერთი ულამაზესი სოფელი საბუე — ჯორჯაძეების სოფელი, აქედან გამოვიდა ბევრი თვალ-

საჩინო ქართველი მოღვაწე. ენისელსა და საბუეს შუა, ხელმარჯვნივ, მგზავრის ყურადღებას იპყრობს ბებერ ჭადრებსა და ცაცხეებს შორის აღმართული ძველებური სასახლე, ეს არის ზაქარია ჯორჯაძის სახლი. მისსავე ფართო ეზოში ძველ ნაშენალზე ახლა წამომართულია ახალი სახელმწიფო მარანი. აქ მოდის სოციალისტური ზრების ხვავი და ბარაქა, კახეთის შუაგულის სოფლებ-



ზაქარია ჯორჯაძე

ბის ვენახების ნაყოფი, რათა იგი იქცეს ქარვისა და ლალისფერ ღვინოდ.

საქართველო ხომ ღვინის უპირველესი ქვეყანაა. ასე იყო დასაბამიდან. „სადაც უნდა ჩაჰყაროთ ვაზის რქა ამ ქვეყანაში, რომელიც იმდენივეა რამოდენა ალაგაც უჭირავს ვენახებს საფრანგეთში, მეოთხე წელიწადზე ყურძენს მოისხამს“, — ასე ამბობდა საბუელი მეღვინე ზაქარია ჯორჯაძე. ამასთან-იგი სწუხდა, რომ ვაზის ამ სამშობლოში მაღალხარისხის ღვინის დაყენების საქმე მინც არ იდგა ჯეროვან სიმაღლეზე. სწორედ ამ მაღალხარისხის ღვინის დაყენების საქმეს ემსახურება ზ. ჯორჯაძის ნაფუძვარზე აგებული ახალი მარანი.

ოთხმოცდაათი ათას დეკალიტრი ღვინოს იტყვის იგი და ათას ტონაზე მეტ ყურძენს იღებს სეზონში. ეს ყურძენი მოდის საბუიდან და ენისლიდან, გრემიდან და ალმატიდან, შაქრინიდან და გრძელი ჭალიდან — კახეთის საკოლმეურნეო ვენახებიდან, მოდის ყურძენი, რომ იგი ღვინოდ გადაამუშავდეს, მაგრამ არა იმ პრიმიტიულ მარანში, ამ ათეული წლების წინათ რომ იყო, არამედ ახალ, მეცნიერებისა და ტექნიკის სიტყვით აღჭურვილ საწარმოში.

ამ საწარმოს განაგებს ჩვენი ძველი ქართველი მეღვინეების შესანიშნავი ტრადიციების გამგრძელებელი აგრონომი — შალვა ხოსროვილი. შალვა საბჭოთა აგრონომიული მეცნიერებით შეიარაღებული მეღვინე სპეციალისტია, ყრმობიდანვე აკვირდებოდა იგი გამოსდელი მევენახე გლეხების საქ-

მიანობას, რომ წამოიზარდა. ლიტერატურასაც დასწავებია, ილიასა და ზაქარიას ნაწერებზე წაუკითხავს ძველ ჟურნალ-გაზეთებში, ჩვენი მეღვინეობის წარსულიც გაუცვნია, თავისი სახელოვანი წინაპარი თანამემამულის ზაქარია ჯორჯაძის სიტყვებიც დამახსოვრებია: „ჩვენს ღვინოს განსაკუთრებით სხვანაირი დადუღება სჭირდება, რადგან ჩვენებური ღვინო მწკლარტე გემოსი ღვებდა. ეს სიმწკლარტე იმიტომაც ჩნდება, რომ ქვევრში ჭაჭასა და მტევნის კლერტებსა ჰყრიან. სხვაზე ბევრი ნაკლებულეობა აქვს ჩვენს ღვინოს, უმთავრესი კი ის არის, რომ წვეწვს ჭაჭასა და მტევნის კლურტებს ვურეგთ და ისე ვაღუენებთ“.

შალვა ხოსროვილი, წლების მანძილზე დაკვირვების შედეგად, იწყო ღვინის ახალი წესით დაყენება. ამაში მას ხელი შეუწყო ახალმა სრულყოფილმა მანქანა-იარაღებმა, რომელთა საშუალებით ყურძენს წინასწარ ეცლება კლერტი და წიპწაც კი. ახლა ენისლის მარნის საამაყა შალვა ხოსროვილის მიერ დაყენებული ეგრეთ წოდებული „თეთრი“, რომელსაც საუცხოო თვისებები — დამჭვირვალე ფერი, არაჩვეულებრივი სინაზე და სურნელება ახასიათებს.

ამ ზონის ყურძენი ასეთი თვისებების ღვინის დაყენების საშუალებას უთუოდ იძლევა, მაგრამ მთავარია, რა თქმა უნდა, მეღვინის ხელოვნება. ღვინის დაყენება რთული და ძნელი პროცესია, ამ პროცესს კი შალვა ხოსროვილი ქვემარტივ შემოქმედებითი მგზნებარებით ეკიდება.

შალვა ხოსროვილის ბედი, მისი ცხოვრება და საქმიანობა დიდი ილიასა და ზაქარია ჯორჯაძის ოცნების განხორციელებაა. სად იყო წინათ სპეციალური სასწავლებლები მევენახეობა-მეღვინეობის დარგში, ძველ მოღვაწეთა სანატრელი იყო ერთადერთი ასეთი სკოლის დაარსება, ახლა კი გინ მოსთვლის რამდენი ასეთი სპეციალური სკოლა, რომ არაფერი ეთქვათ უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელზე! რას წარმოიდგენდა ზაქარია ჯორჯაძე, რომ ღარიბი ენისლელი გლეხის შვილი სპეციალურ ტექნიკუმს, ხოლო შემდეგ კი ქართულ უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელს წარჩინებით დაამთავრებდა მეღვინეობის დარგში.

შალვას მგზნებარედ უყვარს თავისი პროფესია. საბჭოთა სპეციალისტმა დასძლია ის „ნაკლებულობანიც“, რაც ძველად ღვინის დაყენების საქმეს ახასიათებდა და, რაზეც ზაქარია ჯორჯაძე ლაპარაკობდა. ენისლის მარანი მთელს კახეთში ცნობილია თავისი სანიმუშო სისუფთავით, რაც უმთავრესი პირობაა ღვინის დაყენებისათვის. შალვა და მისი მარნის მუშაკები ფაქიზად, მზრუნველად თავს დასტრიალებენ ღვინის ჭურჭელს, მანქანა-იარაღებს, სათავსოებს, მარნის ტერიტორიას. შალვას მზრუნველობით და ინიციატივით მარანში გამოყვანილი იქნა სუფთა წყალი, აქ წყალსადენით შემოდის მთის წყარო. წინათ ორთქლს



ოქროს მედალი, რომლითაც დაჯილდოებული ყოფილა ზ. ჯორჯაძე 1888 წელს ბრიუსელში.

ნო სამშობლოს! — ასეთია ენისლის მარნის მუშაკთა მისწრაფება.


ერთი მოხუცი ცხოვრობს ენისლის მარნის ეზოში. იქვეა მისი მშვენიერი ძველებური ქართული სახლი, მწვანეში ჩარგული. შალვა ხოსროვილის და მარნის მუშაკთა დიდი მეგობარი და ქომაგია იგი, მუდამ დადუსფუსებს თავის პატარა ბოსტანში, ხან მარანში შემოივლის სინარულით, სიყვარულით, ამ მარანთან ბევრი მოგონება აკავშირებს მას. ეს მოხუცი ქალი ნინო ჯორჯაძეა, ზაქარიას ერთადერთი ქალიშვილი. სწორედ ნინომ მიუძღვნა ყვარლის მუზეუმს მამისეული ოქროს მედალი და მისივე თხზულებანი.

რა კი სიტყვამ მოიტანა, არ შეიძლება არ მოვიგონოთ თვით ნინო ზაქარიას ასულის საინტერესო ბიოგრაფია. მას სორბონის უნივერსიტეტის ფრანგული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი დაუმთავრებია, შემდეგ პატრიოტი ქართველი ქალი პირველი მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე ყოფილა — მედიცინის და, თურქეთის ფრონტზე თავისი მამაციობით გიორგის ოთხივე ხარისხის ჯვარი დაუსახურებია.

მაგრამ მშობლიური მიწის სიყვარულმა, ვაზის სიყვარულმა კვლავ თავის ფუძეს დაუბრუნა იგი.

შეხარის მოხუცი ახალ ყოფას, ახალ საბუეს, თავისი ხალხის მონაპოვარს.

მეღვინე შალვა ხოსროვილი (მარცხნივ) ამოწმებს სატრანსპორტოდ გამზადებულ ღვინოებს.





მარკო ვოვჩოკი

1957 წლის 10 აგვისტოს შესრულდა 50 წელი გამოჩენილი უკრაინელი მწერლის რევოლუციონერი დემოკრატიის მარკო ვოვჩოკის გარდაცვალებიდან.

მარია ალექსანდრეს ასული ვილინსკაია, რომლის ლიტერატურული ფსევდონიმი იყო მარკო ვოვჩოკი, დაიბადა 1834 წ. სოფ. ეკატერინოვკაში, ხელმოკლე აზნაურის ოჯახში. პირველი მისი ნაწარმოებები გამოვიდა 1857 წელს სათაურით: „ხალხური მოთხრობები“. რევოლუციონერი დემოკრატი ამ მოთხრობებში აგვისახავდა მკაცრ სინამდვილეს, მშრომელი გლეხების მონურ მდგომარეობას, ადამიანების ტანჯვას ლუკმა პურის მოპოვებისათვის შრომაში. მწერალმა ამ ნაწარმოებში დაგვიხატა მემამულეთა და გლეხთა ურთიერთ ანტაგონისტური დამოკიდებულება.

1859 წ. მარკო ვოვჩოკმა რუსულ ენაზე გამოსცა ნაწარმოებთა კრებული „მოთხრობები რუსული ხალხური ყოფაცხოვრებიდან“. კრებული ბატონყმური სინამდვილის წინააღმდეგ იყო მიმართული და გამსჭვალული იყო „ხალხისადმი გულთბილი თანაგრძნობით, ენისა და ყოფაცხოვრების ცოდნით“ (ნ. დობროლუბოვი).

1859 წ. მარკო ვოვჩოკი საზღვარგარეთ მიემგზავრება. იქ იგი წერს ნაწარმოებებს: „ინსტიტუტული ქალი“, „სამი ბელი“, „პარმელუკი“ და სხვ. 1862 წ. რუსეთში გამოდის მისი „ხალხური მოთხრობები“ მეორე ტომი.

1867 წ. რუსეთში უკანმოზრუნებული მარკო ვოვჩოკი აქვეყნებს ნაწარმოებებს „ცოცხალი სული“, „თბილი ბუდე“, „მივარდნილ ადგილას“ და სხვ., რომლებშიაც მწერალი თავისი ძირითადი იდეის ერთგული რჩება. მწერალი ქალი ამ ნაწარმოებებში გვიჩვენებს ამ ქვეყნე დაბატონებულ უსამართლობას, იბრძვის მემამულეთა წინააღმდეგ, ავლენს თავის სიმპათიებს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლთა მიმართ.

მარკო ვოვჩოკი მთარგმნელობით მოღვაწეობასაც ეწეოდა. მან პირველმა თარგმნა რუსულ ენაზე ჟიულ ვერნის ნაწარმოებები „კაპიტან გრანტის შვილები“, „80.000 კმ. წყალქვეშ“, „საიდუმლო კუნძული“ და სხვ. მარკო ვოვჩოკი გარდაიცვალა 1907 წ. 10 აგვისტოს.

კვლევის ხე

ბრძოლის ხე

ბრძოლის ხე

ტიბაანთან (ხილნალის რაიონი), იქ, სადაც კოლმეურნეობის კანტორის შენობა, მანქანა-ტრაქტორთა სადგური, მარანი და მეძროხეობის ფერმაა, მთლად რიყით დაფარული ხეობის ვიწრო ყელს მიადგებიან სწორედ აქედან იწყება გედიქისხევი.

ამ ხევით მიმავალი გზა ერთმანეთს უკავშირებს ცივი გომბორის მთის დასავლეთის და აღმოსავლეთის მხარეებს, ან უკეთ რომ ვთქვათ, ალაზნის პირის ველებს და შირაქის მინდვრებს.

ამ გზის კარგა მანძილზე, გედიქისხევის ფსკერს რომ არ ცილდება, დღე და ღამე განუწყვეტელი მოძრაობაა, კარგად მოქვიშულ გზატკეცილზე გამაღვებით მიჰქრებიან მძიმედ დატვირთული საბარგო მანქანები. ისინი მიდი-მოდიან შირაქის მინდვრებსა და წნორისწყლის რკინიგზის სადგურს შორის. ქედის ორივე მხარის დამაკავშირებელ ამ არტერიით გადააქვთ და გადმოაქვთ უამრავი ტვირთი და სოფლის მეურნეობის პროდუქტები.

გედიქისხევით მოგზაურობა ყოველთვის ადვილი არაა. განსაკუთრებით სივიწროვე იგრძნობა გაზაფხულზე და შემოდგომით, როცა საქონლის გადარეკას შეუდგებიან ხოლმე მეცხოველეები.

უეცრად შოფერი მანქანას შეაჩერებს, კაბინიდან ძირს გადმოვა, ხელებს უშვერად გაასავსავებს და ყვირის: გზა კი არა, ხაფანგია! დადექი, უცადე, რომლის გაგატარებენ. ეშმაკიც კი ვერ გიწამს ასეთ ოინს!

მაღე მგზავრიც გადმოდის ძირს და რას ხედავს? გზა და ხეობა შეუკრავთ ცხვრის ფარებს, ცხენის რემას, ხარ-ძროხის, კამერის ფეოებს. ისინი ერთმანეთზე მიყოლებით სხვადსხვა ფერის ტალღებდა მოედინებიან. იალაღებზე ნასუქი საქონელი თავს ძალას არ ატანს, დინჯი ნაბიჯით მიაბოტებს.

წელს განსაკუთრებულად ძნელი იყო ხევის ერთ ადგილას ავლა. ხევის შუაგულთან რიყეს მანქანები ჩაფრენოდნენ. ისმოდა ექსკავატორების, ბულდოზერების და თვითმძლელი მანქანების გამუდმებული დგანდავი.

მანქანებს ხევიდან ამოჰქონდათ ღორი, სილა და მიწა. აქ ტრიალებდა მიწისმთხრელი მუშების რამდენიმე ბრიგადა. ყველა კითხულობდა, რას აშენებენო და მართლაც საკითხავი იყო. აქ ხომ ხიდი არავის ჰქირდებდა. და როცა გაიკვებდნენ, თუ რას აშენებდნენ, მგზავრები არა ნაკლებ გაოცებული რჩებოდნენ. მართლაც! გედიქისხევის ეს მშენებლობა შეიძლება პირველი ინტერესობა კახეთის მშრალი ხევისათვის ათვისების ისტორიაში. იგი, იქნებ, დასაწყისია ასეთი ხელების სოფლის მეურნეობაში გამოყენებისათვის. გარეგნულად უდაბური, გავარვარებული რიყე თურმე მართლა მშრალი როდი ყოფილა.

ტიბაანელ გლეხებს ძველთაგანვე შენიშნული ჰქონდათ, რომ წითელწყაროდან, უზუნდარიდან, შემო მარჩხანდთან, არბოშვიდან გედიქისხევით მომავალი წყაროების, თოვლის, წვიმის წყლები, ტიბაანის გამოსავალში, ფართო რიყეზე რიალდება და უცნაურად იშრატება. რა გინდ დიდი წყალიც არ მოვარდეს, მას ქვიშიანი ნიადაგი ისრუტავს.

აქაური გლეხები ოცნებობდნენ, ეს სიმდიდრე „დაეჭირათ“, თავიანთი ბაღ-ვენახებისაკენ მიემართათ. ამას ნაწილობრივ კიდევაც ახერხებდნენ. წყაროებს თიხით ამოკლდნენ „გაუყოფავ“ სადინარს უკეთებდნენ რიყის კიდებზე, ერთმანეთს უერთებდნენ. ასე ერთად შეკრებილ შენაკადზე ჩარხის პატარა წისქვილები ედგათ. ბორბლებში გავლილი წყლით, რომელიც სოფელს წვრილი ბუზმენტივით უვლიდა ბოლოზე, ქალები ხახვის და რემანის კვლებს რწყავდნენ ზაფხულობით. ყველა გრძნობდა, რომ ეს ძალიან ცოტა იყო. ასე პირველყოფილად შეგროვილი წყალი ხევის წყლის მეათასედ ნაწილსაც არ შეადგენდა. წვიმისა და თოვლის წყლებს ტიბაანელთა ვერ იხელთებდნენ, უხარგებლოდ ეკარგებოდათ იგი.

ხევით მომავალ ყველა ხახის წყლის სოფლის მეურნეობაში გამოყენების საკითხის დასმა, მისი განხორციელება სულ ამ ბოლო დროს გახდეს კოლმეურნეობა. ამას მოითხოვდნენ ასეთულობით ჰექტარი ბაღები, ბოსტნები, ვენახები, რომლებიც კოლმეურნეობებმა ამ უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე ხარისის მინდორზე გააშენეს და ურწყავლობით ნაკლებ მოსავალს იძლეოდნენ. ერთობლივად მსუქანი მიწა უნამოდ სანახევროდ მომცდარი იყო. თესლს გალოჯვა უჭირდა, ნერგს ფესვის გაღებისა და მიწის ჩაჭიდების ილაჯი არ ჰქონდა. ალაზნის

არსი კი ახლად გაშენებულ ფართობებამდე ვერ აღწევდა.

მოჩქარებით ჩატარდა საკვლევი მოუშობა. აღმოჩნდა, რომ ნიადაგქვეშ გაპარული და ქვესენელში ჩამალული წყლის რაოდენობა დიდი იყო. ახლა ამოცანა მხოლოდ მათი დაჭერა, შეგროვება და სოფლის ადამიანების სამსახურში ჩაყენება გახდა.

კოლმეურნეობის გამოცხადებას უკვე გამოყოფილი ჰქონდა სახსრები მშენებლობისათვის. სოფლად კი მუშახელი ბლომად იმოყვებოდა. მშენებლობას სათავეში ჩაუდგა ალაზნის პიდროტეპიისა და მელიორაციის საცდელი სადგურის ინჟინერი გრიგოლ სულაძე. სწრაფად გაჩაღდა მოუშობა. ხევის ვიწრო ყელში მანქანები ჩადგნენ, შეიქმნა სივიწროვე.

მაღე, სულ მალე ქვაბულებში ანკარა წყალი ჩაღდა, თუჯის მიღებაში შევიდა და სოფელს რომ გასცა, პატარა რუებით ბაღ-ვენახებში გასწია. მოუშობის დროს მელიორატორებს კოლმეურნეები ედგნენ მხარში. მხენელ-მთესველები, მევენახეები, მეცხოველეები სწრაფად ეუფლებოდნენ ბეტონის შემზადებასა და ჩადულაბებს. მანქანების, ზოგიერთ იარაღის რთულ მექანიკას ნიჭიერად ითვისებდნენ სოფლის ქალ-ვალები, ვინ იცის, ცხოვრებაში როგორ გამოგვადგებოთ.

— ნუთუ შრომად და სახსრების დახარჯვად ღირს აქ მოაოვებელი წყალი? — იკითხავთ უნებლად. ამაზე ტიბაანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე არჩილ ბიძინაშვილი გეტყვით პასუხს:

— ჩვენთვის ოთახში გამოყვანილი ონკანის კამარისოდენა წყალიც კი დიდი შვებაა. ამ აუზებმა კი საკოქე ხის სიმსხო თუჯის მილი ავკვივსო წყლით და განუწყვეტლად მოდის სოფლისაკენ. წარმოიდგინეთ, რა სიკეთეა ეს წყალი ჩვენს ბოსტნებსა და ბაღ-ვენახების ახალმშენებში გაზაფხულზე, როცა ნექსა და რტოს კვირტის გაშლა უყოვლდება ნიადაგის ნაადრევად გაშრობის გამო, ქალებს კი ნაღვერდალვით გაცხელებულ მიწაზე დარგული ჩითილი ელუპებათ. დიას, საკოქე ხის სიმსხო წყლით სავსე მილი აქ ადვილად სახსენებელი როდია... ვინ იცის, რამდენად და როგორ წაგვწყვეს ის წინ.

არჩილმა კარგად იცის წყლის წამობით დენის ზომა. თავმჯდომარედ სწორედ იმიტომ აირჩიეს, რომ განათლებით და პრაქტიკით ეკონომისტია. საკოქე ხის სიმსხო მილიო, ადვილად წარმოსადგენად ამბობს.

— მე, ბრიგადირებმა, ყველა კოლმეურნეებმა გამოვიანგაროშეთ ერთად, — განაგრძობს ის. — გედიქისხევი ასე დაჭერილი წყალი თამამად გვეყოფა გაზაფხულზე ბაღ-ვენახების სამჯერ მოსარწყავად ჯერ კვირტის გაშლის დროს, მერე ნაყოფის გასახვის ხანებში. ბოსტნებისათვის კი რამდენჯერაც გვიწინა — თუნდაც ოცჯერ. ცხვარსა და საქონელსაც ბევრი ექნებათ სასმელად გემრიელი, თითქმის წყაროს ცივი წყალი. — ბოლოს დიმილით დასქენს. — ერთ აუზსაც მოვაწყობთ. ზაფხულის პაპანაქნა სიცხეში, დილა-საღამოს ჩვენი გოგო-ბიჭების საჭყუშმალოდ, თორემ ალაზნამდე ოცი კილომეტრია, ზღვამდე კი ხელი სულ არ მიგვიწვდება.


— მაღე ანაზლაურებს დახარჯულ სახსრებს?

— ამის პასუხს ერთ-ერთი ბრიგადირი იძლევა: — ორმოცდაათქვესტე წელს ჩემი ბრიგადის მოსავლელ ვენახებიდან ას ოთხმოცი ტონა ყურძენი მოვიწიე. სარწყავი წყალი რომ მქონოდა შარშან, როგორც წელს მაქვს, სულ მეტიერე, ყურძენის მოსავალს სამას ტონამდე ავადგებდი. მევენახეობის ბრიგადა კი ტიბაანის კოლმეურნეობას ბარე ოთხი ყავს.

— თქვენ რაღას დაუმატებთ? — ეკითხება თავმჯდომარე ინჟინერ გ. სულაძეს.

— მელიორატორებს რაც შეგიძლია, აკი თვითონ ხედავთ. გედიქისხევის წყალი მიღებით მივუყვანეთ სოფელს. აგერ, იხებთ! — მიუგებს სულაძე, პეშვებს ატყუებებს, ავხებს წყლით და სვამს. პასუხით ნაამები კოლმეურნეები კმაყოფილად იფშვენტენ ხელებს. მერე თვითონაც იღებენ და სვამენ ცივ, გემრიელ წყალს.

აუზებში ლურჯად ლივლივებს გედიქისხევის აქამდე ნიადაგქვეშ თავშეკრებულ წყალს, ახლა გამოქვდავებული სუფთა წყალი, რომელიც საამური ჩურჩულით თუჯის მილში შედის და სოფლისაკენ მიემუშრება. სოფელს რომ გასცდება, ღამით ბაღ-ვენახებშია, დღისით კი მესაქონლეობის ფერმებსაც ჩაუვლის ხოლმე, რომლებიც პატარა ქალაქებივით გაშლილან ხირსას მინდორზე.



ქცნაური ბებია მყავდა და უცნაურად მოწყობილი ბინა დამიტოვდა თბილისის ერთ წყნარ ქუჩაზე.

მაღალკვირიან ძველებურ ოთახში გაკეთებული იყო ანტრესოლი იტალიურ სტილზე. ასეთი ოთახი სხვებსაც ჰქონდათ, მაგრამ ისინი, თავისი სილამაზით, რიკულებით, ჩუქურთმითა და ფარდებით თვალს იტაცებდნენ, ჩვენი კი წარმოადგენდა უბრალო აივნის-მაგარი ნაგებობას ვიწრო კიბითა და ულამაზო მოაჯირით, რომელიც დიდსა და ნათელ ოთახს ამახინჯებდა და მის ერთ კუთხეს მეტად აბნელებდა.

შემოდგომით, როცა რთველი დაიწყებოდა, ჩემი მშობლები გორიდან უამრავ ხილს გვიზავნიდნენ და მაშინ ანტრესოლი საოცრად მორთვებოდა. საარაკო სანახავი იყო ეს აივანი, გოგონებით, ჩურჩხულებით, სიმინდის გამხმარი ტარობებით, ყურძნის აკილოებითა და ჩხებით, ლეღვის, ვაშლისა და ატმის ჩირების სხმულებით მორთული.

კონსერვატორიის მეოთხე კურსზე ვიყავი, როცა ბებია გარდაიცვალა. დავრჩი მარტოდმარტო ამ გამურულ სურათებსა და ფიტულებს შორის.

ანტრესოლის მოწვრევე მინდოდა, მაგრამ ამხანაგებმა არ დამანებეს, შემოდგომით კვლავ ისევ იქვე მომართვევინეს, როგორც ბებიას სიცოცხლეში ირთებოდა.

* * *

ერთ დღეს სტუმრად მეწვეოდნენ ჩვენი კონსერვატორიის სტუდენტი გივი სულხანიშვილი და მისი მეუღლე ლილი. მათ ახლდა მესამე, ნაზი აგბულების, მეტად ცოცხალთვალა, ლამაზი ქალიშვილი. მას ქეთინო ერქვა.

გივი და ლილი ბევრჯერ ყოფილან ჩემთან, ქეთინო კი პირველად მოიყვანეს. ქალიშვილი მოხიბლა ჩემი ბინის მორთულობამ. ერთ ხანს მდუმარედ მისჩერებოდა შემოდგომის ბარაქით სახე ანტრესოლს, და მერე ალტაცებით თქვა: — რა დიდებულია! შემოდგომა ესტრადაზე!

შემომხედა. გული ამიძვრდა. კარგი საღამო იყო. თითქმის ყველა საღამოზე უფრო კარგი, ვიდრე მე მახსოვდა მანამდე. ჩემი ოთახი მხიარული ხმებით აივსო.

გივი ანტრესოლზე ავიდა, ჩამოვიდებულ ჯაგანებს შორის გაჩერდა. მე როცა ახლავდი, გვიმ სიმღერა დაიწყო. ყოველთვის მსიამოვნებდა ჩემი მეგობრის სიმღერის მოსმენა, ყოველთვის მასხარებდა და მფრთხივანებდა მისი ხავერდოვანი, მიმზიდველი ხმა.

ქალები გატაცებით შეჰყურებდნენ, სულგანაბლები უსმენდნენ. სიმღერა რომ დაამთავრა, გვიმ ჯაგანი ჩამოსხსნა და თან ჩამოიტანა. გვიან წავიდნენ, ჯაგაცილე.

მე და ქეთინო ქუჩას ვაგვივით, წინ ლილი და გივი მიდიოდნენ ბაპით. ღამის მყუდროებაში ფეხისხმა და ჩემი გულის ძგერა მესმოდა. ქეთინო წვლან თამამობდა. ახლა ჩუმად მიდიოდა, ალბათ, რცხვენოდა ჩემთან მარტოდ ყოფნა.

დაეშორდი. შინ ნაშუაღამევს მივედი და ისე აღვღებულ ვიყავი, რომ გული ვეღარ დავიწყებდი. მინდოდა რამე დამეკრა: თავდავიწყებითა და გატაცებით, მინდოდა მემღერა ისე ხმაინად, რომ მეს გაეგონა...

მარტო ვიყავ ოთხკედელში. ქუჩაში სიწყნარე იყო. ჩემს ოთახში მხოლოდ გამხმარი ფოთლების შრიალი შემოდოდა და ეს იდუმალი ხმა მაფორიაქებდა.

* * *

რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენ ისევ ერთად ვიყავით: გივი, ლილი, მე და ქეთინო. დავიბენი, შემოაბატოებისას სკამს ფეხი გამოვდე და წავაქციე. ლოყები მიხურდა.

კვლავ მხიარული საღამო, კამათი, სიმღერა... ქეთინო მარტო რჩება ჩემთან. — მოხვალთ ხოლმე? — მეკითხება. — აი, როცა გივი და ლილი წამომიყვანენ... ნახვამდის, ხელს მართმევს და მიღს.

კვლავ მშფოთვარე ღამე, უძილო და თეთრი, კვლავ გამხმარი ფოთლების შრიალი. მერე ქარი. ფოთლები სარკმელს ეხლებიან, მრუმე ღრუბლები ცაში აქა-იქ მოკიადე ფარსკვლავებს ფარავენ, შუშაზე წვიმის წვეთები ხმაურობენ.

* * *

ამიერიდან მე და ქეთინო ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. ვხვდებოდით ამახანაგებთან, ვხვდებოდით მარტონი. არა ერთხელ და ორჯერ გაგვისიერნია საამო ფიქრითა და ტკბილი ჩურჩულით.

ქეთინოს მამა არა მყავდა, იგი ცხოვრობდა ერთ პატარა ოთახში, დედასთან ერთად. დედისიერა იყო. რაღაც საოცრად მიძნელებოდა გამომხატანა ის გრძნობა, რომელიც სამუდამოდ მაკავშირებდა მასთან.

ერთხელ, როგორც იყო, გვებედე და ვუთხარი. შეკრთა. თითქოს ეწყინაო, ისე მიჯარა წარბები. წარბების შეკვრა უხდებოდა, მერე შუბლი გაეხსნა, თვალები აუწყლიანდა, აბურცული ბაგე ღიმღმა გაუშალა.

* * *

ჩვენს უპირველეს საზრუნავს ბინის საკითხის მოგვარება შეადგენდა. ქეთინო რომ ჩემთან ვადმოსულიყავი, მისი ღედა მარტო რჩებოდა, შვილს კი გავიყვებით უყვარდა ღედა და მთხოვდა, რომ ჩვენი შეუღლებით არ დავგეჩავრა ეს ქალი და ისიც ჩვენთან ერთად ყოფილიყო.

ოთონდ ქეთინოს ვახარებოდა, მე ყველაფერზე თანახმა ვიყავ. ჩვენ გადავცვლიდით ბინას და ერთად ვიცხოვრებდით. მეტად სათონ და ტკბილი ქალი იყო ქეთინოს ღედა.

პატარა ქორწილი ჩემს ოთახში ვაგმართეთ. შეგზარდი ზედს, ჩემი პატარა დიასახლისიც შემომხაროდა, მზე და სიხარული ჩემი ოჯახისა თითქოს კედლები გაიწია, თითქოს ჰერი ამაღლდა ქეთინოს შემოსვლით.

* * *

ოთახები უნდა გადავცვალა. ქალაქში არა ერთი და ორი ოჯახი იყო, რომელთა წევრებსაც ცალ-ცალკე სურდათ ცხოვრება. ჩვენი ბინა მათთვის გამოდგებოდა სწორედ.

მე და ქეთინო ვჩქარობდით კეთილად დაბინავებას, კონტად მოწყობას. ხელთა გვექონდა პირველი მისამართი, ბინაში მოხუცი ქალი დაგვხვდა, ლოყებდამეკნარი, კეთილი, წილში მოხრილი.

— მობრძანდით, შვილო, მობრძანდით... თქვენ, ალბათ, ბინის სანახავად მოხმდით, არა? ფლოსტების ფრატუნით გავკიდვია, ვაჩვენა ერთი ოთახი, მგორე. ქეთინოს

მოეწონა ბინა. მეც მომეწონა. ჩვენ თვალებით გაგავებინეთ ეს ერთმანეთს. — აი, შვილო, სულ ეს არის, — მოგვიბრუნდა მოხუცი, — გვეხედ-დავხედო რაღაც მეტად სველიანი თვალებით და ცოტა გვიან გვითხრა — დაჯექითო. ქეთინოს აინტერესებდა, რა მიზეზით ცვლიდნენ ბინას. მოხუცს, სახე მოედრებოდა, მერე თავშლის ბოლოთი მოეწინა ცრემლი. ერთ ხანს ჩუმად იყო.

— დაბერდი და აღარ ვუნდებარ, შვილო... — ხმის თრთოლვით დაიწყო ქალმა. ეძნელებოდა თავისი ცხოვრების მოთხრობა, მაგრამ მაღე გული ვადმოგვეშალა, — დედინაცვლი ვარ... მაგრამ არ ვიყავ ცუდი დედინაცვლი, ორი წლიდან ორმოც წლამდე ზრუნვას არ ვაკლებდი სერგოს, ჩემ შვილს, ამ ერთადერთ ადამიანს, რომელსაც მთელი ჩემი სიცოცხლე შეეწირა. ჩემი სერგო და რძალი მსახურობენ. მე შინ ვარ, ვურეცხავ, კერძს ვუშმადებ... შვილიშვილს ვუვლი... ჯანს არ ვზოგავ მათთვის. ჩემგან ავი სიტყვა არ ითქმის... უწინამც ღღე დამელოოს, რომ ავად ჩავერიო ჩემი შვილისა და რძლის საქმეში. მე მხოლოდ ის მინდა, რომ კარვად იყენენ... მაგრამ ჩემმა რძალმა ვერ შემიგუა; სერგოც აიყოლა და ბევრ რასმეს ისეთსა მკადრებენ, რაც ჩემი ხნის დედაცაც არ ეკადრება... აი, ახლა კი ცალკე ვაპირებ დასახლებას. რისთვის, რისთვის, შვილებო?! ორი დღის სიცოცხლე დამჩრა... რა გქნა, არ ვიცი, ხალხი გამჩრავლებას, ვაშლა-ვაფართოებას ცდილობს, ესენი კი... ნეტავ მოგვცდებოდე, სანამ ცალკე დამასახლებდნენ. მე რად მინდა ბინა! სჯობს საფლავში ჩავიდე, იქ მაინც ვერაფერს გაფიგებ!

ქალი ატირდა. მე გული ამიღულდა. ჩვენ მალე წამოვედით იქიდან. ქეთინომ ორივე ხელი მომკიდა მკლავში და მუღარით მითხრა: — შენი ჰირიმი, ნულარ მოვალთ აქ...

* * *

ძველი ეზო. ძველი სახლი. დაბრეცილი კიბე. ფართო აივანი... — კიბეს ეშვებოდა, — მიჩურჩულა ქეთინომ. გული გამიკეთა, დამამიდა, — ოღონდაც ბინა მოგვეწონოს, — განაგრძო და ახლა აივანზე მიმოხედა.

გაიღო დაბალი კარი და აქაც მოხუცმა ქალმა შევეციყა ოთახში. იგი კუშტი, შუბლშეკრული, უღიმღამო, წილში მოხრილი იყო. მის გამოხედვასა და მოძრაობაში აშკარად იგრძნობოდა ძლიერი სული და ნებისყოფა.

ბინის დათვალიერების შემდეგ მაგიადასთან დავსხვდით. მასპინძელი შეგვეკითხა როგორი ბინა გაქვთო. ჩვენს პასუხზე ერთ ხანს ჩაფიქრდა, მერე ღუმლილი დაარღვია. ჩემს ოთახში რძალსა და შვილიშვილს დაუპირა ჩასახლება, ხოლო ქეთინოს ოთახში კი თვითონ დაბინავდებოდა.

ცივი იყო ეს მოხუცი ქალი. ლაპარაკობდა ძუნწად, უხალისოდ, თითქოს ყველაფერი მოზერებელი ჰქონდა და ყველაფერს მოზერებოდა თვითონ იგივე. წამოდგა. მგორე ოთახში გავიდა.

— აქაც რძალ-დედამთლი ვერ მორიგებულან, — მიჩურჩულა ქეთინომ, — ნუთუ არ შეიძლება ტკბილად იცხოვროს? სიტკობების გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელი იყო მისთვის.

— ავი დედაცაი ჩანს. ალბათ, შეიკლა რძალი. — მაგრამ შვილზე რატომ არაფერს ამბობს? — შვილი იქნებ ცოცხალი არა ჰყავს.

მთხუცი შემოვიდა, ხილი შემოვიტანა, სასმელი დავვიდგა, დავვისხა და შემოგვთავაზა. ამ წუთში მის სახეზე მეტად სველიანი ღიმღილი ათამაშდა. მალე მისი რძალი და შვილიშვილიც მოვიდნენ. მათ ხალისიანად შეგება მოხუცი და მაშინვე სამზარეულოში შევიდა კერძის გასაცხელებლად.

მე და ქეთინომ ერთმანეთს გავკირვებით ვადავებდით. ჩვენი წასვლის დრო იყო, მაგრამ ახალგაზრდა მასპინძელმა ქალმა ცოტა ხანს კიდევ შეგვაჩერა.

— თქვენ კარგი ოთახები გაქვთ? — გვეკითხა მან. — მობრძანდით, ნახეთ. თუ მოგეწონებათ... — შორი-შორს არის? ჩვენი ოთახები ერთმანეთს კარგა მანძილით იყო დაშორებული.

სახე მოედრებოდა ქალს. — ნეტა ახლო-ახლო ყოფილიყო, — თქვა მან, — მე არ მინდა შორს ვიყო ჩემს დედამთლითან. — მამ რატომღა იყრებთ?! — გავიოცე მე.

ჩვენ დღეს ერთმანეთისთვის მხოლოდ... რა ვთქვა, არ ვიცი... მიძნელებდა თქმა... ჩვენ ერთმანეთისათვის არაფერი არა ვართ... უფრო სწორედ, ეს ქალი ჩემი შვილის ბებიაა, ჩემთვის კი... ყოფილი დედამთლი.

მხრები ავიჩიქე, ქეთინო მხარით ჩემს მხარს შეხსო. — მე და ჩემი ქმარი ამ ხუთი წლის წინათ დავშორდით ერთმანეთს. ასე უნდოდა, სხვა შეიყვარა და წავიდა. ახლა მას აქვს ბინა, ჰყავს ოჯახი, ცოლი, ორი ბავშვი. მე კი ჩემი შვილით ჩემს ყოფილი დედამთლიან შემოვრჩი, რადგან აქ მეც მაქვს წილი. ხუთი წლის განმავლობაში ვიყრებთ და ვერ ვაყვრილვართ. ვერ წარმოვიდგენია უერთმანეთოდ ცხოვრება.

ქალი დაღუმდა, მოწყენილი თვალებით შემოგვხვდა. — ცოტა ხნის შემდეგ მე და ქეთინო აღვლევებოდა მივდიოდით ვიწრო ქუჩით. ჩვენთვის შესავალი ბინა ვიპოვეთ, მაგრამ შიგ მცხოვრებ ადამიანთა ბედობალმა ჩაგვაფიქრა.

რამდენიმე დღე ველოდით მოხუცს. ველოდით მის რძალს. ბირობის თანახმად ისინი ჩვენი ოთახების სანახავად უნდა მოსულიყვნენ, მაგრამ ღღე დღეს მისდგა, ისინი მაინც არა ჩანდნენ.

ბოლოს ისევ მე მივაკითხე. დედაბერი აივანზე იჯდა და ბრინჯს არჩევდა. სათვალავი ზევიდან ამომხედა და ვერ მიცნო. გამოვეცნაურე, ბინის თაობაზე რომ ვიყავით-მეთქი.

— არა გეთაყვა!... სხვაგან ნახეთ რამე... ჩვენ აღარა ვცვლით. მითხრა და ისე შემომხედა, თითქოს სამტროდ ვყოფილიყავი მისული, თითქოს მე უნდა ჩამეშალა მისი ტკბილი ცხოვრება თავის რძალთან და შვილიშვილთან. ვამეხარა, გული რაღაც ძლიერი სიამით ამეგსო. უთუოდ ქეთინოსაც ესიამოვნება, როცა გაიგებს.

— აფჩქარდი. — ნახვამდის, დედა! — მშვიდობით იყავ! — მითხრა დედაბერმა და ბრინჯს წაურა თავისი და ჩირბული თითები.



გიგო გაბაშვილი



ცხენოსანი ქურთი




საძოვრებზე



ბუხარელები



ქართული
ბიბლიოთეკა



გ. გაბაშვილი


სამარყანდის ბაზარზე

სადარაჯოზე



J. Juss.

ქონსკანონი ჯარისკაცები



ინებთ, ჩვენი ადგილობრივი საპოლიცია — თავის სახანი მიწა!

ეს იყო პირველი „სამთო წარმოება“, რომელიც სანდრომ წავსა და ეს იყო პირველი ადამიანი, რომელიც იმ დღეებში რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებიც ადამიანთა ნათელ მომავლისათვის იბრძოდნენ.

მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა და რაც თავი ახსოვდა, ის ორი გუნდა თავის სახანი მიწისა მუდამ მამის საწერ მაგიდაზე ეყუდო და ყოველთვის, მათ შეხედვისას ის ცისფერ თვალთა გამოდარი პოლონიელი აგონდებოდა.

1900 წელს სანდრომ სტავროპოლის გიმნაზია დაამთავრა და სიმწიფის ატესტატი მიიღო. „ცხოვრების შემდგომი გზის არჩევის საკითხი წინასწარ იყო გადაწყვეტილი. მე წაკითხული მქონდა ბარწყინვალე პუბლიცისტის დ. ი. პისარევის შესანიშნავი წერილები ბუნებისმეტყველების როლის შესახებ თანამედროვე ცხოვრებაში და მათ მიკარნახეს — „ვიც გავმხდარიყავ“ — ნატურალისტი და მხოლოდ ნატურალისტი“.

სანდრო შედის მოსკოვის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებაში.

არადავთების დროს სანდრო აწყობს სტუდენტების მოგზაურობას ჩრდილოეთ კავკასიაში — ისინი ათვალიერებენ წიხის ხეობას და საქართველოსკენ მიემართებიან.

„წიხის შემდეგ ორი დავრჩით — მე და ჩემი ძმა, მაგრამ ჩვენ გაბედულად გამოვემართეთ მამისონის უღელტეხილით საქართველოსკენ.“

... საქართველომ გადავიხსნა გული და აღერსიანად გვხვდებოდა. სულიერად აფორიაქებული, მოხლავებულნი გრძობების გავლენით მე დავემხე დედამიწაზე, სამჯერ ვემთხვიე ჩემი წინაპრების მიწას და ფიცი დავდი, რომ მუდამ ქართველი ხალხის ერთგული მსახური ვიქნები“.

ხალხის მსახურება კი, ამჯერად, ბეჯითი სწავლა, მეცნიერების ათვისება და მომავალი მუშაობისათვის მომზადება იყო.

იმ წლებში მოსკოვის უნივერსიტეტში ბევრი შესანიშნავი მეცნიერი მოღვაწეობდა. ალ. თვალტრელოძის მასწავლებლები იყვნენ: გეოლოგიის პროფესორი — პავლოვი, ორგანიზმი ქიმიისა — ზელინსკი, ბოტანიკისა — ტომიჩიუვი, ზოოლოგიისა — მენსბირი, ხოლო მინერალოგიის — ვლადიმერ ვერნადსკი, რომლის მოწაფე შემდგომი გახდა ალ. თვალტრელოძე.

აქ, მოსკოვის უნივერსიტეტის მინერალოგიურ ლაბორატორიაში დაიწყო მისი მეცნიერული მუშაობა. შემდეგში, ალ. ფერსმანი იგონებდა: „ორი პატარა, ოციოდე კვარცხანტი მეტრის ფართობის, ნახევრადბნელი ოთახი მოსკოვის უნივერსიტეტის ძველ შენობაში; ამ ოთახებში ქიმიკოს-მინერალოგთა შეიდი სამუშაო მაგად. ბნელ სარდაფში — ამწოვი კარალები, უშველბედი თეთრი ღუმელი. ასეთი იყო პროფესორ ვლადიმერ ივანეს ძე ვერნადსკის მინერალოგიური ლაბორატორია, საიდანაც მრავალი შესანიშნავი მეცნიერი მკვლევარი გამოვიდა და სადაც ჩაისახა იდეები, რომლებიც შემდეგში მინერალოგთა და გეოქიმიკოსთა სამეცნიერო სკოლას დაედო საფუძვლად... მე რომ მოსკოვიში ჩამოვდი, აქ უკვე „ახალი თაობა“ მუშაობდა... ცოტა მოგვიანებით აქვე დაიწყო მუშაობა ა. ა. თვალტრელოძემ, შემდეგში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა...“

მაგრამ უნივერსიტეტის დამთავრება არც ისეთი უბრალო საქმე აღმოჩნდა. 1902 წელს „სტუდენტთა არეულობაში“ მონაწილეობისათვის სანდრო დააპატიმრეს და რამდენიმე თვით, ჯერ ბუტირის და შემდეგ ოხოვის ციხეში დაამწყვდიეს. შემდეგში, მოსკოვის უნივერსიტეტში დაბრუნებული, იგი დაუკავშირდა სტუდენტთა არაღელვალურ, იატაკქვეშა ორგანიზაციებში, მონაწილეობას იღებდა არაღელვალური უურნალობის გამოცემაში, სიტინის გამოცემების სტამბის მუშაობა ფაფიცის ორგანიზაციაში... ამასობაში მოაღწია 1905 წელს და დაპატიმრების თავიდან ასაცდენად სანდროს უხედობა არაღელვალურად ცხოვრება ვასალ რუდენის პასპორტით.

1907 წლიდან იგი ხდება მოსკოვის უნივერსიტეტის შტატგარეშე თანამშრომელი.

1908 წლის ზაფხულში პროფესორმა ვერნადსკიმ დაავალა მას ციხისძირში ჩასვლა და აქ სასაპროანალიტიკო მინერალებში მოგზავდა და შესწავლა. ეს იყო ალ. თვალტრელოძის პირველი სამეცნიერო შრომა, რომელიც სათაურით „ბათუმის მხარის მინერალოგიისათვის“ 1912 წელს გამოქვეყნდა „რუსეთის აკადემიის მუშაობებში“. ახე დაიწყო მისი სამეცნიერო მუშაობა — ჯერ მოსკოვის უნივერსიტეტში, შემდეგ — 1912 წლიდან — ლეტობურგში, მეცნიერებათა აკადემიის გეოქიმიურ ლაბორატორიაში, შემდეგ — ქალაქ ნოვოჩერკასკში — ახლად

დაარსებულ დონის პოლიტექნიკურში მინერალოგიის კაბინეტის მცველისა და ასისტენტ-თანამდებობაზე.

ეს მეორე შეხვედრა იყო, რომელმაც სულ ახლებურად წარმართა მისი ცხოვრება.

1916 წელს რაჭაში, იმერეთში და მერე ლაზისტანში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოგზაურობის შემდეგ, ალექსანდრე ნოვოჩერკასკის ბრუნდებოდა. ეს ზაფხული არჩვეულებრივი იყო. ასეთი გატაცებით ჯერ არასოდეს უმუშავნია. ჩაქუჩით შეიარაღებული, ზურგჩანთით დატვირთული იგი სოფელ-სოფელ დაიარებოდა და ყოველდღე სულ ახალ და ახალ მინერალებს პოულობდა.

...ზარათში, ახალსოფელში, დერჩში, მუხურში, ნამხვანში, ურთოში, იგი აგროვებდა თეთრქაფა და ვარდისფერი ბარბიტის ნიმუშებს; ჩანთა სავსეა საგულდაგულოდ შეფუთვნილი მინერალებით: გალენიტი მექვილიდან და ნამხვანიდან, პეილიანიტი — ოსუნელიდან, მალაქიტი — ძმუსილიდან, მარკაზიტი — ტყიბულიდან, ტომსონიტი — კურსებიდან და, რაც მთავარია, ათეულობით ნიმუშის შესანიშნავი თიხიანი, რომელსაც ადგილობრივი მკვლევარი „თავსახან მიწას“ უწოდებდა, ხოლო მეცნიერებაში „ქიმიკალიტი“ სახელწოდებით არის ცნობილი. ამ თიხის შესანიშნავი თვისება აქვს — მას ნავთის დაწმენდა, გასუფთავება შეუძლია.

ალექსანდრემ ამ თიხის ორმოცდაათზე მეტი სახადო დათვალიერა!

ბუნებრივ საწარმოო ძალთა კომისიის ეს დავალება წარმატებით შეასრულა. მერე საშუალება მიეცა მოენახულა ლაზისტანი, რომელიც მამის რუსეთის ჯარების მიერ იყო დაკავებული. ბათონიდან ქალაქ ოჯამდე ნავით იყო გზავრა, შემდეგ ქალაქ ბეიბურთამდე — მთიანი გზებით. აქ მრავალი საინტერესო მინერალი და მადანი აღმოაჩინა — სპილენძის, მარკანიტის და ტყვიის მდიდარი საბადოები მოინახულა...

...და, აი ახლა, შთაბეჭდილებებით და მინერალთა ნიმუშებით დატვირთული ალექსანდრე ბრუნდებოდა ნოვოჩერკასკში...

კუმში ორი იყვნენ. მეორე მგზავრი ფაქიზად ჩაცმული, არჩვეულებრივად მიმოიღველი და დახვეწილი სახის ნაკეთიანი, მორიდებით, მაგრამ დაკვირვებით ადევნებდა თვალს ალექსანდრე. ისინი გამოცნაურდნენ ერთმანეთს და მერე როსტოვამდე, სადაც მათი გზები იყრებოდა, დრომ ისე სწრაფად გაიარა, რომ არც ერთს არ შეუმჩნევია.

ალექსანდრე ადტაცებული და გაკვირებული უვადებდა ყურს თანამგზავრის საუბრს. იგი აუჩქარებლად და მშვიდად ლაპარაკობდა, მაგრამ ყოველ სიტყვაში შინაგანი გზნება და ისეთი რწმენა იყო, რომ არა მარტო ხიბლავდა და იტაცებდა მსმენელს, არამედ სავსებით და ღრმად არწმუნებდა ყოველივე იმაში, რასაც ეუბნებოდა — იგი ლაპარაკობდა შორეულ ისტორიულ წარსულზე, მაგრამ ის გადახდილი ბრძოლები და საუკუნოვანი ავებელობა, მისი სიტყვით, მხოლოდ ხალხის სიცოცხლის უშრეტ უნარს ატყუებდა და მისთვის რწმენას ბადებდა. იგი ღრმა დაინტერესებით უვადებდა ყურს სანდროს ნამშობს და ეს მინერალები მას ისევე აინტერესებდა, როგორც ვარდალსულ დროთა ამბები...

გარეშე მსმენელს შეიძლება უცნაურად მოსჩვენებოდა საუბრის თემა, ისინი საქართველოს უნივერსიტეტის შესახებ ლაპარაკობდნენ. ეს უნივერსიტეტის ჯერ მხოლოდ ერთი მოსაუბრის — პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტის ივანე ჯავახიშვილის უბის წიგნაკში არსებობდა; ამ წიგნაკში რუსეთის უნივერსიტეტებსა და ინსტიტუტებში გაბნეული ქართველი მეცნიერების რამდენიმე ათეული გვარი ეწერა და იქვე — სპეციალობა, წოდება, მისამართი...

ახლგაზრდა მეცნიერებს ბევრი რამ ჰქონდათ ერთმანეთისათვის საძებელი, კიდევაც სთქვენს და გაუზიარეს, მაგრამ დადავ განშორების დრო. ივანე ჯავახიშვილის სიას კიდევ ერთი გვარი მიემატა. უკანასკნელად ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი და განშორდნენ... ისინი ხელმოკლედ შეხვდნენ მხოლოდ 1919 წლის შემოდგომაზე, როდესაც ივანე ჯავახიშვილის რეკომენდაციით თბილისის უნივერსიტეტის პირველმა რექტორმა სამუშაოდ მოიწვია ალექსანდრე თვალტრელოძე. და აი, 1919 წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებში, გეოლოგიის ახლად არჩეული პროფესორი ალექსანდრე თვალტრელოძე კონსტანტინე ტრადიციულ საჯარო ლექციას, თავის პირველ ლექციას თბილისის უნივერსიტეტის კედლებში. თემად მას აირჩია „პოტუგალიური მოვლენების საქართველოში“, ამ ლექციაში იგი ვრცელად შეხებ ბენტონიტური თიხების წარმოშობის საკითხს, ამგვარად, პირველივე თავის საჯარო გამოსვლაში, საქართველოს ახლად დაარსებულ უნივერსიტეტში იგი ლაპარაკობდა იმ თიხების შესახებ, რომელთა

საუკუნის სამი მეოთხედის განმავლობაში, შრომისა და ბრძოლის გრძელ გზაზე, ალექსანდრე თვალტრელოძე ათასობით ადამიანი შეხვედრია. იგი დიდი მეცნიერისა და მოაზროვნის, გეოქიმიის ფუძემდებლის ვლადიმერ ვერნადსკის მოწაფე, სახელმწიფო საბჭოთა მეცნიერის ალექსანდრე ფერსმანის თანამშრომელი და მეგობარი იყო. ახლო ურთიერთობა ჰქონდა მრავალ მეცნიერსა და მოღვაწესთან, მაგრამ ორ ადამიანთან შეხვედრამ წარუშლელი კვალი დაატოო მთელ მის შემდგომ ცხოვრებას და მოღვაწეობას.

პირველი შეხვედრა ბავშვობაში მოხდა, 1888 წელს. სანდრო შეიდა წლისა იყო, როდესაც მამამ სამშობლოში ჩამოიყვანა.

მამა — ანტონ თვალტრელოძე, თბილისის სამსწავლებლო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, სამუშაოდ ჩრდილოეთ კავკასიაში, ქალაქ ბათონში გაემგზავნა. აქ შეერთო ცოლად ადგილობრივი მკვიდრის ტომოთე ასტახოვის ქალიშვილი, და აქვე, 1881 წელს შეეძინა პირველი, რომელსაც ალექსანდრე დაარქვა სახელად.

...და აი, პატარა სანდრო პირველად არის სამშობლოში.

ქუთაისში ბაბუა და ბიძა პარმენი შეხვდნენ — როინის გაყოფებით დაიძრნენ ცახსაკენ. ბიძა პარმენი მდინარის ხმაურს იგვიბრება და ხმამაღლა გაიძახის რაღაცას. მამა უხსნის — ეს ლექსია — ბიძა ხომ პოეტია — ცახელია მისი ფსევდონიმი.

სწრაფად გაიარეს დღეებმა ცახში. ანტონი უკან გამოსამგზავრებლად ემზადებოდა. დილა იყო, როდესაც სოფლიდან დაიძრნენ. სანდრო ცხენზე იჯდა. ბაბუა და მამა გვერდზე მისდევდნენ ფეხდაფეხ. მალე გამცილებლები ჩამოშორდნენ და სამა გაანარძო გასა.

მოსახვევთან ბაბუამ რაღაც ვადაუღაპარაკა მამას და მათ გადაუხვიეს გზიდან. ასიოდე ნახივე გაიარეს და პატარა ფიცრულთან შეჩერდნენ. იქვე, კირქვეში, დიდი ორმო იყო გათხრილი. ორგულივ მოტეხილი კირქვა იყო დახვედრული. რამდენიმე ნიჩავე, წერტილი და ძალაყინი ეგდო. ორმოში ვიღაც გამხდარი ლურჯთვალბა და ქერათმიანი, დაკონკილი, მაგრამ სუთვა შარვალ-ხალათიანი კაცი ქვას ტეხდა. კაცმა ამოიხედა, გაუცინა ბაბუს, დაავლო წერაქვი, მკვირცხლად ამოიჭრა ორმოდან, — ბაბუს და მამას ხელი ჩამოართვა, სანდროს თავზე გადაუღებდა.

სანდრომ მხოლოდ შემდეგში გაიგო, თუ რატომ ელაპარაკებოდნენ ასეთი პაციისცემით ბაბუსა და მამაც ამ თმაგაბურძნულ და ტანსაცმელ შემოდარცულ ლურჯთვალბა კაცს. ეს იყო პოლონეთის, 1868 წლის იანვრის აჯანყების მონაწილე. კაზიმირმა (გვარი სანდროს არ დაამახსოვრდა) აჩვენა მათ თავისი „წარმოება“. აი აქ, ორმოში ცარცის ტენდა, აი, ამ მეორე, წყლით სავსე ორმოში ლექვად ცარცის გორანებს. აი, კალაოტები, რომელშიაც ცარცის ფაფას ასხამდა, მერე აშრობდა და საწერი ცარცის ოთხკუთხა ძელებს ქუთაისის სასწავლებლებში ჰყიდდა, ამით ირჩენდა თავს. კაზიმირმა რამდენიმე ნატუნე ვახვთა ქაღალდში და სანდროს უსახსოვრა. მამა და ბაბუა კაზიმირთან ლაპარაკმა შეიყოლია, მერე მამას ვახსენდა, რომ აგვიანდებოდათ, გამომშვიდობება დაიწყო.

— ზო, კინდამ დაშავიწყდა, კიდევ ერთი პროდუქტი მაძლევს მცირე შემოსავალს! — პოლონელი ისევ ორმოში ჩახტა. ორმოს კედლებზე ცარცის თეთრ ფენებს შორის თხელი მომწვანო-მოყვითალო შრე იყო. კაზიმირმა ამოტეხა რამდენიმე ნაჭერი, მოწილა ხელით, მერე მუშტისობდნა ბურთიბად დააგუნდავა და სიცილით ანტონს გაუწოდა.

შეხვედრით და ასე იტყობით, ამ დღით ჩამოსულა ოკლანამიდანო. ნამდვილი ზანგი იყო. ხუჭუჭა თმა მცხუნვარე მზეს გაეხუნებინა. ესეც თავისებურად უხდებოდა. ზანგივით უბრწყინავდა ალერსიანი თვალები, მიჭრით მიწყობილი კბილებიც ზანგივით უქათათებდა. გულიც კეთილი ჰქონდა.

ამბობენ, გულკეთილობა უმთავრესი რამ არის საქმეში გამარჯვებისათვისო. გულ-ღრძო და შურიანი ადამიანი იმედის მზის ამოსვლას ვერ ეღირსებაო. მართლაცადა რაგვარად ეღირსება, თუ კაცმა მარტო სარ-მაზე იფიქრა, აბა ვის სად გამოვლო და სად წავაქციოო.

კიდეც ბევრს რასმე ამბობენ. აქედან ზოგი მართალია, ზოგი ტყუილი. ისე, ხალხის ნათქვამი, მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც მართლდება. ეს იმიტომ, რომ ხალხი ბრძენია, მაგრამ ისიც მართალია, ერთხელ ბრძენიც შეცდებოა.

ძია ბესოც ასე ფიქრობდა. ვის არ აკვირვებდა მისი ჭკუა და მოხაზრებულობა. რა არ იცოდა, რა არ გამოეცადა. თვითონ ამბობდა, ოცდათექვსმეტისა ვარო, მაგრამ აბა რა სათქმელია! მეტს მისცემდით.

ლაპარაკს დაიწყებდა თუ არა, სიფრიფანა ნაოჭები დაეშლებოდა ხოლმე შუბლზე. საფეთქლებს ნაოჭების ხორბლისფერი კვალნი აჩნდებოდა, სწორედ ამით შეატყობდით, რომ ძია ბესო ზანგი არ იყო, იგი მხოლოდ მზეს შეეფერადებინა. ალბათ, ზღვისპირად ყოფნის დროს ძია ბესო მზეს უცინოდა, ეს ხორბლისფერი ხაზები კი, ბუნებრივი ფერი იმისი სახისა, გაშავებას გადარჩენს.

გელა ათი წლისაც ძლივს იქნებოდა, ძია ბესო რომ პირველად მოვიდა. შინ ორნი იყვნენ: გელას აღმზრდელი ქალი — სოფიო და თვითონ ის, გელა.


ზარმა რომ განწყობილია, სოფიო მისაღებიდან გამოვიდა და დერეფნიდანვე გასძახა, ვინ ბრძანდებითო.

ზარი კიდეც დარეკეს... და ძია ბესოც მაშინ შემოვიდა პირველად. კაცი და ასე მიმზიდველი აქამდე არ ენახა გელას თვალებს. ისე სამოდ იღიმებოდა, ძე-ხორციელი ვერ გაძლებოდა იმისი ცქერით. ქული მოიხადა, გაკვირვებულ სოფიოს, რომელიც მედიდურად იდგა ბაწია კიბის უკანასკნელ საფეხურზე, ძალზე თავაზიანად გამოელაპარაკა.

სანამ შუბლშეკრული სოფიო სტუმარს ათვალერებდა, მისაღებ ოთახში მოზვრისოდენა აჩხლმა ქოფაკმა ბახულიამ დაიღრინა. სტუმარი კი ოდნავ მოხრილიყო, კეთილი თვალები უბრწყინავდა.

ნებიერი, ყურებდაკრილი ბახულია ყვეფით გამოიქრა მისაღებიდან. იქ ამოჩემებულ სავარძლის ფეხთან ეძინა და კარის ჯაჭვების ჩხრიალმა გამოადგოძა. სოფიოს ფერი ეცვალა. მხოლოდ ახლა გაახსენდა კარლიაში დატოვებული ბოროტი ბახულია.

გელასაც შეეშინდა, მაგრამ აბა რა ექნა. სოფიომ თავისებური დაცაცხანებაც ვერ მოასწრო, რომ ბახულიამ ზღურბლიდანვე ისკუპა და სტუმარს ეძგერა. ძნელი კია იმის თქმა, რომელი რომელს ეძგერა, ძალი ადამიანს თუ ადამიანი — ძალს. წამსვე იატაკზე გაგორდნენ ორივე. ხან ერთი მოექცეოდა ქვეშ, ხან მეორე. დროდადრო გაიღვებდა ბახულიას წითელი პირი. ხანდახან უცნობის სახეც გამოჩნდებოდა.



შესახედობა ხიბლავდა. ბოლოს, ველარ მოითმინა და ჰკითხა:

- ლონიერი ხარ?
- ბესომ თვალი ჩაუჭრა სოფიოს, პატარას თავისი მზინვარე, შავი ხელი მოუთათუნა.
- ასე, ცოტა...
- ლონიერი ყოფილხარ, — დაბეჯითებით წარმოთქვა ბავშვმა, — ლომს მოერევი?
- ბესოს გაეცინა.
- რა გეკვია, ძია?
- ბესო.

წუთით სიჩუმე ჩამოვარდა. ამასობაში სოფიო გამოვიდა, ბესოს რაღაც გადასცა. ბესომ მადლობა გადაუხადა და, ის იყო, წახვლა დააპირა, რომ გელას ხმამ მოახსენა.

- ძია, კიდეც მოხვალ?
- ბესომ ოდნავ გამოაჩინა ქათათა კბილები. თავი დაუქნია ბავშვს.
- სულ ჩვენთან იქნები?
- პირმოამღიმარე ბესომ მხრები აიჩრია.
- მოდი რა... — შეევედრა გელა.
- გელა! — კიბის თავიდან გაისმა სოფიოს ხმა, — ამოდი ზემოთ. ორპირი ქარია, გაცვიდები.
- გელას არ უნდოდა ამოსვლა, სოფიოს წაუყრუა,

ბესოს არ წყენია სოფიოს გულხიანი ჩარევა, დაიხარა და ბავშვს ყვრიმალზე აკოცა. გელას უფრო აუჩუყდა გული, თვალები ცრემლით ავსო.

— აბა, ამოდი ზევით, ამოდი-მეთქი, შენ გეუბნებიან — გაწიწხატე სოფიო... — არ მინდა თქვენი სახლი, არ მინდა! — ფეხების ბაკუნით გაიძახა გელა მხრეზე. ხელი კი ისე მაგრად ჩაეგლო ბესოსათვის, რომ ვერასვლით ვერ გააშვებინეს.

— რა ვქნა? — იმედი დაჰკარგა სოფიომ, — სულ გადაირია. დედამისის საყვედურებს ვინ გადაურჩება. ათ წუთში სკოლაში უნდა წავიდეს. ბიჭო, გელა, შენ გეუბნებიან: ამოდი ზევით! სულ თქვენი ბრალია, — ახლა ბესოს მიუბრუნდა გამწარებული ქალი, — გადარიგე ბავშვი!

— თქვენი ბრალი კი არ არის? რა მოხდება, რომ ერთი ათი წუთი წუთით გაიარ-გამოიაროს! — რა დროს გავლა-გამოვლათ. ახლა სკოლაში უნდა წავიდეს.

— მერე რა? — გავლა-გამოვლისათვის გაკვეთილები გააციდნოს?

— გაციდნოს თუნდაც ერთი-ორი გაკვეთილი, ვითომ რა დაშავდება?

ქალი სულ წამოწითლდა სიბრაზისაგან, პასუხიც ვერ იპოვნა.

— ამოდი, გელა, ზევით! — შეუტია ისევ ბავშვს, — ამოდი! შენ შოფრებთან არავითარი საქმე არა გაქვს. თქვენ კი, ბატონო, თქვენს საქმეს შეეცადეთ.

ბესომ გაიღიმა. გაიღიმა თავისი მომხიბლავი ღიმილით.

— აბრძანდით, მე ვიტყვი და ამოვა, — დარწმუნებით თქვა მან.

— არ ავალ, არ მინდა ასელა, შენთან მინდა! — ისევ თავიდან დაიწყო გელამ.

— აბრძანდით, რას მიუყრებთ, ბავშვაც ახლავე ამოვა, — კვლავ მშვიდად მიმართა ქალს ბესომ.

გელა ფეხებს აბაკუნებდა. ბესოს სახელოს ჩაშფერებდა. მისი დაყოლიება ხუმრობა საქმეც აღარ იყო ახლა.

სოფიო გაბრუნდა. მისაღების შუშებიანი კარი ჯახუნით დაიხურა.

— ვინ არის ეს ქალი? — ჩურჩულით ჰკითხა ბესომ ბავშვს.

სოფიო არისო, მიუფო გელამ.

— აქ რას აკეთებს? — არაფერს.

— აბა ტყუილად ვინ შეინახავს. — რა?

— თუ არაფერს, რატომ არის აქ? გელამ ტუჩები გაბრუნა. შემოსასვლელის კიბესთან ზურგიტ მოყენებულ მანქანას დააცქერდა.

— გაუფარს? — ისევ ღიმილით ჰკითხა ბესომ. გელა შეეყოყმანდა, ბესო კი გამომცდილად შესცქეროდა თვალებში.

— მე უფრო გაუფარვარ თუ სოფიო? გელამ რაღაც ჩაიზულუნა.

— კარგი, თუ ასეა, სოფიოსთან უნდა ახვიდე. — არ მინდა! — უმალ აეთოო გელა, — არ წავალ, შენთან ვიქნები...

— იყავი, — კვლავ გამოაჩინა თეთრი კბილები ბესომ, — შენისთანა მალხაზები ძალიან მიყვარს, მაგრამ სოფიო რას იტყვის! აქამდე მე ვუყვარდიო, მერე ის მოვიდაო...

— არ მინდა სოფიოსთან! — ხელახლა გაჯიუტდა ბავშვი.

— დედა რომ გაგიჯავრდება? — არც დედასთან მინდა.

— მამასთან? — არც მამასთან!

— ოოო! მამაზე ეგ არ თქვა, არც დედაზე, გაიგე? ახლა რასაც გეტყვი, დამოჯერებ?

გულაჩუყებულმა ბიჭმა თავი დაუქნია.

— მე ორ საათზე შემოვივლი. შინ ხომ იქნები? გელამ კიდეც დაუქნია თავი.

— ორ საათზე, საღაც გინდა წავიდეთ. ახლა არ მცალია. სოფიოსაც ნუ გავაჯავრებთ. ხომ იცი, რა კაპასი ქალია. ჰო? ახლა ადი. მამაბეთ-თქო, უთხარი, მეტს აღარ ვიზამ-თქო.

სხვა გზა აღარ ჰქონდა გულამომჯდარ გელას, დაეთანხმა.

ამ დღიდან გელა მეტისმეტად დამჯერე და თავაზიანი გახდა. განსაკუთრებული გულმოდგინებით ასრულებდა ბესოს დავალებს. თითქოს ის შავი კატაც გაქპრა, რომელმაც ერთ დროს სოფიოს და მის შორის გაიშალა, მაგრამ ერთ დღით გაკვირვებული წამოვდა ლოგინზე სოფიოს მაგივრად საწოლ ოთახში ვიღაც უცნობი ქალი შემოვიდა. მას დედა შემოჰყვა. მეღისი ტყავი მკლავზე გადაეღო დედას, ის იყო სამსახურში მიდიოდა.

— გელა, გლოვიანს? — კარებშივე იკითხა მან.

გელას არაფერი უპასუხნია. გაკვირვებული შეხუტებდა შემოსულთ.

გულაჩუყებულმა

რეჟისორი

მოთხრობა

მხატვარი ალ. ბანძელაძე

ბოლა. პირდაპირ საოცრება იყო: ეს კაცი წელანდ-ლურად იღიმებოდა, თითქოს მიწის ფრად ქცეულ სოფიოს ხელი უნდა ჩამოართვასო. ბოლოს წამოადგა, ტანსაცმელი შეიფერებოდა. ბროლის ნიშანწყალიც არ ემჩნეოდა. სწორედ იმასა ჰგავდა, კაცმა მორევი გადასცურო და ფეხიც არ დაგისველდეს.

კიბისთავში ქაშრით გათოკილი ბახულია ეგდო და უმწყო დავღავით ხელახლა წამოვარდნას ღამობდა.

— რა ჰქენით — ამის წამოახებადა მოახერხა სოფიომ, — ხომ მოჰკალით ძალლი..

ის კაცი კი კვლავინდებურად იღიმებოდა, ქაშრის ბოლოს სოფიოს აწვდიდა.

— აბა, წაიყვანეთ. ფიცხი კი ყოფილა. რა მოკლავს, ცოტა გაბურბუსალებულია.

ბესოს გულითად დაპირებას კი არ ენდო და შეეხვეწა:

- მეც წამიყვანე, რა, ძია, შენთან მინდა...
- გელა! — მკაცრად გაიმეორა სოფიომ.
- წამიყვანე! — თავისაზე იდგა ბავშვი.
- ახლა არა მცალია, — მოითხოვდა ბესომ და გარუჯული ხელი თავზე მოუთათუნა ბიჭუნას, — მამამ სასწრაფო საქმეზე გამოგზავნა.

გელას კურცხლები მოადგა. არასვლით არ უნდოდა დარჩენა.

სოფიო ჩამოვიდა, ბავშვს მკლავში ჩააფრინდა, ის კი ბესოსაკენ მიიწვიდა.

— არ მინდა, ძია ბესოსთან მინდა, გამიშვი, სოფიო!...

— წამოვიდეს, — თქვა უცებ ბესომ.

— ხომ არ გადაირიგეთ! — დაურიდებლად მიახალა ქალმა, — ჯერ კაკაოც არ დაუღვია.

უცნობი ქალი მოუახლოვდა, ღიჯაზე ხელი მოუცა ცუნა. გრძელი, თლილი თითები ჰქონდა. გელამაც კი შეატყუო, რომ ქალი თავის თითებს ეალერსებოდა. დედამაც თითებს შეხედა, მერე მელის ტყავი მკლავზე ჩააცურა და მაღულად თავის თითებს დაეცქირა.

— შენი ახალი აღმზრდელია, — რატომღაც გულმოსულად ჩაუღლაპარაკა შვილს. — უნდა შეიყვარო და პატავი სცე.

— მერე სოფიო? — აღმოხდა სახტად დარჩენილ ბავშვს.

ამ ქალის ღიჯაზე სახეს კი ღიმილი დასთამაშებდა. ოდნავ შავგვრემანი იყო, ტუჩების ზემოთ მცირედ შეხამნივე უღვაშები წამოსვლიდა. ნეტავი სად ენახა ეს ქალი გელას? ვიღაცას კი ჰგავს. თვალები! ხუჭუჭი, ოდნავ განუხლებული მზნინვარე თმა. სოფიოც კარგი იყო, თუმცა...

საღამოთი ძია ბესომ მოაკითხა ჩვეულებებისა მებრ. გელამ სულმოუთქმელად ჩაირბინა კიბე და თვალის დახამამებში ძია ბესოს მკლავებში აღმოჩნდა. მანქანა ათუხთუხდა, აფართოვდა და როგორც კი ნიკოლაძის ქუჩაზე გავიდა, ქარივით გაიტაცა მგზავრები. უკან დარჩა ღვინის ბიბლიოთეკის რკინის ჭიშკარი, სახელმწიფო უნივერსიტეტი. შორს ვაკის პარკის ნარინჯისფერი თაღები გამოჩნდა.

გელა ჩაფიქრებული იჯდა. ნიდაყვით სახელურს დაწვდიდა და მოწყონით გაჰყურებდა ქუჩას. ქუჩაზე ხალხი ირეოდა. ზოგი აქაჩრებდა მოაზიგებდა, ზოგი ხელების ქნევით ელაპარაკებოდა თანამგზავრს, ზოგი კიდეც ეკლასავით დაღვრემილი იყო. ეს არ გამოჰპარვია კეთილ ძია ბესოს. მანქანა შეჩერდა და გელა წინა სავარძელზე გადმოსვა. ბიჭი სასურვეს მიეყრდნო.

— გელა! — ოდნავ მოაბრუნა თავი ბესომ.
— რა? — გამოერკვა ბიჭი.
— იმ დედა-შვილს ხედავ, ფარდულს რომ უახლოვდებიან?
— რას?
— ფარდულს, აი, იმას!
— ვხედავ.
— ვინდა გავაჩეროთ?
— რათა?
— გავაცნობ იმ ბიჭს.
— ვინ არის, რო...
— ნახვ. გავაჩეროთ?
— გავაჩეროთ, — უგუწებოდ დაეთანხმა გელა.

მანქანა ტროტუარისაკენ გასრიალდა და თუჯის ორკაპა ბოძთან შეჩერდა. შავტუხა ბიჭუნამ უმაღლვე მოკრპა თვალი გაჩერებულ მანქანას, დედას გაუსხსნა და აქვე გამოიქცა.

— როგორი ბიჭია! — თვალი ჩაუკრა გელას ბესომ, — აი, ახლა გავაცნობ. იცი, რა საყვარელი ბიჭია?

გელამ წარბი შეიკრა. არაფრით არ გამოუხატავს თავისი აღტაცება. ბესომ მანქანის კარი გააღო და თმბუჭუჭა პატარა ბიჭი შიგ შეემოუშვა, უმაღლვე მუხლზე დაისვა და გელაზე ანიშნა.

— ეს გელაა, იცი?
ბიჭუნა გულზე მიხუტა ბესოს და გელას ქვეშქვეშ გახმედა ქუთუთოებჩაწითლებული თვალებით.
— ჩამოართვი ხელი! გელა, ჩამოართვი ხელი ლაღოს, დღეიდან მეგობრები იქნებით.
გელამ უხალისოდ გაიწვინა ხელი.
მას არავის დანახვა არ უნდოდა. ნეტავი ვინ იყო ეს შავტუხა, წარბებავლებილი ბიჭი, რომელიც ასე უყვარდა ძია ბესოს? რატომ უყვარდა ძია ბესოს სხვა ბიჭი? ვანა ასეთი იყო მათი პირობა? ძია ბესოს მარტო გელა უნდა ყვარებოდა, გელას კიდეც მარტო ძია ბესო. ეს კი ვიღაც წარბებავლებილი ბიჭს ეალერსებდა და მტკიანით ფეხებით გაპირაღებული მანქანის სავარძლებს ათლივებდა!

გელას ტირილი მოუხდა, მაგრამ თავს იკავებდა. ძია ბესოს ხომ ყველაზე უფრო უყვარდა იგი. ნეტავი მამას ჰყვარებოდა ასე. მამას ხომ სხვა ბიჭი არა ჰყავს. მამა რას აკეთებს, დღე და ღამ სადღაც რომ არის წასული! გელა მხოლოდ დილით გაიგებს, რომ მამა შინ ყოფილა, მაგრამ გათენებისას, გელას გაღვიძებამდე, კიდეც სადღაც წასულია. დედაც სადღაც მიდის ყოველდღე. შინ მარტო გელას და სოფიოს სტოვებენ. ახლა სოფიოც წავიდა. რა უნდა ჰქნას გელამ მარტოდმარტო? არ უნდა გელას ის ვიღაც თამაგუნებელი, უღვაშებიანი ქალი, რომელსაც ღამაში თითები აქვს. ის ქალი არასოდეს არ შეიყვარებს გელას თავის თითებზე უფრო. ეს გრძელი, თლილი თითები მთელ ქვეყანას ურჩვენია. მარტო ძია ბესო დარჩა. ისიც ამ წარბებავლებილი ბიჭს ეალერსებდა. მამა გელა აღარავის უნდა, არც სოფიოს, არც დედას, არც მამას და არც ძია ბესოს! აქ კი ველარ შეიკავა თავი და გაბუული, გულსაკლავი ხმით ატირდა.

ძია ბესომ თავი გაანება პატარა ლაღოს და მოიხედა. ახლა აღარ იღიმებოდა. მისიხაგან გადარჩენილი ხორბლისფერი ხაზები ამოტივტივებულიყვენ მის სახეზე.

— რა მოგივიდა, გელა, მოგშვიდა?

გელა კი ტიროდა, კი არ ტიროდა, შეუჩერებლად ზღუქუნებდა:
— აღარ მინდა, აღარ მინდა...
— რა აღარ გინდა, გასიერნება?
— არაფერი...
ძია ბესომ ლაღო ციმციმ აიყვანა და იქვე მანქანის კართან ატუზულ ახალგაზრდა ქალს ჩაუგორა მკლავებში, თან რაღაც წასჩურჩულა. ქალმა ბავშვი ჩამოართვა და უსიტყვოდ მოსცილდა მანქანას.
— შინ წავიდეთ? — აღერსიანად იკითხა ძია ბესომ.
— არა...
— კიდევ გავსიეროთ?
— არა...
გელა წინა ფანჯრის მინიდან ადევნებდა თვალს მიმავალ დედა-შვილს და როცა ისინი ფარდულს მოეფარნენ, წაილულლულა:

— მიცევა, ძია ბესო. შინ წამიყვანე.
ძია ბესო შეაშფოთა ამ სიტყვებმა. მანქანა მაშინვე მოაბრუნა. შინ მისვლამდე ერთმანეთისათვის ხმა აღარ გაუციათ. „აააააა“, ძია ბესოს შვილი იყო, — ფიქრობდა გელა, — როგორ ჰგავდა ძია ბესოს! — მერე რატომ არ უთხრა? რატომ ჰყავს ძია ბესოს შვილი? მერე გელა?

ბავშვს სიცხე მისცა. მთელ ღამეს აბოღებდა. ხან სოფიოს ასხენებდა, ხან ძია ბესოს. მესამე დღეს ხურებამ გაუარა. გონზე მოვიდა და მაშინვე ძია ბესო იკითხა. თავს დამარბებულ დედა ადგა. ნამტრალევი და გამხდარი იყო. ტანი უბრალო ხალათი ეცვა. შეშფოთებულს თმის დავარცხნაც ვერ მოესწრო.

ის ვინ არის, ფანჯარასთან რომ დგას? მგონი მამაა. ხელები უკან შემოუწყვია. ცერა თითით პაპიროსს აწვალებს. მთელი ოთახი ბოღს აუფსია. ასე არასოდეს არ ყოფილა. გელას ოთახში პაპიროსს არ ეწყოდნენ. ის უღვაშებიანი ღამაში ქალი აღარსად ჩანს, ნეტავი ისიც ხომ არ დაითხოვეს, როგორც დედა სოფიო? მთელი სახლი სამარისებურ სიჩუმეს მოუცავს. ნეტავი ბახულია სადღაც წავიდა?

— დედა, სოფიო მინდა! — წამოიძახა გელამ, რადგან გამეფებულმა სიჩუმემ შეაშინა.
დედამ სახანი გაუსწორა და შუბლზე აკოცა.
— სოფიო? — ისევ იკითხა გელამ.
— წავიდა, შვილო, დაგაიწყდა?
ჰო, მართალია, როგორ დაავიწყდა გელას! სოფიო რამდენი ხნის წასულია. მის ადგილას უღვაშებიანი ქალი არ მოიყვანეს?

— ბახულია სად არის, დედა?
— ქვემოთაა, ძინავს.
ვაიბე, რატომ არის აქ ამისთანა სიჩუმე? ძია ბესო ხომ არ წავიდა? იქნებ ძია ბესოც წავიდა, თვისი გელა მიატოვა? არა, ძია ბესო ამას არ იზამდა. ის რომ წავიდეს, მერე ვინღა წაიყვანს გელას სკოლაში, ვინ წამოიყვანს სკოლიდან, ვინ მოუყვება საინტერესო ამბებს, ვინ მოეფერება, ვინ გასიერებს. გელა მთლად აკანკალდა. სასთუმლიდან წამოიწია და დედას თვალბეჭით შეაჩერდა. დედა ვერ მიუხვდა, სასთუმლზე დაიხარა და შვილის გახურებული თავი გულზე მიხუტა.

დღე გადიოდა, კეთილი ძია ბესო კი არ ჩანდა და არა! მამა ძირს ჩავრდა, მაგრამ სადარბაზო კარი არავის გაუღია. მოსამსახურე ქალი არ შემოსულა გელას ოთახის დასალოგებლად. არც ბახულია მოსცილებია სავარძლის ფეხს. ამასობაში დაღამდა კიდეც. ძია ბესო მაინც არსად ჩანდა.
გათენდა. ეს მეორე დღე იყო, რაც გელას სიცხე დაუყვარდა. აღმზრდელი ქალის მაგივრად ტანსაცმელი თვითონ დედამ ჩააცვა. გელა ძია ბესოს სახელის ხსენებასაც ვერ ბედავდა. იქნებ რამე შეემთხვა ძია ბესოს, იქნებ...

დღე დღეს მისდევდა. მამის კაბინეტში ძალზე იშვითად რეკდა ტელეფონი. მამა დღენიადაც ჩაკეტილი იყო. არავის ნახვა არ უნდოდა. ყოველ დილით დარეკდა ზარი დღერფანში, მერე მერძვე ქალი შემოვიდა, თეთრი ბილდონებს გარეთ დატოვებდა, დედას ორ მაწვინან ქალას მისცემდა, ფულს დაუხურდავებდა და მერე ისევ იკეტებოდა მძიმე კარი. რა დიდი ბედნიერების მოტანა შეეძლო ამ კარს გელასათვის! ხომ შეიძლებოდა, გაღებულყოფა და, მერძვე ქალის მაგივრად, გელას თავისი თმბუჭუჭა, თავისი ზავი ძია ბესო დენახა. რა სიხარულით გა-

მოეკანებოდა გელა, კისერზე ჩამოიკიდებოდა, ისე მაგრად ჩაეკონებოდა, რომ სუნთქვას შეუგუხებდა, მაგრამ ბოროტ ქვს არ უნდოდა გელას გახარება. ამიტომ გელასაც შესძულდა ეს ძველი, მუხის კარი. ვაკისკენ გასიერების ორი კვირის თავზე გელას ქუჩაში გასვლის ნება დართეს. გელას დღეს პირველად წავიდა სკოლაში. ფეხზე წავიდოდა, რადგან მანქანა შესაკეთებლად გაეგზავნათ ნავტომობილო ქარხანაში. აქი მამაც იმტომ არ გამოდის გარეთ. მამას ფეხით სიარული ეჯავრებდა. როგორი მსუქანია! აბა ფეხით როგორ უნდა იაროს. ქვემოთ, ოპერის პირდაპირ, წყალს რომ ყიდიან, კიდევ არის ერთი ასეთი მსუქანი ძია. ისე მსუქანია, რომ წყლის დასხმისას ხელი უკანკალებს. ეშინია დედამიწა არ ჩამემტვრეს და შიგ არ ჩავიხლიწო. ერთი ის არის და ერთიც მამა. ის ძია ფეხით დიდის. ცა ქნას, მანქანა არა აქვს. ახლა რვა საათია. ზარი ტარისნახევარზე დაიწყება. იქნებ უცაბედად ძია ბესოს ვადაეყაროს?

ბუბლიო? რად უნდა გელას ბუბლიო. ახლა ისაუშმა. თუ მოვივებდა, სკოლაში იყიდის პონჩიკებს. მერე რაღაც გაახსენდა, ჩანთის ქნევით თეთრხალათიან მოხუც მებუბლიკს გამოუდგა.

— რა ღირს, ძია, ბუბლიო?
— სამი აბაზი, შვილო.
— ჰა, მომიცი!
მოხუცმა მინის თავსახური ახადა ყუთს და გელას ცხელი, დაბრაწული ბუბლიო გაუწოდა.

— გმადლობთ, ძია.
— შეგერგოს შვილო.
უპ, ეს რამდენი მანქანებია ამ დილაარდინს! აქ მაინც ვერ გადავა, გადასასვლელი არ არის! აფთიაქთან გვბობა. იქ ტრამვაიც ჩერდება.

გაზონების ვადადმა მილიციებმა ჩაიარა. გელამ ქული მოიხადა და მიესალმა. მილიციელები ზრდილობიანად გამოეჭიმა წესიერ მოსწვევებს. აი ვადასასვლელიც! ვახვავდა და ლეკოვნილიც ახლა მიდიან სკოლაში. ვერც კი ხედავენ, გელაც რომ მათსავით ფეხით მიდის. არა, დაძახება არა ღირს, ხმას მაინც ვერ მიაწვდენს. ვადაიბრებს, დაეწევა. მოიცა, ვერ ამ გზის სატკეცმა ჩაიაროს!

მან ათიოდე ნაბიჯი გაირბინა და ტრამვის ხაზზე შეჩერდა. ზემოთ ჩაიწილა ავტობუსმა ჩამოქროლა. წუთით ჩამაჩუმე მიწყდა. მიხედ-მოხედოდა წინ გაიქცა, მაგრამ ჩანთა შარვლის ნაკეცს წამოიღო, შემოზარიალდა და ფილაქანზე დაფანა მოაღინა. გელა უსაყრდელად დაიღრმავდა და აქ ისე მძლავრად დაიღრმავდა მანქანის ღერძმა, რომ გელას თვალი დაუბნელდა. მანქანის წინა ფრთა ოდნავ შეეხო მის მხარს, მაგრამ იქვე გაიყინა, გაქვავდა.

გელამ ჩანთა აიღო და უნებურად მანქანას შეანათა თვალები. პირაღა მინის ვადადმა ბანტიანი გოგონა იჯდა. შიშისაგან ფერი წასვლიდა, მაგრამ ახლა გულმოსული უყურებდა აბეზარ ბიჭს, რომელმაც ქუჩაზე გადასვლის წესებზე არ იცის. გელამ ერთი ნაბიჯით უკან დაიხია და... ერთხელ კიდეც შეხედა მანქანას.

საქმისთან შუბლმეკრული ბესო იჯდა და მტრული თვალებით ზერავდა მას.
— ძია ბესო! — მივლი ხმით შეჰყვირა ბავშვმა ნანატრი სახელი. და ადგილს მოსწყდა. მანქანას იმ მხრიდან შემოღრმავდა სიდანაც ძია ბესო ჯდებოდა ხოლმე და უმაღლვე მიხვდა რაღაცას: ეს ხომ მათი შავი მანქანაა! აქი ქარხანაშია? მის ადგილზე ეს ბანტიანი გოგონა ზის. სასწრაფო!

— ძია ბესო! — ერთხელ კიდეც შესძახა მან. ბესომ ოდნავ გამოაჩინა თეთრი კბილები, თვალბეჭით ნაპერწკალი გაუკრთა.
გელამ ხელბეჭე დაიხედა, რადგან არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ბუბლიო დაიანახა. ფეხის წვერებზე აიწია და ის ბუბლიო ძია ბესოს მიაწოდა. ბესომ ოდნავ გადმოიწია ფანჯარაში. ბუბლიო გაემართვა.

— როგორ ხარ, ბიჭო? — ჰკითხა მერე. გელას გული ამოუფდა. პასუხის მაგივრად კინაღამ ცრემლები გადმოჰყარა. წამით ისევ გოგონას შეავლო ატბორებული თვალები.
გოგონა გაუწმრევლად იჯდა. სადღაც შორს გასცქეროდა.

— ლაღომ მოგიკითხა, იცი? — თქვა ისევ ბესომ, ფანჯარაში ხელი გადმოიწვინა და თავზე მოუთათუნა გელას, — გასოვს ლაღო?
ბიჭმა უანგარიზოდ დაუქნია თავი, თუმცა ბესოს ნათქვამისა ვერაფერი გაიგო. სულ უნდოდა ეკითხა რაღაც, მაგრამ, თითქოს ენაზე კლიტე დაუდიათო, ვერ იქნა და ხმა ვერ ამოიღო.

ამასობაში ის მილიციელები მოვიდა, გელას რომ მიესალმა. გელა ვეღარაფრის ხედავდა, ვერც მანქანას, ვერც მილიციებს, ვერც ბანტიან გოგონას... უეცრად ასწია თავი. ბესო ისევ იღიმებოდა. საჭის მარჯვენა მხარეს შექვრიანი ვადადმა გადაატრიალა. მანქანა ნელა დაიძრა და მსუბუქად გასრიალდა გაზონების გასწვრივ. ოდნავდა მოჩანდა უკანა შუქფარის წითელი სინათლე. მერე ისიც მიიღია და მანქანამ სხვა მანქანების ზღვაში შესცურა.



ქართული სახელმწიფო უნივერსიტეტი



მატარებლიდან ჩამოსვლისთანავე ყურადღებას იპყრობს რკინიგზის საკვანძო სადგურის ლამაზი შენობა.

ქართული უნივერსიტეტი

ქუჩისა და ჭაობში ჩაფლული ბნელი დაბა იყო ოქტომბრის რევოლუციამდე ახალსენაკი.

სამაზრო კანცელარია, რამდენიმე სამიკიტნი და საწვრილმანო დუქანი შეადგენდა დაბის მთელ აგლადიდებას. ქალაქის ტერიტორია გაუვალი წუმბეებით იყო დაფარული. ზაფხულობით

კოლექტივის გადაცემა საქართველოს მთავრობისა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია.

ახლა ცხაკაია ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი მოწინავე რაიონული ქალაქია. ყოველწლიურად ფართოდება და კეთილმოწყობილი ხდება რა-

იას ძაფსადები ფაბრიკის მშენებლობა, ერთი ორად გადიდდება კირის ქარხნის წარმადობა, დაწყებულია ქალაქის მთლიანი კანალიზაციის, მრავალი ქუჩის მოასფალტებისა და კეთილმოწყობის სამუშაოები. შენდება ორი საშუალო სკოლა და რამდენიმე საბავშვო ბაღი. წარმატებით მიმდინარეობს თეატრის, ას საწოლიანი საავადმყოფოს, რუსული საშუალო სკოლის, სახანძრო დეპოს, წყალსადენის მთავარი მაგისტრალის მშენებლობანი, კულტურის სახლის საზამთრო დარბაზის რეკონსტრუქცია, მთავარ ქუჩებზე ლამპიონების დადგმა, ბარათაშვილის, ჭავჭავაძის, ჩელუსკინელების, მახარაძის, ცხაკაიას, თოფურიძისა და სხვა ქუჩების მოასფალტება, წყალსადენის ქსელისა და აბანოს გაფართოების სამუშაოები. მარტო მიმდინარე ველს ქალაქის კეთილმოწყობისათვის გათვალისწინებულია ერთ მილიონ მანეთზე მეტის დახარჯვა.

„გენერალურ გემამაში“ ნაშენებია, თუ როგორი იქნება რეკონსტრუქციის შემდეგ ქალაქის ცენტრალური მოედანი. ამ გემამის მიხედვით ამქამად არსებული მთავარი მოედანი გაფართოვდება და გამწვანდება. მოედნის ცენტრში, სწორედ იმ

ადგილას, სადა წინათ ქუჩიანი ყაფანი იდგა, აღმართება გლადიმერი ილიას-ძე ლენინის დიდი მონუმენტი.

სულ უფრო იზრდება რაიონში განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ქსელი. ამჟამად ქალაქის ახალგაზრდობის აღზრდას ემსახურება ექვსი საშუალო სკოლა, პედაგოგიური და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმები, მუსიკალური და საორტული სკოლები, რვა საბავშვო ბაღი და ბავა, სადაც ხუთასამდე პედაგოგი ასწავლის. ქალაქში


ცხაკაიას ხალიჩების ფაბრიკის ყოფილ ნაჭობარში მთელი კვარტალი უკავია.

აქ მოქსოვილი ლამაზი ხალიჩები და ფიანდავები ამშვენებენ ჩვენი რესპუბლიკის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს და მუშა-მოსამსახურეთა ოჯახებს.

ფაბრიკა წინათ მხოლოდ ფიანდავებს და მცირე ზომის ხალიჩებს უშვებდა. უკარდული დაზგების დადგმის შემდეგ დაიწყო სადარბაზო ხალიჩების სერიული გამოშვება.

ცხაკაიელ მეხალიჩეთა წინაშე დიდი პერსპექტივებია გადაშლილი. უახლოეს ხანებში ფაბრიკა კომბინატად გადაკეთდება. მას მიემატება ახალი საწარმო კორპუსები, ერთი ორად გადიდება ხალიჩების წარმოება.

ამ სურათზე თქვენ ხედავთ ქართული სტილის აუზრულ ხალიჩას, რომელიც აქ უკანასკნელ ხანებში შექმნეს. გაიცანით ეს უბრალო ქალები — ელენა ვოლოშინა და ალექსანდრა წულეისკირი — ხალიჩის მოწინავე ოსტატები.



ეს ლამაზი ქუჩა, რომელიც უკვდავი შოთა რუსთაველის სახელს ატარებს, ქალაქის ცენტრალურ მაგისტრალს წარმოადგენს და რამდენიმე კილომეტრზეა გაჭიმული.

შმორის სუნი და ციება ახრჩობდა მოსახლეობას.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩქარი ნაბიჯებით წავიდა ქალაქი ცხაკაია წინსვლისა და განახლების გზით. ამოუშავდა ხალიჩების ფაბრიკა, კირისა და აგურის ქარხნები, ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები. სულ უფრო იზრდება ქალაქის კომუნალური მეურნეობა, უმჯობესდება მოსახლეობის მატერიალური პირობები.

ამას წინათ მწყობრში ჩადგა სააგეგო ფაბრიკაც, რომელმაც უკვე გამოუშვა აგევის პირველი პარტია. მრავალი სახის ნაწარმს უშვებს ადგილობრივი მრეწველობა. გასულ წელს საუკეთესო მაჩვენებლებისათვის ცხაკაიას ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის

იონის ცენტრი. თვალს ახარებს ასფალტისანი ქუჩებითა და ყვავილნარებით დამშვენებული ლამაზი ცენტრალური. ცენტრალურ ქუჩებზე დადიან ავტობუსები და ტაქსები. რაიონის ცენტრს ამშვენებს პარკი, ადმინისტრაციული სახლის, ქალაქის საბჭოს, კულტურის სახლის, ხალიჩების ფაბრიკისა და სხვა საწარმოების მუშა-მოსამსახურეთა კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლები.

საქალაქო საბჭოს თვამჯდომარე ინჟინერი ნიკოლოზ ცანავა და კომუნალური განყოფილების გამგე შოთა ხუხუა დაწვრილებით გვაცნობენ ქალაქის შემდგომი ზრდისა და მშენებლობის პერსპექტიულ გეგმას.

უახლოეს ხანში დამთავრდება ცხაკა-





გაიხსნა რუსული საშუალო სკოლა, სადაც 600-დე მოწავთა და 40 პედაგოგი მუშაობს. მარტო ცხაკიას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმმა, რომელიც 1924 წლიდან არსებობს, ორი ათასამდე სოფლის მეურნეობის საშუალო სპეციალისტი მისცა ჩვენს რესპუბლიკას. რაიონის ცენტრში გაჩაღებულია ინ-

დივიდუალური საბინაო მშენებლობა, რომელიც ქალაქის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის მიხედვით ხორციელდება. ახალი საწარმოო საწყობებით გეგმებიან ცხაკაიელი მშრომელები სახელოვანი ოქტომბრის ორმოცი წლის დღესასწაულს.

ეს საბავშვო სანატორიუმი წელს ააშენეს, შალვა დადიანის საშობლო სოფელ ბეთლემში, ტეხურისა და გურჯემის შესართავთან — ნოქალაქევის უძველესი აბანოს ტერიტორიაზე. ეს პატარები კი რაიონის მუშა-მოსამსახურეთა და კლდეურნეთა შვილებია.

დასავლეთით ქალაქის გარკვეულ-ბას, მის გარეუბანს წარმოადგენს საკავშირო მნიშვნელობის ჯანმრთელობის კერის — კურორტ მენჯის მწვანე-ში ჩაფლული სამკურნალო და საცხოვრებელი კორპუსები, რამდენიმე კორპუსი ფილ ნაქაობარზე აღმართნი. მეგუმა დიდი ხანია ვაიკვეს სახელს თავისი იშვიათი სამკურნალო-ბალნეოლოგიური წყლებით. იგი საუკეთესო შედეგს იძლევა ძვალ-სახსრების, ნერვულ, შიპერტონულ, ქალურ და მრავალი სხვა დაავადებათა მკურნალობისათვის. ფერდობზე გადმომდგარი ლამაზი შენობა მენჯის ახალი სანატორიუმი „კოლხეთია“.



ყოველთვის ახლის ძიებაში
(დასასრული)

აღმოჩენას, გამოვლინებას, თვისებათა შესწავლას და მრეწველობაში დანერგვას მან თავისი შემდგომი სიცოცხლის ორმოცი წლის განმავლობაში ბევრი დრო, შრომა, ნიჭი და მონდომება შესწირა. ახლად არჩეული პროფესორის კათედრა მეტად ღარიბი იყო. მას არ გააჩნდა არც ხელსაწყოები, არც კოლექციები, არც სახელმძღვანელოები. პირველ ლექციებზე იგი ღია ცის ქვეშ — ვარაზის ხევის, ლედვთა ხევისა და სოღანლულის ნაწვავებზე კითხულობდა. აქ, უშუალოდ ბუნების წიაღში აცნობდა იგი ხტუნებებს მინერალთა წარმოშობის რთულ კანონებს. აცნობდა და თვითონაც სწავლობდა თბილისის მიდამოების მდიდარ მინერალურ სამყაროს. სტუდენტები ავროვებდნენ მინერალებს. ამ კოლექციით საფუძველი ჩაეყარა უნივერსიტეტის მინერალოგიურ მუზეუმს.

1919 წელს წაკითხული ლექციები მამინვე დამუშავებული იქნა და მომავალ დასწავლო წელს სტუდენტებს უკვე ხელთ ჰქონდათ „გეომეტრიული კრისტალოგრაფიის კურსი“ — ერთ-ერთი პირველი ქართული სახელმძღვანელო უმაღლესი სკოლისათვის. იმავე წელს ალ. თვალჭრელიძემ დაიწყო მინერალოგიის კურსის კითხვა. ასე დაედო საფუძველი უმაღლეს გეოლოგიურ განათლებას საქართველოში. ალ. თვალჭრელიძის მალე შემოუერთდნენ საფრანგეთიდან ჩამოსული ალ. ჯანელიძე, ბელგიიდან დაბრუნებული კონდრატე თათაროვილი (ლიტერატურაში უიარაღო ფსევდონიმით ცნობილი მწერალი), ილია ყოფშიძე და სხვები.

მაგრამ პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად საქირო იყო საკვლევო მუშაობის გაჩაღება. საქართველოს უმადირესი წილისხული შესწავლას მოითხოვდა. საქირო იყო ამ ფერად-ფერადი ბრწყინვალა წახნაგებიანი ლამაზი მინერალების არა მარტო აღწერა და კლასიფიცირება, არამედ მათი სასარგებლო თვისებების

ცხაკაიაში მრავალი ჩაის ფაბრიკაა. მათ რიგებს გასულ წელს კიდევ შეემატა ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილი ქალაქის ჩაის ფაბრიკა, რომელიც ყოველდღიურად ათობით ტონა ჩაის მწვანე ფოთოლს ამუშავებს. სურათზეა ჩაის მწანაწარმის სამქრო, სადაც მუდამ იფრქვევა არომატინი ქართული ჩაის სურნელება.

ტექსტი ა. ნინუასი
ფოტო ვ. ჩიჩქასოვისა



გამორკვევა და ხალხის საკეთილდღეოდ გამოყენება. 1915 წელს ალ. ფერსმანის წაქეზებით, ალ. თვალჭრელიძემ დაიწყო საქართველოს მათერთა თიხების შესწავლა. თავის მოწავთების — ნოვოჩერკასკის პოლიტექნიკუმის ქართველ სტუდენტთა დახმარებით — დააგროვა თავსაბანი მიწის კოლექცია და დაიწყო მისი ლაბორატორიული შესწავლა. 1916 წელს, საქართველოში მოგზაურობის დროს, აღმოაჩინა თავსაბანი მიწის გუმბრის საბადო, ხოლო ოციან წლებში, როდესაც დაიწყო საბჭოთა კავშირის მეურნეობის აღდგენა — ეს მათერთი თიხა ნავთის მრეწველობისათვის უბადლო გასაწმენდი ნივთიერება გახდა. ნავთის გასაწმენდი „ფულერის მიწა“ შეერთებული შტატებიდან შემოჰქონდათ. საქირო იყო დამტკიცება იმისა, რომ გუმბრის თიხა, — „გუმბრინი“, არა მარტო არ ჩამოუვარდება ჯორჯიის შტატიდან მოტანილ აკაპულგუსისა და ფლორიდადან მოტანილ კუინისის თიხებს, არამედ კიდევაც სჯობნის მათ. თავის კათედრასთან, უნივერსიტეტში, ალ. თვალჭრელიძემ შექმნა პატარა ლაბორატორია, რომელშიც მონალიხე სტუდენტი — ენთუზიასტები მუშაობდნენ. ამ ლაბორატორიის მუშაობამ მრეწველობის ხელმძღვანელთა ყურადღება მიიქცია და მის საფუძველზე შეიქმნა საკვლევო ინსტიტუტი, რომელიც „მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტის“ სახელწოდებას ატარებს („ინსტიტუტი, რომელიც თიხიდან შეიქმნა“ — ამბობდა ხოლმე ალ. თვალჭრელიძე). ბევრი შრომა და ბრძოლა დასჭირდა ალ. თვალჭრელიძეს და მის ინსტიტუტს სანამ მათ მიერ შესწავლილმა და მრეწველობისათვის გადაცემულმა გუმბრინმა საყოველთაო აღიარება მოიპოვა. ჩვენი ქვეყანა განთავისუფლდა ძვირადღირებული ფლორიდინის ექსპორტისაგან. გუმბრში გაშენდა მალარი, გაყვანილ იქნა რკინიგზა. ახლა ალ. თვალჭრელიძემ ძირითადი ყურადღება თიხების ასკანის საბადოს მიაქცია.

შესწავლამ დაამტკიცა, რომ სიმყავებით დამუშა-


ვებული, ანუ „აქტივირებული“ ასკანის თიხები შენანიშნავად სწმენდენ მცენარეულ ზეთებს და ცხიმებს. ასკანის თიხებს იმდენი შენანიშნავი თვისება აღმოაჩნდა, რომ მარტო მათი ჩამოთვლაც კი რამდენიმე გვერდს დაიჭერდა.

სასარგებლო ნამარხთა ათეულობით საბადო აღმოაჩინა და დანერგა მრეწველობაში ალ. თვალჭრელიძემ და მის მოწავთთა კოლექტივმა.

უნეთის ბარტები და თქმის ვულკანური ტუფები, მარმარილოს მრავალი საბადო და ზემო რაქის დარიშხანის ბუდობები, აჯამეთის ქალცილონები და ბოლნისის ტუფები... მის აღმოჩენათა საფუძველზე შეიქმნა მადაროები და კარიერები, სამრეწველო ტრესტები, გაშენდა რკინიგზები და დაბებები... ნაყოფიერ შრომაში და მუდამ ახლის ძიებაში გაიარეს წლებმა. ალ. თვალჭრელიძე უკვე დევეწმომილი და სახელოვანი მეცნიერი იყო, როდესაც 1940 წელს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაარსების დროს, იგი არჩეულ იქნა აკადემიის პირველი შემადგენლობის ნამდვილ წევრად.

პირველი დღიდანვე იგი სათავეში ჩაუდგა ქვეყნის საწარმოო ძალთა შემსწავლელ კომიტეტს. ალ. თვალჭრელიძე რამდენჯერმე არჩეულ იქნა საქართველოსა და ამიერკავკასიის უმაღლესი ორგანოების დეპუტატად, მრავალჯერ დაჯილდოებულ იქნა მთავრობის მაღალი ჯილდოებითა და საპატიო წოდებებით, მაგრამ ყოველთვის ისეთივე სადა და უბრალო, ყველას მიმართ თანაბარი და თავმდაბალი დარჩა. მას მრავალი მოწვევა ყავდა და ყველა მათთვის იგი ანლობდა მეგობარი იყო.

ალ. თვალჭრელიძის მოწვევები მუშაობენ საქართველოს, კავკასიისა და საბჭოთა კავშირის უსაზღვრო ტერიტორიაზე, ეძებენ და იკვლევენ ადამიანისათვის, სოციალისტური მრეწველობისათვის საქირო ნედლეულს და ამ ძნელ და საპატიო მუშაობაში მათ ყოველთვის წინ უდგათ სახე შენანიშნავი მასწავლებლისა, რომელმაც მთელი სიცოცხლე პირნათლად და უანგაროდ თავის ხალხს, თავის ქვეყანას შესწირა.



მესამე რედაქტორმა პიკანტური ამბავი მომთხვავა.
— მკითხველებს არ უყვართ პროვინციული, სიყვარული, თქვა მან... მკითხველს სტატუსი... დედა დახვეწილი, ამაღლებული მოთხრობები. დასწერეთ ნოველა, მაგალითად, რივიერის შესახებ. გააბით ხლართები დოლარების პრინციპსა, ექიმსა, მოხდენილ მდივან ქალსა და მილიონერის ვაჟს შორის. ჩაურთეთ რამდენიმე ქარაფ-შუტულად ჩაცმული ქალწული. აი, ეს სჭირდება მკითხველებს. ჩემთვის ნაცნობია მათი გემოვნება. შეგიძლიათ მენდოთ.
— შოფერი რაღა ვუყო? — მოვიხლომე ცნობის მიღება.
— შოფერი სადისტი — მკვლელი აღმოჩნდება. ო, რა ილუსტრაციების გაკეთება შეიძლება ამ ნოველისათვის, ემ-მაკმა დალაზვროს! აბა ერთი ეს სცენა წარმოიდგინეთ: შოფერი დანას უდერებს ქალიშვილს, რომელიც საბანაო კოსტუმში არის გამოწყობილი და მის გადასარჩენად მიისწრაფის მილიონერის ვაჟი, რომელიც ფრეკი აცვია!
— ეს ქალიშვილი ვინღა,

მოთხრობა ერთი ნოველის შესახებ

პეპე პეპერკი


— არა, არ გამოდგება, — თქვა რედაქტორმა. — მკითხველებს არ უყვართ ასეთი მოთხრობები. მათ მხიარული ამბავი უნდათ, რომ ჩვენი დროის ყველა პირ-ვარამი დაივიწყონ. დაწერეთ რამე სალალობო. თქვენს ნიჭში მე ეჭვი არ მეპარება. ვის რად უნდა ეს მუქი ფერები? ვერ გამოვია, რატომ არის ახლა მოლაში ეს კაეზანი. რამდენი რამ არის მშვენიერი, მოდიოთ და დაწერეთ. თუ გნებავთ, მე მოგცემთ ბრწყინვალე იდეას. თითქმის მზადა მაქვს ჩანაფიქრი, მხოლოდ დრო ვერ მიპოვნია, რომ სერას შევუდგე. გსურთ მომიხმონოდ?
— ძალიან დამაველებთ, — მიუგე მე.
— მოქმედება რივიერაზე ხდება. არქიმედიონერს, თვალტანადსა და მოხდენილ ქაბუხს, დამლაგებელი ქალი შეჰყვარება. თქვენ შეგიძლიათ ბრწყინვალედ გაათამაშოთ ეს სიტუაცია. მაგალითისთვის, თუნდაც ობროლი მამა გაუჩინე მილიონერს. ობროლი მამები — კარგი მასალაა მოთხრობისათვის. მხოლოდ იცოდეთ, იგი ცუდი კაცი არ უნდა იყოს.
— რასაკვირველია, — იყო ჩემი პასუხი.
— შემიდეგ აღმოჩნდება მესამე პირი — ქალიშვილი ბალტიდან. იგი ცდილობს მოხიბლოს მილიონერი.
— მამა თუ ვაჟი? — ვეკითხები მე.
— ვაჟი. ქალიშვილი სერიოზობას შესთავაზებს მას მთვარიან დამეში. იგი თანხმდება, რადგან დარწმუნებულია, რომ დამლაგებელ ქალს შოფერი უყვარს. ამ ნიადაგზე უამრავი მძაფრი კონფლიქტი შეგექმნებათ. არ დაივიწყოთ, რომ მოთხრობა კონფლიქტის გარეშე შეუძლებელია მიმართა.
— მაინც, როგორ მთავრდება ეს მოთხრობა? — ვეკითხე მე.
— ოჰო, ასეც ვიცოდით, რომ დაგანტერესებდათ! მისმინეთ: მილიონერი ცოლად ირთავს დამლაგებელ ქალს.
— კი მაგრამ... ბალტინა?
— ძაღლის თავი აქ მარხია. დასასრული ეფექტური უნდა იყოს. ბალტინა შოფერს მისთხოვდება. კეთილი ბოლო საჭიროა. მკითხველებს ეს უყვართ.

საბანაოდ რომ გამოწყობილა? — ვკითხე მე.
— ზოო, ის მეორეხარისხოვანი პერსონაჟია.
მე შევბირდი, რომ ყველაფერს გავაკეთებდი, რასაც კი შეძლებდი.
მეოთხე რედაქტორს მოეჩვენა, რომ ნოველას აკლდა უმანკობა.
— იქნებ, რივიერის ცხოვრებიდან დაწეროთ ნოველა? — ვკითხე მე მას.
— დიახ, დიახ, ჩინებული აზრია!
— ფოლადის მაგნატის ქალიშვილს ლოთის ვაჟი უყვარს, — განვგარმე მე. — ქალიშვილი სიკვდილისაგან იხსნის ლოთს. გულაჩუყებული გადასწყვეტს, რომ ახლოვდეს ადრე გაეკაროს მაგარ სასმელებს. ამავე დროს ხორბლის მეფის ვაჟსაც შეუყვარდება ფოლადის მაგნატის ქალიშვილი.
— საოცრად მძაფრი კონფლიქტია, — თქვა რედაქტორმა. — როგორ ფიქრობთ მის გადაწყვეტას?
— მე აქ მოქმედებაში ჩავაბამ დამლაგებელ ქალს. მას შეუყვარდება ხორბლის მეფის ვაჟი, რომელიც ბოლოს და ბოლოს მიხვდება, რომ მასაც დამლაგებელი ქალი ჰყვარებია.
— აი ეს მესმის! — შესძახა აღფრთოვანებულმა რედაქტორმა. — ასე უნდა ეუფლებოდეს მასალას მწერალი! ახლავე სახლისაკენ გაქანდით და ნოველის წერას შეუდგეთ, სანამ შემოქმედებით აღტყინებას არ გაუვლია.

ჩემი ნოველა მეორე რედაქტორს წარვუდგინე.
— მომიტყევეთ, მაგრამ ეს მეტისმეტად მხიარული რამ არის, — განმიცხადა მან. — შეიგნეთ, რომ მკითხველებს არ უყვართ ქარაფშუტული ამბები. ჩვენ სერიოზულ დროში გვიხდება ცხოვრება და ადამიანებს სასუშაროდ არა სცალობათ. ისინი ღრმა აზრის მქონე ნაწარმოებებს მოითხოვენ. დასწერეთ ისეთი მოთხრობა, რომელიც კვალს დასტოვებს ჩვენს მეხსიერებაში. რატომ არ ჰქიედებთ ხელს სოციალურ თემას? დასწერეთ, მაგალითად... დიახ... დასწერეთ... აი, თუნდაც რივიერაზე მომხდარი რომელიმე ამბის შესახებ. მილიონერის ვაჟიშვილს შეუყვარდა მზარეული გოგონა. ვაჟის მშობლები სასტიკ უარს აცხადებენ. მათ სურთ თავის ვაჟს ცოლად შერთონ ნავთობის სარეწაოთა მეფის — სნიდერის ქალიშვილი. ეს ხელს შეუწყობდა ფირმის აყვავებას. აი სიუჟეტიც მზად არის, არცთუ ცუდი სიუჟეტი. მკითხველის გემოვნებას აკმაყოფილებს. გაათამაშეთ შესაფერისად ეს სასიყვარულო სიტუაცია. სიყვარული, რომელიც ყოველგვარ დაბრკოლებას სძლევეს თავის გზაზე. უნდა გითხროთ, რომ მკითხველები საკუთარი განცდების გამოძახილს ეძებენ წიგნებში.
— სნიდერის ქალიშვილს რაღა ვუყო? სიმკაცრეს ხომ არ გამოვიჩინეთ მის მიმართ? — ვკითხე მე.
— სნიდერის ქალიშვილს არ უყვარს მილიონერის ვაჟი, — მომიგო რედაქტორმა. — მას უყვარს... მას უყვარს...
— შოფერი? — შევაშველე მე სიტყვა.
— უსანაშნავია! სწორედ შოფერი და სხვა არავინ! დიდებული იდეა! მე ვგრძნობდი, რომ თქვენ დიდი ნიჭის პატრონი იყავით!
— იქნებ მოთხრობის ბოლოც მიბოძოთ? — ვკითხე გაუბედავად.
— რა გაეწყობა... გააკეთეთ მხარეთა შერიგების გულისმარჩულებელი სცენა. დე, სნიდერი — მამა გადაეხვიოს შოფერის დედას, ხოლო მილიონერის დედა, ვთქვათ, თუნდაც მზარეული ქალის მამას. აი რა მოსწონს ხალხს. ამასთანავე უნდა აიძულოთ მდიდრები, რომ ფული დაურიგონ ღარიბებს. ეს ხაზს გაუსვამს ნოველის სოციალურ მოტივს.

მე სახლში წავედი და ნოველა დაწერე. მოქმედების ადგილი რივიერა იყო. ჩემი ნოველის მოქმედ პირებად ყველა შევიყვანე: მილიონერის პარიზიანი იოანე ვაჟი, მისი ობროლი მამა, რომელიც ფაქტიურად ცუდი ადამიანი არ გახლდათ. სანდომიანი დამლაგებელი ქალი, გრუსათმიანი შოფერი, ოღნავ თავკარიანი ქალიშვილი ბალტიდან, რომელსაც არსებითად კეთილი გული ჰქონდა, ლოთი მამაკაცი ვაჟიშვილი და ნავთობის მეფე ქალიშვილი. ყველა ამათავან მე ნამდვილი აჯაფხანადლი გავაკეთე და თვითული კონფლიქტის დასაგვირგვინებლად დიდად ეფექტური საშუალება გამოვიყენე. ყველა ახალგაზრდა წყვილი შეუღლდა. ლოთი ჩაეწერა ფხიზელთა საზოგადოებაში და მხოლოდ წყლის სმავე გადავიდა. ყოველ ნაბიჯზე გავმართე ხევენა-კონცა ანა მარტო ახალგაზრდების დედებსა და მამებს შორის, არამედ, აგრეთვე, სასტუმროს პატრონებსა და მის ბიცოლას შორის, მოვიგორე პიკანტური სცენები. მაგრამ თვლი სულ იმაზე მეჭირა, რომ ისინი ზომიერად პიკანტური ყოფილიყვნენ; ჩავრთე მკვლევობა, რაშიც შოფერს ედებოდა ბრალი (საბედნიეროდ — მეორეხარისხოვანი პერსონაჟები იყვნენ). გმორებს შევუქმენი დიდი ეკონომიური სიძნელენი და გულქვა მშობლების გამო კინაღამ არ დავაშხვარიე ახალგაზრდების ბედნიერება. მაგრამ ყველაფერი კეთილად დამთავრდა და დიდძალი თანხა დაურიგდა ღატაკთა ბავშვებს. მე ყველაფერი ისე მხიარულად აწერე, რომ კაცს ცრემლები მოერეოდა და თან ისე სერიოზულად, რომ სცილს ვერავინ გაუძლებდა.
დასრულებული მოთხრობა ოთხ ცალად დავებუდე და ოთხივე რედაქტორს დაღუჭვანე. პირველს მიაჩნდა, რომ მე ფრიად სერიოზული მოთხრობა დავწერე — ის, რაც მკითხველს ესაჭიროება. მისი აზრით, მე განსაკუთრებით კარგი გამომიგნია მილიონერი ვაჟის ობროლი მამა. მეორე მაქებდა იმის გამო, რომ ნოველა მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა, რომ ის პირდაპირ ერთი მონაკვეთია ნამდვილი ისტორიისა. ყველაფერი აღწერილი იყო სერიოზულად და საგულდაგულოდ. ამგვარ ნოველებს დიდხანს არ იფიქრებენ! მესამე რედაქტორი იმით გახლდათ აღტაცებული, რომ ნოველა ამდენად პიკანტური გამოვიდა. მაინც რა ქალბია! მშვენიერი ქალბია! მან მკვლევლობის სცენაც მომიწონა. აი, სწორედ ეს არის მკითხველს რომ უყვარს. ყველაფერი უკანასკნელ წერილში მამდია აღწერილი. კვანძიც რა ორიგინალურად იხსნება! აბა ვინ მიხვდება, რომ მკვლელი — მეორეხარისხოვანი პერსონაჟია. მეოთხე რედაქტორი ცრემლმორეული მიხდიდა მადლობას იმისათვის, რომ ეგზომ ღირსეული ოთხივეს სურდა ნოველის გამოქვეყნება.

მიღებული ჰონორარიტ ხვალ რეკლავერს ვიყიდი და ჩემს რედაქტორებს დავბოცავ. აი რა არის საჭირო! მათ ამგვარი დასასრული მოუხდებათ.
თარგმნა მამუკალა ახალაძემ



გასული წლის სეზონი იყო პირველი, რომელიც ჩვენმა თეატრებმა ახალ პირობებში ჩაატარეს. პირველად ამ სეზონში თეატრებმა განახორციელეს უფლებები: თვითონვე შეადგინონ და დაიმტკიცონ რეპერტუარი, თვითონვე მიიღონ და უჩვენონ მსურველებს ახალი საექსპლუატაციო.

მეორე მხრივ ეს იყო სეზონი, როცა თეატრებს ფართო შესაძლებლობა მიეცათ ეჩვენებინათ არა მარტო ქართული, რუსული და მოძვე ხალხთა დრამატურების, არამედ უცხოური პროგრესული დრამატურების საუკეთესო ნაწარმოებები.

საინტერესო საექსპლუატაციო გვიჩვენეს თეატრებმა ამ სეზონში.

ყველაზე მეტი წარმატება მარჯანიშვილის თეატრის ერთ დადგამს ხვდა. ეს იყო ა. კასონას „ხეები ზეზუულად კვდებიან“. ეს ბიესა სეზონის პირველ ნახევარში გრძობოდღის თეატრმაც დადგა. ა. კასონას ბიესას ახასიათებს კეთილშობილება, მაღალი ადამიანური გრძობა. ეს თვისებები უთუოდ გამოვლინდა გ. ანჯაფარიძისა და კანდინაშვილის დადგამაში. უპირველეს ყოვლისა, მსურველებს ხიბლავს თვითვერიკო ანჯაფარიძე. პირველ გამოჩენისთანავე თქვენ ვინადავთ ეს საუცხოო მოხუცი, გ. ანჯაფარიძის ვუხენა ისეთ უბრალო, მაგრამ შთამბეჭდავი ფერებითაა მოცემული, ყოველი დეტალი ისეა მოჩუქურთმებული, რომ ჩვენს წინაშე ერთის მხრით ხორცშესხმული, ცოცხალი ადამიანი და მეორე მხრივ პოეტის ოცნებით შექმნილი თითქოს არა ამქვეყნიური პატიოვანი არსება. და როცა მართა-იზაბელას, ამ მოჩვენებითს რაღას მართლა შეუყვარდა მოჩვენებითი ბეზია, თქვენ გავკრათ ეს.

მთელი საექსპლუატაციო გ. ანჯაფარიძეზეა აყვობილი. მიუხედავად ამისა, არც ერთი მხახიობი არ იჩრდილება მის გვერდით. გ. ანჯაფარიძე, როგორც რეჟისორი, საშუალებას აძლევს ყოველ მხახიობს გამოავლინოს მთელი თავისი შესაძლებლობანი, სწორად და ღრმად გახსნას როლი. მთელი ანსამბლი მშვენიერად არის შეწყობილი.

ყურადღება მიიბყრო რუსთაველის თეატრის დადგამ „ფილოსოფიის დოქტორმა“. იუგოსლაველი

კლასიკოსის ბ. ნუშიჩის მრავალ ვოდველითა შორის „ფილოსოფიის დოქტორი“ იმითაც გამოირჩევა, რომ მასში ასახულია საზოგადოების ისეთი უარყოფითი მხარეები, რაც დღესაც საკმაო რაოდენობით გვხვდება და რის აღმოფხვრა ჩვენი თეატრის საბრძოლო ამოცანაა.

ეს ბიესა რეჟ. მ. თუმანიშვილმა დადგა. გროტესკი, რომელიც რეჟისორმა აირჩია ამ ბიესისათვის, ისე კარგად მიუღდა მას, რომ თეატრმა შესანიშნავი სანახაობა შექმნა. რეჟისორმა იპოვა ბევრი საინტერესო დეტალი, შტრიხი, ნაირ-ნაირი საღებავი მოქმედ პირთა ხასიათების გასახსნელად. ერთ საექსპლუატაციო მარტო ე. მანჯგალაძის და გ. გეგუქორის თამაში ღირს.

სხვაეც ბევრი საინტერესო საექსპლუატაციო გვიჩვენეს თბილისის თეატრებმა. „ბორის გოდუნოვი“ რუსთაველის თეატრმა, „რიჩარდი“ და „მოკვეთილი“ მარჯანიშვილის თეატრმა, „ფილუმენა მარტურანო“ გრიბოედოვის თეატრმა. მართალია ამ საექსპლუატაციო შესახებ ერთმანეთის საწინააღმდეგე აზრებია ჩვენს საზოგადოებრივობაში, ზოგი დიდად იწონებს და ზოგიც დიდად იწონებს, მაგრამ თვით ეს აზრთა სხვადასხვაობა, რასაც აღნიშნული საექსპლუატაციო იწვევს, უკვე იმის მაჩვენებელია, რომ თეატრებმა საინტერესო ცდები მოახდინეს.

ჩვენი რესპუბლიკის თეატრალური ცხოვრება თბილისის თეატრები არ ამოიწურება, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ ფაქტს, რომ ღ. გოთუას საინტერესო ბიესა „თუთის პატარძალი“ და განახლებული „არსენა მარაბდელი“ პირველად გორის თეატრში დაიდგა, რომ რ. თაგრაღის „კამოლა“ პირველად ფოთის თეატრში დაიდგა. ამავე დროს რაიონის თეატრების საექსპლუატაციო (ქუთაისი, გორი, ქიათურა, ფოთი, თელავი, ზუგდიდი) გამოირჩევა შესრულების კარგი ხარისხით. მათ ახასიათებს უშუალოდ, გულწრფელობა, ოსტატობა.

სეზონს ნაკლიც ქონდა. უპირველეს ყოვლისა, ეს ნაკლი ქართულ ორიგინალურ დრამატურების სისუბტის შეეხება. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორიოდ ბიესას თანამედროვე თემაზე, ქართულ დრამა-

ტურგას ამ სეზონში არსებითად არაფერი მოუტია თეატრებისათვის. ეს ნაკლი კვლავაც გრძელდება.

მეორე დიდი ნაკლია თეატრების მიერ რეპერტუარის ხარისხობრივი დონის დაბლაღობა. ზოგიერთმა თეატრმა, მიიღო რა უფლება თვითონვე დაიმტკიცოს რეპერტუარი, ძალზე სუსტი და სწორად მიუღებელი ბიესები დადგა. ასე მოიტყა ბათუმისა და ზუგდიდის თეატრები, რომლებმაც პუმბრევის ქუჩური მელოდრამა „სამი უბედური“ დადგეს, თელავის თეატრი, რომელმაც ბ. ჩიქოვანის ერთობ სუსტი ბიესა დადგა და ა. შ. ასეთი ბიესების რეპერტუარში შეტანა, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა თეატრის ხელმძღვანელობის დაბალი მხატვრული გემოვნების მაჩვენებელია.

დღეისათვის ჩვენმა თეატრებმა მხოლოდ ოთხი ბიესა მიიღეს ქართული დრამატურებისაგან: მ. მრეველიშვილის „გრიბოედოვი“ (გრიბოედოვის თეატრი), ვ. გაბესკირიას „გურიის მთები დაუთოვია“ (რუსთაველის თეატრი), გ. ბერძენიშვილის „დაჭრილი არწივი“ (მარჯანიშვილის თეატრი) და გ. ქეღბაქიანის „ხმა გულისა“ (გრიბოედოვის თეატრი). ეს, რა თქმა უნდა, ერთობ მცირეა. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი დრამატურები, რომლებიც ახლა მუშაობენ ბიესებზე, სეზონის განმავლობაში მისცემენ თეატრებს საინტერესო ბიესებს.

თეატრების პორტფელში საზღვარგარეთული პროგრესული დრამატურების საინტერესო ნაწარმოებები: გ. ფიგერედოს „მელა და ყურბანი“ (ეზოპე) (რუსთაველის თეატრი), ა. მილერის „კაცი, რომელიც ბედი ასე წყალობდა“ (გორის თეატრი), ბ. შოუს „ემ-მაკის მოწაფე“ (მოზარდ მსურველთა ქართული თეატრი), შუდრაკას „თეთრი ლოტოსი“ (მარჯანიშვილის და ზუგდიდის თეატრები) და ა. შ.

ახლა, როცა ჩვენი თეატრები გულმოდგინედ ემზადებიან ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადისათვის მსურველი მათგან უახლოეს ხანში მოელის ახალ მაღალიდურ საექსპლუატაციოს, რომლებშიც სრულყოფილად გამოვლინდება ჩვენი ნიჭიერი სათეატრო კოლექტივების შემოქმედებითი შესაძლებლობანი.

ბრ. ნუსუბიძე

ხუთი მილიარდი წიგნი წელიწადში

ყოველწლიურად მსოფლიოში ხუთ მილიარდზე მეტი წიგნი გამოდის. მათი აღრიცხვა თითქმის შეუძლებელია, რადგან წიგნები 60-ზე მეტ ქვეყანაში იბეჭდება და ამ ქვეყნებში გამოცემული წიგნების აღრიცხვა სულ სხვადასხვანაირად წარმოებს.

ინგლისში, მაგალითად, ყოველგვარი გამოცემა, რომელიც 6 პენსზე მეტი ღირს, წიგნი ეწოდება. ირლანდაში და იტალიაში წიგნად სთვლიან გამოცემას, რომელიც 100-ზე მეტ გვერდს შეიცავს, ისლანდიაში კი უკვე 17 გვერდიანი ბროშურა წიგნად ჩაითვლება, უნგრეთში — 60 გვერდიანი. საბჭოთა კავშირში წიგნებიცა და ბროშურებიც ერთნაირად აღრიცხვება, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში უფასო გამოცემებს და სახელმწიფო გამოცემებს, საერთოდ, ანგარიშში არ ავალბენ.

მწილია, აგრეთვე, იმის განსაზღვრა, თუ რა ტირაჟით გამოვიდა ესა თუ ის წიგნი, რადგან მრავალ ქვეყანაში გამოცემული წიგნების რაოდენობას არ აღნიშნავენ.

დიდი ინტერესს იწვევს სახელმწიფოთა შორის წიგნების გაცვლის სტატისტიკა, მაგრამ ქვეყნებს შორის ისეთი რთული სავაჭრო ბარიერები არსებობს, რომ ხშირად ამ დარგში რაიმე გამორკვევა შეუძლებელი ხდება. გავერთიანებული ერების ორგანიზაციამ განათლების, მეცნიერების და კულტურის დარგში („იუნესკომ“) ამას წინაშე გამოაქვეყნა მიმოხილვა — „წიგნები უფულისთვის“, რომელშიც მეტად საყურადღებო ცნობებია მოყვანილი.

ირაკვია, რომ: მსოფლიოში გამოქვეყნებული წიგნების სამ მეოთხედს მხოლოდ ათი ქვეყანა ბეჭდავს; ცხრა მეათედი წიგნებისა მხოლოდ რვა ენაზე იბეჭდება; ყველა თარგმანების სამოცდაათი პრო-

ცენტი ოთხ ენაზეა შესრულებული. მსოფლიოში გამოცემული წიგნების 50 პროცენტი გამოიყენება სასწავლებლებში, ხოლო დანარჩენების უმეტესი ნაწილი საჯარო და საუწყებო ბიბლიოთეკებში მიდის.

1955 წელს მსოფლიოს უდიდესი ქვეყნებიდან 17 ქვეყანამ 175.930 სახელწოდების წიგნი გამოიცა, ხოლო დანარჩენმა 53 სახელმწიფომ — 214.360 (სულ აღრიცხვულია მხოლოდ 70 ქვეყანაში წიგნის პროდუქცია. ინდოეთი და ჩინეთი არ არის მიღებული მხედველობაში, ცნობების უქონლობის გამო).

პატარა ქვეყნებში გაცილებით მეტი წიგნი გამოდის მოსახლეობის ერთეულზე, ვიდრე დიდებში. თითო მცხოვრებზე ყველაზე მეტ წიგნს უშვებს პოლანდია; მას ოდნავ უმორჩება შვეიცარია.

მსოფლიოს წიგნის პროდუქციის 22 პროცენტი იბეჭდება ინგლისურ ენაზე, 17 რუსულად გამოდის, 15 გერმანულად, 12 იაპონურად, 10 ფრანგულად, 7,5 ესპანურად, 6,7 იტალიურად, 5,4 პორტუგალიურად, 4,5 ჩინურად.

თარგმნილ ლიტერატურას ერთ-ერთი პირველადილითაგანი უჭირავს ყველა ქვეყნების გამოცემილობაში.

1955 წელს საბჭოთა კავშირმა ყველაზე მეტი თარგმანი გამოაქვეყნა (4282 სახელწოდების წიგნი), მეორე ადგილზეა — გერმანია (2056), მერე მოჰყვებიან — ჩეხოსლოვაკია (1478), საფრანგეთი (1424), იაპონია (1208), იტალია (1118), პოლანდია (1104), პოლონეთი (1071), შვეიცარია (949), ესპანეთი (894), ამერიკის შეერთებული შტატები მხოლოდ მეორეხარისხი ადგილზეა (აქ 818 თარგმანი გამოუშვეს), ინგლისი — მეცამეტეზე (659). საინტერესოა, რომ რუმინეთშიაც თითქმის აღნივთებ თარგმანი გამოუშვეს (658). ეს ცნობები თითქმის უნდა გა-

მომდინარეობდეს, რომ ყველა ეს ქვეყნები კარგად იცნობენ ერთმანეთის ლიტერატურას. სინამდვილეში ასე არ არის. ერთი ენიდან მეორეზე თარგმანი არა თანაბრად და არარეგულარულად წარმოებს. შეიძლება ერთი ქვეყანა თარგმნიდეს სხვა ქვეყნების ლიტერატურას, მაგრამ მისი საკუთარი ლიტერატურა სხვა ქვეყნებში პოპულარული არ იყოს.

იაპონიაში ბევრს კითხულობენ. იაპონურ ენაზე 1954-54 წლებში გამოვიდა სხვა ენიდან გადმოთარგმნილი 2360 წიგნი, ხოლო 1955-ში — 1208. მსოფლიოს არც ერთი ქვეყნის არც ერთი გამოჩენილი მწერალი არ დაარჩინდა რომ იაპონიაში არ ეთარგმნათ. თარგმნიან ყველაფერს — რომანებს, მოთხრობებს, ლექსებს; თარგმნიან ნაკლებად გავრცელებულ ენებზე დაწერილ თხზულებებს და ამიანის ცოდნის ყველა დარგადან. მაგრამ იაპონურიდან ძალიან ცოტა რამ ითარგმნება. ევროპულ ენებზე სულ რამდენიმე წიგნია გამოსული.

მიუხედავად მცირერიცხოვანი მოსახლეობისა, მეორე ადგილი, იაპონიის შემდეგ, ისრაელს უკავია. აქ თარგმნიან არა მარტო ისეთ ფართოდ გავრცელებულ ენებიდან, როგორცაა რუსული, ესპანური, ფრანგული, გერმანული, ინგლისური და ჩინური, არამედ ისეთ მცირედ გავრცელებული ენებიდანაც, როგორცაა ნორვეგიული, ხორვატული, უნგრული, ჩეხური, ახალბერძნული, დანიური, პოლანდიური და სხვ. ზოგ ქვეყნებში მხოლოდ ფართოდ გავრცელებული ენებიდან თარგმნიან. მაგალითად, საფრანგეთში, უმთავრესად — ინგლისურიდან.

მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნებში ითარგმნა და გამოვიდა საქვეყნოდ ცნობილი სახავყო თხზულებები — „ალისა საკვირველებათა ქვეყანაში“, ანდერსენის „ზღაპრები“, „პინოკო“.

უფრანდმა „იუნესკოს კურიერმა“ გამოაქვეყნა მწერლების სია, რომელთა ნაწარმოებები ყველაზე მეტად ითარგმნებოდა 1948-1955 წლებში. ამ სიაში შეტანილია მხოლოდ ავტორები, რომელთა წიგნი 100 ჯერ მაინც ითარგმნა.

თარგმნათა რაოდენობის მხრივ პირველ ადგილზე ლენინის თხზულებებია, მეორე ადგილზე — ბიბლია, მესამეზე — სტალინისა, ამათ მოჰყვება ტოლსტოი, გორკი, დიკენსი, ყოფივერი, ბალზაკი, მარქსი, ენგელსი, დოსტოევი, ჯეკ ლონდონი, სტეფანსონი, ჩეხოვი, პერლ ბაკი, სტეფან ცვეიგი, პუშკინი. ოცდამეერთე ადგილას ალ. დიუმას (მამა) თხზულებებია.

აღსანიშნავია, რომ ყველაზე მეტად კლასიკოსები ითარგმნებოდა. თანამედროვე მწერლებიდან (ლენინისა და სტალინის თხზულებების გარდა) — ყველაზე მეტად ითარგმნებოდა ამერიკელი მწერალი ქალის პერლ ბაკის თხზულებები (304 თარგმანი), მეორე ადგილზეა დეტექტიური რომანების ავტორი, ბელგიელი ყოფი სიმენონი (273 თარგმანი), მესამეზე — ირლანდიელი მწერალი ა. კრონინი (272 თარგმანი), მეოთხეზე — ინგლისელი მწერალი ავსტრიელი (264 თარგმანი), მეხუთეზე — ამერიკელი ე. გარდნერი (261), მეექვსეზე — ინგლისელი სომერსეტ მოემი (258), მეშვიდეზე — ფრანგი ანდრე ჟიდ (222) და ა. შ.

საბჭოთა მწერლებიდან ყველაზე მეტად ითარგმნებოდა ილია ერენბურგი (128 გამოცემა), ალექსი ტოლსტოი (126 თარგმანი), მაკარენკო (121) და მ. ილინი (120). რუსი მწერლებიდან ყველაზე მეტად ითარგმნიდნენ ლ. ტოლსტოის, მ. გორკის, თ. დოსტოევის, ა. ჩეხოვის და ა. პუშკინის. ფრანგებიდან — ყოფი ვერსი, ბალზაკი, დიუმას (მამა), გი დე მოპასანს და ანდრე ჟიდს.

ინგლისელებიდან — დიკენსი, შექსპირი, სტივენსონი, კრონინა და კრისტისი.

ამერიკელებიდან — ჯ. ლონდონი, პ. ბაქსი, მ. ტვენსი, ე. გარდნერსა და ფ. კუპერსი.

გერმანელებიდან — გოეთესი, ვილჰელმ და იაკობ გრიმსი, ტომას მანსა და რილკესი.

ამას წინათ „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ გამოაქვეყნა შეერთებულ შტატებში ყველაზე პოპულარული მწერლების სია. ამ სიაში მოხვდნენ სინკლერი ლიუისი და ჯონ სტიინბეკი, ჰემინგუეი და ფოლკნერი ვერ მოხვდნენ.

ეს სიები ყოველწლიურად ქვეყნდება. ორი წლის განმავლობაში მხოლოდ ორი მწერალი მოხვდა ამ სიაში — (ორივენი ქალები არიან — პერლ ბაკი და მარგარეტ მიტჩელი). სამი წლის განმავლობაში ამ სიაში მხოლოდ ბიბლიის ახალი თარგმანი იყო მოთავსებული.

თარგმანთა გამოცემის მხრივ საბჭოთა კავშირი პირველ ადგილზეა მსოფლიოში. აქ უკანასკნელი 38 წლის განმავლობაში წიგნები 122 ენაზე გამოდიოდა. ყველაზე მეტი წიგნი ითარგმნა რუსულ, უკრაინულ, ქართულ, ლიტვურ, ლატვიურ და სომხურ ენებზე.

უცხოური მწერლებიდან საბჭოთა ხალხების ენებზე ყველაზე მეტად ფრანგ მწერლებს თარგმნიდნენ, მერე ამერიკელებს, ინგლისელებს და ბოლოს გერმანელებს.

1918-1954 წლებში ითარგმნა და გამოიცა ფრანგი მწერლების წიგნების 77 მილიონი ეგზემპლარი, ამერიკელებისა — 50 მილიონზე მეტი, ინგლისელებისა — 38 მილიონი, გერმანელებისა — 36 მილიონი.


ყველაზე პოპულარული ფრანგი მწერალი საბჭოთა კავშირში ვიქტორ ჰიუგოა, რომლის თხზულებები მხოლოდ რუსულად ათ მილიონზე მეტი როდენობით გამოიცა. შარლ პეროს ზღაპრები — 9 მილიონი, ბალზაკის, ჟიულ ვერნისა და მოპასანის წიგნები — დაახლოებით რვა-რვა მილიონი.

ინგლისელი მწერლებიდან ყველაზე პოპულარულია დიკენსი; ამერიკელებიდან — ჯექ ლონდონი, მარკ ტვენი და ოქნერი.



დასავლეთის თანამედროვე მწერლებიდან საბჭოთა კავშირში ყველაზე მეტი პოპულარობით თეოდორ დრაიზერი სარგებლობს.

საინტერესოა ცნობები წიგნების გავრცელების შესახებ. წიგნის მაღაზიების ყველაზე ფართო ქსელი ავსტრიაშია. აქ ერთი წიგნის მაღაზია 2745 კაცზე მოდის. შემდეგ მოჰყვებიან — დანია (4000 კაცზე ერთი მაღაზია), ავსტრალია (4.315), იტალია (4.896), ინგლისი (6000), პოლანდია (7.281), ბელგია (7.609), საბჭოთა კავშირი (8.708), ფედერალური გერმანია (11.970), საფრანგეთი (12.028), შვეიცარია (12.375), შვეცია (13.195), ნორვეგია (14.986), კანადა (18.125) და ამერიკის შეერთებული შტატები (18.616).

კ რ მ ს ვ ო რ დ ი



უხსოვთი სუპორი



უხსოვთიდან „ნოი ბერლინერ ილუსტრირტ“.

პორიფონტალურად:

- 4. სერვანტესის რომანი. 6. ქიმიური ელემენტი. 7. ბანი. 10. ქიმიური ელემენტი. 11. დაბა ქართლში. 12. საელჩოს წევრი. 16. საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე. 17. უკულო მიმხუნების ერთი ჯიშის. 18. ავი სული. 19. ნაცვალსახელი. 20. მანძილის საზომი კაპიტალისტურ ქვეყნებში. 21. იღვების ან ცნებების გამოხატვა. 22. მცენარე. 24. რადიოაქტიური ელემენტი. 27. ქალაქი გერმანიაში. 28. დანოტიოებული ფევილი. 29. მდინარე სსრ კავშირში. 30. თანამეწე.

ვერტიკალურად:

- 1. ქალაქი თურქეთში. 2. ლიტერატურული ჟანრი. 3. უთავბოლო ცხოვრების მატარებელი. 4. მატერია. 5. ღვთაება ინდოელთა მითოლოგიაში. 8. ქიშკობა. 9. გამოჩენილი ქართველი მომღერალი. 10. ხელოვნი, რომელიც დროისა და ადგილის შესაბამისად ფერს იცვლის. 13. მწვანეებელი. 14. ტექნიკის დარგი. 15. ქალაქი ლატვიაში. 23. ქალაქი ყირიშში. 24. ფუჭი ოცნება. 25. დოკუმენტი. 26. ფრინველი. 27. გერმანელი ფილოსოფოსი.

უხრნალ „დროშის“ № 8-ში მოთავსებული კროსვორდის პასუხი.

ვერტიკალურად:

- 1. ერეკლე. 3. ივერია. 4. აბი. 5. ლიე. 8. ამერი. 9. პიპეტი. 10. კაკაბი. 14. ილეულიზში. 15. ტრუბადური. 16. დაწვინება. 17. დიათურმა. 19. ფრაქცია. 20. ბრიგადა. 25. ორიოლი. 26. რობ როი. 27. იტალია. 31. უსტარი. 32. აკვანი. 36. უზო. 37. ობი.

პორიფონტალურად:

- 1. გეომეტრია. 6. იბსენი. 7. შვეცია. 11. ეშუ. 12. ლიქიორი. 13. ბაი. 18. დნებრი. 21. ბანანი. 22. ორატორი. 23. კარაქი. 24. აგონია. 28. ჟირონდა. 29. მაიორი. 30. აბჯარი. 33. ალი. 34. ოსტროვსკი. 35. სია. 38. უხნაძე. 39. ზღარბი. 40. ფილოსოფია.

გარეკანის პირველ გვერდზე: საგურამო. ილია ქაჭავაძის სახლი.
 ფერადი ფოტო გ. რაჭმაძისა
 მეოთხე გვერდზე: ბროწეული.
 ფერადი ფოტო სმირნოვისა
 ჩანართ გვერდებზე: მხატვარ გიგო გაბაშვილის ნაწარმოებთა რეპროდუქციები.

რედაქტორი გრ. აბაშიძე | სარედაქციო კოლეგია: შ. გვინჩიძე (პ/მგ. მდივანი), ი. გვიგინიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. სააკაშვილი, ი. ტაბაღაძე, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

სამ. კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი შ. ლეჟავა | ტექნედაქტორი დ. ხეფაშვილი


რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV სართ. | ტელ. — რედაქტორის და პ/მგ. მდივნის — 3-52-69, განყოფილებების — 3-95-38.

რედაქციაში შემოხული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. | უასი მ გან. | გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოტექნოლოგიაში.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/IX-57 წ. გამომც. № 141. ქაღ. ზომა 70x108/8. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. ტირაჟი — 15.000. შეკვეთის № 491. უე 01294.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი: თბილისი, მარგანიშვილის ქ. № 5.



საცეკვაო წრეში შემოფრინდა ღამა-
ზი პატარძალი და შავტუხა სიძე.

საბუნების ფესტივალი

ფოტო ზ. ვახტანგაძისა

მოსკოვის VI მსოფლიო ფესტივალის მრავალათასიან მონა-
წიღეთათვის დაუვიწყარი იქნება სასოფლო-სამეურნეო გამო-
ფენის საქართველოს პავილიონში გამართული ქართული ქორ-
წილი, მათ სამუდამოდ დარჩებათ ხსოვნაში მფფე-დელოფლის,
თბილისელი ახადგაზრდების — სოფიო იაშვილისა და ჯემალ კიკ-
ნავედიძის ბედნიერებით გაბრწყინებული სახეები და ქართული
ქორწილის მრავალფეროვანი ტრადიციების სიმდიდრე და მომხი-
ბელობა.



მფფე-დელოფაღმა გადაჯვარედინებულ ხმლებქვეშ გაიარეს, წუთიც და ქართული
ქორწილის ტრადიციის თანახმად, მფფე ფესს დაჰკრავს თეფშს.



საკ. ადკკ ც. კ.-ის მდივანი ამხ. ა. შელიპინი ბედნიერებას ულო-
ცავს ახადგაზრდა ცოლ-ქმარს.

უცხოელ სტუმრებს ღვინით უმასპინძლებდა ქართველი გოგონა



მექორწილებების სუფრა დაამშვენა ყარაჩოლულმა და მხედრულმა სიმღერებმა.



6-19/330

ეროვნული
ბიბლიოთეკა

